

უჩა ბლუაშვილი

УЧА БЛУАШВИЛИ

**მესხეთის
სახელოვანი
შვილები**

**СЛАВНЫЕ
СЫНОВЬЯ
МЕСХЕТИ**

თბილისი — 2008 — Тбилиси

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ასოციაცია
„ტოლერანტი“



The book is published by the Samtskhe-Javakheti Regional Association **“Tolerant”** within the framework of the project “Protection of Meskhetian Repatriates Rights – Supporting Integration in Georgia” funded by the European Union.

ნიგნი მზადდება და იბეჭდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“ მიერ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „მესხ რეპატრიანტთა უფლებების დაცვა-ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობა საქართველოში“ – ფარგლებში

The views expressed in the book do not necessarily reflect the position of the European Union.

ნიგნში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ევროკავშირის პოზიციას

ISBN 978-9941-0-1076-7

ავტორი გულითად მადლობას უძღვნის ბატონ დავით ჯაფარიძეს
ნიგნზე მუშაობისას განეული უშურველი დახმარებისთვის

Автор сердечно благодарит господина Давида Джапаридзе за
оказанную в создании этой книги бескорыстную помощь.

რედაქტორი: Редактор:
ცირა მესხიშვილი ЦИРА МЕСХИШВИЛИ

რეცენზენტი: Рецензент:
ლავრენტი ჯანიანი ЛАВРЕНТИЙ ДЖАНИАШВИЛИ

რუსული თარგმანი: Перевод с грузинского:
მარინა ლეჟავა МАРИНЫ ЛЕЖАВА

კომპიუტერული Компьютерное
უზრუნველყოფა: обеспечение:
ნინო დემურიშვილი НИНО ДЕМУРИШВИЛИ

წინამდებარე წიგნის მიზანია რეპატრიირებულ მესხებს და მათ შთამომავლებს გააცნოს როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკე და მუსლიმი სახელოვანი წინაპრები, რომელთაც თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არა მარტო მესხეთის, არამედ სრულიად საქართველოს წინსვლაშიც. ცხადია, წიგნში შესულ მოღვაწეთა სია სრული არ არის. ამ ხარვეზის გამოსწორებას მომავალში შევეცდებით. თუმცა, კრებულში თავმოყრილი მასალაც თვალნათლივ მოწმობს, თუ რა უზარმაზარ ინტელექტუალურ და სულიერ პოტენციალს ფლობს საქართველოს ძირძველ კუთხეში — მესხეთში მცხოვრები ეს ნიჭიერი ხალხი.

ვფიქრობთ, წიგნი დაეხმარება რეპატრიანტებს მესხეთის ტრაგიკული ისტორიის გააზრებაში, რაც, თავის მხრივ, ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების სერიოზული წინაპირობა იქნება.

Целью настоящей книги является ознакомление месхов репатриантов и их потомков со славными предками - православными, католиками и мусульманами, которые своей деятельностью внесли значительный вклад в продвижение не только Месхетии, но и Грузии в целом. Конечно же представленный в книге список деятелей не является полным, в будущем постараемся исправить этот недостаток. Хотя, собранный в сборнике материал явно свидетельствует каким огромным интеллектуальным и духовным потенциалом обладает живущий в древнейшем уголки Грузии - Месхетии этот талантливый народ.

Думаем, книга поможет репатриантам осмыслить трагическую историю Месхетии, что, со своей стороны, явится серьезной предпосылкой в ускорении процесса их интеграции в грузинское общество.

შესავალი

„დავინყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლიანად წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საძიკვეელია ანმყოფი, როგორც ანმყო – მომავლისა... ხალხი...რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის არის, სიდამ მოდის და სად მიდის... ბევრად არ გამოირჩევა პირუტყვისაგან... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რა ზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. შვილს უნდა გამოორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი... რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, რისთვის და რაში უქმობდა“.

ილია ჭავჭავაძე

„ერი და ისტორია“ 1888 წ.

„მესხეთი საქართველოსთვის იგივეა, რაც საბერძნეთი მსოფლიოსთვის“.

ალექსანდრე ზრონელი

დედამინაზე არსებული ხმელეთის 149 მილიონი კვ. კილომეტრი ფართობიდან საქართველოს 69 700 კვ. კილომეტრი, ანუ მხოლოდ 0,046 პროცენტი უჭირავს. ასეთი სიმცირის მიუხედავად ჩვენი ქვეყანა ბუნების, ლანდშაფტების, ნიადაგებისა და ჰავის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ თითქმის ყველა კლიმატური ზონაა წარმოდგენილი. მარადი თოვლითა და მყინვარებით დაწყებული, სუბტროპიკებითა და უდაბნოებით დამთავრებული. საქართველოში მხოლოდ ტროპიკები არ შეგხვდებათ.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანი უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ მილიონ 800 000 წლის წინ ბინადრობდა. სწორედ ამაზე მეტყველებს XXI საუკუნის დასაწყისში დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადამიანთა თავის ქალები და ჩონჩხის ფრაგმენტები.

ქართველმა არქეოლოგებმა ქვემო ქართლში აღმოაჩინეს არაერთი უძველესი ადრესამინათმოქმედო ნამოსახლარი. აქ მცხოვრებ ადამიანებს 8-7 ათასი წლის წინ მოყავდათ რამდენიმე ჯიშის ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი, ოსპი, ბარდა, ვაზი, ნესვი, ლოლო. მოშინაურებული ყავდათ ცხვარი, თხა, მსხვილფეხა საქონელი, ლორი და ძაღლი.

საქართველო რამდენიმე ქვეყნისგან, ანუ მხარისგან შედგებოდა. მათ შორის უმთავრესი ქართლი იყო. ქართლი, თავის მხრივ, სამი – შიდა, ზემო და ქვემო ქართლისგან შედგებოდა. დროთა განმავლობაში ეს ტერმინი – ეთნო-გეოგრაფიულიდან პოლიტიკურად იქცა. ყველა კუთხის ქართველთა (მეგრელთა, სვანთა, კახთა, იმერთა და ა. შ.) საცხოვრისს საქართველო ეწოდა. შიდა ქართლი ლიხის ქედიდან მდინარე არაგვამდე და კავკასიონიდან თრიალეთის ქედამდე ტერიტორიას, ქვემო ქართლი კი თრიალეთის ქედიდან ლორე-ბამბაკის ტერიტორიას მოიცავდა. ზემო ქართლი, ანუ მესხეთი იწყებოდა ტაშისკარიდან და მოიცავდა მდინარე მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის მთელ ხეობას. მასში შედიოდა სამცხე, ჯავახეთი და დღეს თურქეთის შემადგენლობაში მყოფი არტაანი, კოლა, ანუ მტკვრის ზემო წელი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, თორთუმი და სპერი, ანუ ჭოროხის ხეობა.

ენათმეცნიერთა გამოკვლევებით ქართული ენა რამდენიმე ათასი წლის წინ გაჩნდა. მეცნიერთა აზრით, თავიდან არსებობდა წინარე ქართული ენა, რომელსაც ჯერ სვანური, შემდეგ კი მეგრულ-ზანური გამოეყო. ქართული დამწერლობა უფრო გვიან შეიქმნა. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით ძვ. წ. III ს.-ის დასაწყისში ქართლის მეფე ხდება ფარნავაზი, რომელმაც გააერთიანა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო, გაატარა ადმინისტრაციული, სამხედრო და რელიგიური რეფორმები. ლეონტი მროველი ფარნავაზსავე მიაწერს ქართული ანბანის შექმნას. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუში პალესტინაში, ქართული მონასტრის გათხრისას იტალიელმა არქეოლოგმა ვ. კორბომ აღმოაჩინა. იგი V ს-ის 30-იანი წლებით თარიღდება. საქართველოში აღმოჩენილ წარწერათა შორის უძველესია ქვემო ქართლში, ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერა (493-494 წწ.) ქართული ანბანი 3 სახისაა. უძველეს მათგანს მრგვლოვანი, ანუ ასომთავრული ეწოდება. სწორედ ასომთავრულითაა შესრულებული პალესტინისა და ბოლნისის წარწ-

ერები. დროთა განმავლობაში სწრაფი წერის საჭიროებისა და სანერი მასალის ეკონომიის მიზნით, შეიცვალა ასოთა ფორმა, მოხაზულობა და ნუსხური, ანუ ხუცური დამწერლობა შეიქმნა. შემდეგ ჩნდება მხედრული ანბანი, რომელიც დღემდე გამოიყენება საქართველოში.

ძვ. წ. IV ს-ში სამხრეთ საქართველოს ქართულმა ტომებმა სპარსელებისგან თავის დახსნისთანავე დაიწყეს ბრძოლა გაერთიანებისთვის. ამ ბრძოლების შედეგად მცხეთის გარშემო შეიქმნა იბერიის, ანუ ქართლის სამეფო. მის შექმნაში მთავარი როლი მესხურმა ტომებმა შეასრულეს, რაც საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის (მსხმცხ) სახელწოდებაშიც აირეკლა.

ახ. წ. I ს-ში რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში: პალესტინაში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში ქრისტიანთა თემები ჩნდება. საქართველოშიც ქრისტიანობის გავრცელება I საუკუნიდან იწყება. ქრისტიანობა აქ ქრისტეს მონაფეებმა — ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს. ანდრია პირველწოდებულმა თავისი ქადაგებები საქართველოში მესხეთიდან დაიწყო. IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში, რომელშიც მესხეთიც შედიოდა, მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ქრისტიანობის გამავრცელებელი წმინდა ნინოც მცხეთაში, საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში, კაპადოკიიდან მესხეთის გზით შემოვიდა. ქართლის სამეფოდან ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოშიც გავრცელდა. ნირვა-ლოცვაში და მნიგნობრობაში ყველგან ქართული ენა გაბატონდა. ნათარგმნ ლიტერატურასთან ერთად გაჩნდა ორიგინალური ქართული მწერლობაც.

V ს-ში მეფე ვახტანგ გორგასალმა კვლავ აღადგინა საქართველოს ერთიანობა და ქართლში მთავარეპისკოპოსის ნაცვლად კათალიკოსი დასვა. ეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, ანუ დამოუკიდებლობას ნიშნავდა. ვახტანგმა ბიზანტიელთა ბატონობისგან გაათავისუფლა კლარჯეთიც, სადაც ქალაქი არტანუჯი დააფუძნა. კათალიკოსობის შემოღებასთან ერთად ვახტანგმა საქართველოს ყველა მხარეში, მათ შორის მესხეთშიც — არტანუჯსა, ოძრხესა და წუნდაში საეპისკოპოსოები დააარსა.

გარეშე მტრებთან — სპარსელებთან, ბიზანტიელებთან, არაბებთან ბრძოლაში იწრთობოდა ქართველურ ტომთა ერთიანობა. თუმცა,

ურიცხვი მტერი მაინც ახერხებდა ამ ერთიანობის მოშლას. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს არაბთა ბატონობამ. არაბი სარდლის — მურვან ყრუს შემოსევებმა განსაკუთრებით მესხეთი დააზარალა. ამას თან დაერთო საბერძნეთიდან შემოტანილი „შავი ქირიცი.“ VIII საუკუნის ბოლოსთვის მესხეთი თითქმის გაუკაცრიელებულ მხარეს წარმოადგენდა.

მესხეთის გამეჩხერებული მოსახლეობის შევსება ქართლიდან გადმოსული მოახალშენეების ხარჯზე მოხდა. ახალ სამთავროს „ტაო-კლარჯეთის“, ანუ ქართველთა სამთავრო ეწოდა. მისი დამაარსებელი იყო აშოტ ბაგრატიონი, რომელიც ვერ შეეგუა თბილისში არაბებს და ოჯახსა და მომხრეებთან ერთად ქუროხის ხეობაში გადასახლდა. აშოტმა ვახტანგ გორგასლის დაარსებული არტანუჯი აღადგინა და თავის რეზიდენციად აქცია. მალე მან ბიზანტიის კეისრისგან „კურაპალატის“ ტიტული მიიღო. აშოტზე ცოტა ხნით ადრე ამ მხარეში მოღვაწეობა უდიდესმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ — გრიგოლ ხანძთელმა დაიწყო. აშოტისა და გრიგოლის საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ძლიერებას. მის ქონებრივ შეძლებასა და კულტურულ დაწინაურებაზე მეტყველებს იმ დროს იქ აგებული ქართული არქიტექტურის ისეთი ბრწყინვალე ძეგლები, როგორებიცაა ოშკის, ხახულის, იშხანის, ბანას, დიდებული ტაძრები. X ს-ში ტაო-კლარჯეთი ქართულ სამთავროებს შორის ყველაზე დიდ და ძლიერ სამთავროდ ყალიბდება. დავით კურაპალატის დროს ტაო-კლარჯეთი ბიზანტიის იმპერატორსაც კი ეხმარება ტახტის შენარჩუნებაში, რისთვისაც მისგან საჩუქრად ახალ ტერიტორიებს ლებულობს. დანარჩენი ქართული სამთავროების ხარჯზე დავითი ენერგიულად აფართოებს თავისი სამთავროს საზღვრებს. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევს ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე. დავითის შვილობილი ბაგრატი ჯერ ქართლის მეფე ხდება, აფხაზეთის უსინათლო მეფის — თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ კი, როგორც მისი ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე — აფხაზეთის ტახტზეც ადის. ბაგრატის მამის — გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი შავშეთ-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის მიწებსაც ეუფლება. მომდევნო წლებში მან ჯერ ჰერეთ-კახეთი, შემდეგ კი მესხეთის სამხრეთ პროვინციები — ტაო და კლარჯეთიც შემოიერთა..

ამრიგად, ბაგრატი მესამემ (978-1014) საქართველოს მხარეთა ერთიანობა აღადგინა. მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლის მიდამოები რჩებოდა არაბი ამირას მფლობელობაში.

საქართველოს მხარეთა სურვილს — ეცხოვრათ გაერთიანებულ ქვეყანაში, განაპირობებდა ერთიანი სამწიგნობრო და საეკლესიო ენა, საერთო ტრადიციები და კულტურა.

XI ს-ის მეორე ნახევარში ოლუზთა მოდგმის მომთაბარე თურქული ტომები სელჩუკთა მეთაურობით საქართველოს შემოესივნენ და პირველად მის განაპირა მხარეს — მესხეთს დაესხნენ თავს. მათ ახალქალაქი აიღეს, ჯავახეთი მოარბიეს და 40 ათასამდე ქართველი ირანის პროვინციებში გადაასახლეს. სელჩუკებმა თავისი შემოსევები 80-იანი წლებიდან გადაძლიერეს. ბრძოლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყდა. ამას თან დაერთო ძლიერი მიწისძვრები, დაინგრა თმოგვის ციხე-ქალაქი. მიწასთან გასწორებული სოფლებიდან მოსახლეობა იყრებოდა.

ამ უმძიმეს ვითარებაში საქართველოს ტახტზე 16 წლის დავით IV (1089-1125 წწ.) ავიდა, რომელსაც მადლიერმა შთამომავლებამ აღმაშენებელი უწოდა. ახალგაზრდა მონარქი გამჭრიახი გონების და ძლიერი ნებისყოფის მმართველი გამოდგა. იგი ენერგიულად შეუდგა თურქ-სელჩუკებისგან საქართველოს განმედას. 1121 წელს დავითმა გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქთა გაერთიანებულ ლაშქარზე. 1122 წელს მან თბილისიც გაათავისუფლა და სრულიად საქართველო გააერთიანა. საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

სახელმწიფოებრივმა სიძლიერემ მკვიდრი საფუძველი შეუქმნა ქართული კულტურის განვითარებას. ქართულ რეგიონებს შორის მესხეთი ამ მხრივაც ლიდერის პოზიციაში გვევლინება. სწორედ საქართველოს ამ მხარეში მაღალ დონეს აღწევს ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, მეცნიერება. ამ პერიოდის ქართული აზროვნების უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენდა მსოფლიო ლიტერატურის შედევრის — „ვეფხისტყაოსანის“ შექმნა.

საქართველომ ჰარმონიულად შეუხამა ერთმანეთს დასავლურ-ქრისტიანული და აღმოსავლურ-მუსლიმური კულტურები. მათი შემოქმედებითი სინთეზის გზით შექმნა სრულიად ორიგინალური, თვითმყ-

ობადი ქართული კულტურა, დასაბამი მისცა ე.წ. აღმოსავლური რენესანსის ეპოქას.

ქვეყანა სოციალ-ეკონომიკური განვითარების ახალ — ფეოდალური წყობილების რღვევისა და საბაზრო ურთიერთობების ჩასახვის გარდამავალ ფაზას მიუახლოვდა. განვითარების ამ ფაზისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური ზედნაშენის სისუსტე: ძველი, ფეოდალური ურთიერთობანი კრიზისს მოუცავს, მათ შინაგანი წინააღმდეგობანი არყევს, ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობანი კი მხოლოდ ტენდენციის, ჩანასახის სახით არსებობენ.

აი, სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდნენ ნახევრად ველური, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი მონღოლთა ურდოები.

შინაგანი დუღილისა და გარდაქმნების პირობებში მყოფი ქვეყანა მტერს მოუმზადებელი შეხვდა. მონღოლებმა საქართველო თითქმის უბრძოლველად დაიპყრეს. ერთადერთი, ვინც მტერს არ დანებდა და მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, სამცხის მთავარი ივანე ათაბაგი იყო. მესხებმა მხოლოდ მეფის ნებართვის შემდეგ შეწყვიტეს ბრძოლა.

მონღოლთა შემოსევამ ქვეყანა ბუნებრივი განვითარების კალაპოტიდან ამოაგდო და დიდი ხნით შეაჩერა მისი წინსვლა. მონღოლებმა საქართველო დუმნებად დაყვეს. მესხეთის პროვინციები მათ V და VI დუმენებში გააერთიანეს.

ქართველი ხალხი მონღოლთა უღელს არ ურიგდებოდა და ჯანყდებოდა. მესხეთი აქაც ტონის მიმცემი და აჯანყებების აქტიური მონაწილე იყო. 1226 წელს მონღოლებმა გადაწყვიტეს საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ეს მხარე ქვეყნისთვის ჩამოეცილებინათ და უშუალოდ ყაენისთვის დაექვემდებარებინათ, მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა. მესხეთის ერისმთავრები სხვა ქართველ პატრიოტებთან კავშირს არ წყვეტდნენ და საერთო-ქართულ ნამოწყებებში კვლავაც აქტიურად მონაწილეობდნენ.

XIV ს-ის მეორე მეოთხედში გიორგი V-ის ხელმძღვანელობით ქვეყანამ მონღოლთა უღელი მოიშორა და კვლავ გაერთიანდა. გიორგის დედა მესხი ჯაყელების შთამომავალი იყო. მომავალმა მეფემ სწორედ მესხეთში შეითვისა ქვეყნის ერთიანობის იდეა. გიორგი ბრწყინვალემ

საქართველოს ადრინდელი საერთაშორისო ავტორიტეტი დაუბრუნა. მის დროს ქვეყანამ მჭრილობები მოიშუშა, მოლონიერდა. თუმცა, მშვიდობიანი შესვენება ხანმოკლე გამოდგა. საქართველოში ახალი მტერი — თემურ ლენგი შემოიჭრა. 1386-1404 წწ-ში თემურმა რვაჯერ დალაშქრა საქართველო. მესამე და მეხუთე შემოსევების დროს თემურ ლენგმა სასტიკად მოაოხრა ჯავახეთი, კოლა-არტაანი, სამცხე და ტაო. მესხეთი კიდეც ერთხელ დაიცალა მოსახლეობისგან. მთლიანად საქართველოში მაშინ 700-დე სოფელი გაუდაბურდა.

მომდევნო XV-XVI საუკუნეებში საქართველოს გამუდმებით უხდებოდა მძიმე ბრძოლები თურქმენულ ტომებთან, რაც ქვეყნის ხელახალ აღდგენა-მოშენებას უშლიდა ხელს.

საქართველოს ერთიანი ეკონომიკის მოშლამ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება და ცენტრიდანული ძალების გაძლიერება გამოიწვია. XV ს-ის ბოლოს ქვეყნა სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოების და სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიის სამთავროების გვერდით ჩამოყალიბდა მესხეთის დამოუკიდებელი სამთავროც. სამცხე-საათაბაგო (ამიერიდან ასე ეწოდებოდა მესხეთს) ტერიტორიითა და მოსახლეობით საქართველოს ერთ მესამედს მოიცავდა. XV ს-ის დამლევს მისი ფართობი 34 230 კვ. კმ-ს შეადგენდა.

დაქუცმაცებული საქართველო შინაომების არენად, ყველა ქართული სამეფო-სამთავრო კი სეფიანთა ირანისა და თურქ-ოსმალთა მუდმივი ქიშპობის საგნად იქცა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგო. ის უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსმალეთს და ნებით თუ უნებლიეთ თურქთა წინააღმდეგ სამხედრო კოალაციის შექმნის აქტიურ მომხრედ გამოდიოდა.

კოალაცია ვერ შედგა. დასავლეთი ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო მზად ჯვაროსნული ლაშქრობისთვის.

თურქეთი კი სულ უფრო ძლიერდებოდა. მისი საზღვრები XVI საუკუნეში ტრაპიზონიდან ადრიატიკის ზღვასა და მდინარე დონის შესართავიდან და ყირიმიდან ხმელთაშუა ზღვამდე გადაიჭიმა. თურქები მთლიანად აკონტროლებდნენ შავი ზღვის აუზსაც.

1549 წელს სოფელ სოხოისტასთან თურქებმა ქართველთა ლაშქარი დაამარცხეს. თურქთა 40 ათასიანმა ლაშქარმა მძიმე ბრძოლების შემდეგ მესხეთის ციხეები დაიკავა. ოსმალებმა დაპყრობილი მხარე ოთხ სანჯაყად დაყვეს და საბეგლარბეგო შექმნეს. მესხეთში დაიწყო ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობის გაუქმებისა და ოსმალური მართვა-გამგეობის შემოღების პროცესი.

მესხი ფეოდალები ამ დროს დასებად იყვენენ დაყოფილი. მათი დიდი ნაწილი ქართლ-იმერეთთან შეერთების მომხრე იყო, ნაწილი თურქეთთან ან ირანთან სეპარატისტულ მოლაპარაკებებს ემხრობოდა. უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ მესხეთის მთავრები, სამთავროს გაუქმების შიშით, ქართულ სამეფოთა დახმარებას ერიდებოდნენ.

1555 წელს ამასიის ზავით თურქეთმა და ირანმა საქართველო შუაზე გაიყვეს, აღმოსავლეთი სპარსეთს ერგო, დასავლეთი კი — თურქეთს. სამცხე-საათაბაგოც მათ შორის გაიყო.

ამასიის ზავით უკმაყოფილო თურქეთი, შაჰ-თამაზის გარდაცვალების შემდეგ, 1578 წელს, 200 000 მეომრითა და 500 ქვემეხით ამიერკავკასიისკენ დაიძრა. მისი მიზანი საქართველოს მთლიანად დაპყრობა იყო. თურქთა პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა შიდა და საგარეო ომებით დასუსტებული მესხეთი. ჩილდირის ველზე თურქებმა სპარსელთა ჯარები დაამარცხეს. მანუჩარ ჯაყელი ომის შედეგს ელოდა. სპარსელთა მარცხის შემდეგ იგი ფაშას ეახლა და ქართული პოლიტიკური სტრუქტურის, სარწმუნეობის ხელშეუხებლობის გარანტიისა და სამთავროსგან ადრე მიტაცებული სამხრეთი პროვინციების დაბრუნების სანაცვლოდ მოხარკეობა შესთავაზა. თურქებმა უარი თქვეს სამთავროს მთლიანობის აღდგენაზე და მეხარკეობის დაწესებაზე. მანუჩარს კი, თურქული წესის მიხედვით, (მხარის სანჯაყებად დაყოფით), მესხეთის მმართველობა შესთავაზეს. მართვის ასეთი ფორმა ქართული ტრადიციული სოციალ-პოლიტიკური წყობის გაუქმებას ნიშნავდა მთელ სამთავროში. თუმცა, ამ ეტაპზე, თურქები მოსახლეობის რელიგიას არ შეხებოდნენ.

1579 წელს სულთნის ბრძანებით ჩილდირის ვილაიეთი შეიქმნა. მის სათავეში გამუსლიმებული მანუჩარ II, ხოლო სანჯაყის მმართველად მისი ძმა, ქრისტიანი ყვარყვარე დაინიშნა. ანტიქართული რეფორმით

უკმაყოფილო მანუჩარმა 1582 წელს უარყო ისლამი და თურქეთის ულლის გადაგდებას შეეცადა, მაგრამ ძალები ძალზე უთანაბრო იყო. 1587 წელს თურქებმა ახალციხე დაიპყრეს, 1590 წელს 12-წლიანი ომი თურქეთ-ირანს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებით დამთავრდა. აღმოსავლეთ საქართველო და მესხეთი ირანმა თურქეთის გავლენის სფეროდ ცნო. 1595 წელს ოსმალებმა აღწერეს მთელი სამცხე-საათაბაგო, შეადგინეს საგადასახადო დავთარი („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“), რომლის მიხედვით, სამცხე-საათაბაგო დაყოფილი იყო რვა სანჯაყად. სანჯაყები, თავის მხრივ, იყოფოდა ნიჰიებად. სამცხე-საათაბაგო გარდაიქმნა საფაშოდ, რომლის ცენტრი ახალციხე იყო. დავთარში აღწერილია გადახდისუნარიანი 1600 სოფელი, სოფლების მიხედვით შედგენილ სახელობით სიებში უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. დავთრისავე მონაცემებით მესხეთში გაუდაბურებული იყო 364 სოფელი.

თურქეთმა მესხეთში დანერგა მინათმფლობელობის თავისი წესი. ქართული ფეოდალური წესი დაფუძნებული იყო მინათმფლობელობაზე, გვარზე და მემკვიდრეობაზე. თურქული სოციალურ-პოლიტიკური წყობის შემოღების შემდეგ მინა შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ სულთნის სამსახურში მყოფ მუსლიმს. ქართველი ფეოდალები ან უნდა გამუსლიმებულიყვნენ და ასე შეენარჩუნებინათ მიწები და ქონება, ან ყველაფერი დაეკარგათ. ამავე დროიდან არც ჯაყელები, არც სხვა მესხი ფეოდალები ოფიციალურად აღარ იხსენიებიან თავიანთი გვარებით, ისინი მხოლოდ შერქმეული მუსლიმური სახელებით, ტიტულებითა და თანამდებობებით იხსენიებიან. ამიერიდან ქართული გვარები ახალციხის საფაშოში კარგავენ თავის ფუნქციას.

საქართველოს უძველეს კუთხეს გადაშენება-გადაგვარების საფრთხე დაემუქრა. თავად-აზნაურობის ის ნაწილი, რომელმაც არ უღალატა მამა-პაპეულ სარწმუნოებას, იძულებული შეიქნა გადასახლებულიყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში და საქართველოს სხვა კუთხეებში. გადასახლებულთა შორის იყვნენ: შალიკაშვილები, ციციშვილები, ავალიშვილები, ჯაყელები, დიასამიძეები, გოგორიშვილები, თავდგირიძეები, ხიმშიაშვილები, კავკასიძეები, დოლენჯიშვილები, ხერხეულიძეები, თაქთაქიშვილები, ქობულაშვილები (ქობულისძეები), სუმბათაშვილები, ზედგინიძეები, თუხარელები, გუგუნავე-

ბი და სხვა. XVI ს-ში თურქეთსა და საფრანგეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით საფრანგეთი ცხადდებოდა ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ქრისტიანის მფარველად. ქართველთა იმ ნაწილმა, რომელიც მესხეთიდან არ გადასახლდა და არც გამუსლიმდა, კათოლიკური სარწმუნოება მიიღო.

1625 წელს მანუჩარი საკუთარმა ბიძამ — ბექამ მონამლა. შემდეგ ბექა სტამბოლში გაემგზავრა, გამუსლიმდა, საფარი დაირქვა და სამცხეს საფარ-ფაშას ტიტულით და თანამდებობით დაუბრუნდა. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება მესხების გამაჰმადიანების ნელი, მაგრამ უკვე შეუქცევადი პროცესი.

ქართველები არ შეგუებიან სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთის ბატონობას. ისინი ჯანყდებოდნენ, ებრძოდნენ დამპყრობლებს, მაგრამ მდგომარეობას ვეღარ ასწორებდნენ. ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებს, რომლებსაც სურდათ სამცხე-საათაბაგოს გამოხსნა ოსმალთაგან, თავისი გასაჭირი ადგათ. ისინი ირან-ოსმალეთისა და ლეკების შემოსევებს იგერიებდნენ.

XVI ს-მდე საქართველო თავის მოსახლეობას იცავდა და ტყვეთა ვაჭრობას არ უშვებდა. ოსმალეთის მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ ეს საშინელი სენი მთელ ქვეყანას მოედო. უსახსროდ დარჩენილმა ქართველი ფეოდალების ნაწილმა თავისი ყმა-გლეხებით ვაჭრობა დაიწყო. თურქები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ამ პროცესს. მონებით ვაჭრობა სარფიან საქმედ იქცა. თავდაპირველად ტყვეები ჩრდ. კავკასიიდან ყირიმში, იქიდან კი ზღვით სტამბოლში გადაჰყავდათ. ახალციხის საფაშოს შექმნის შემდეგ კი ეს კუთხე ქართველ მონათა მნიშვნელოვან სატრანზიტო პუნქტად იქცა. XVII ს-ის იტალიელი მისიონერი ქრისტეფორე დეკ კასტელი წერდა: „არაერთხელ დამსველებია თვალები ცრემლებით, როდესაც ვხედავდი, თუ როგორ ჰყიდდნენ ბატონებივით ხელშეკრულ ყმანვილებს თურქებზე. უამრავი ბავშვი მიჰყავდათ ოსმალეთში. საკუთარი თვალთ მინახავს კოლხეთის პროვინციაში გაყიდული უამრავი ყმანვილი. ისინი კონსტანტინოპოლში მიჰყავდათ. მე რომ იტალიაში მივემგზავრებოდი, გემი სავსე იყო გაყიდული ტყვეებით“. ევროპელ ავტორთა ცნობით იმ დროს საქართველოდან ყოველწლიურად სამიდან ხუთი ათასამდე ტყვე გაჰყავდათ. XV ს-დან XIX ს-ის დასაწყისის ჩათვლით საქართველოდან, სულ ცოტა, ერთი მილ-

იონი ვაჟი და გოგონა გაიყვანეს. ოსმალეთის, როგორც ცენტრალური, ისე პროვინციული ელიტა ყიდულობდა ქართველ გოგონებს ჰარამხანებისთვის, ხოლო ბიჭებს იანიჩართა და მამლუქთა ლაშქრებისთვის. მათ პროფესიონალ სამხედროებად ზრდიდნენ. ქართველი მამლუქები გვიან შუა საუკუნეებში მართავდნენ ოსმალეთის საფაშოებს ეგვიპტეში, ერაყში, ლიბიაში, მაროკოში, ალჟირში. ერთი მათგანი ჰასან ბინ იუსუფ აჰისკალი გამაჰმადიანებული მესხი იყო ახალციხიდან. იგი (1791-1998 წწ.) ალჟირის მმართველი, ანუ დეი გახდა. იმ დროს ალჟირი ხმელთაშუა ზღვაში და ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მეკობრეობის ცენტრი იყო და შემოსავალიც ძირითადად აქედან შემოდიოდა. მათი მსხვერპლი ევროპული და ამერიკული სავაჭრო ხომალდები იყო. 1800 წლის აშშ-ს საერთო შემოსავლის 20 პროცენტი ალჟირელთაგან ამერიკელ ტყვეთა გამოსყიდვას ხმარდებოდა. ამერიკელ ტყვეთაგან ერთ-ერთს ჯეიმს ქასქართს კარნახობდა ჰასან დეი აშშ-ს პირველ პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონისადმი გასაგზავნ ნერილებს, რომლებიც ამერიკელ ტყვეთა გათავისუფლების პირობებს ეხებოდა. ამერიკის პრეზიდენტის ალჟირის დეისადმი გაგზავნილი ნერილების ასლები აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში ინახება. ჰასან ბინ იუსუფ ახისკალს ერთხმად აქებენ მისი თანამედროვე ევროპელები, არაბები და ამერიკელები. ამერიკელებმა ალჟირის დეის აჩუქეს ხომალდი სახელად „ჰასანფაშა“. ქალაქ ალჟირში მისი აგებულია ქეჩაუას ორმინარეთიანი მეჩეთი. მის სასახლეში დღეს ხელოვნების მუზეუმი გაერთავებული.

თურქთა მიერ მესხეთის დაპყრობისა და განვითარების ბუნებრივი გზის მოშლის შემდეგ თანდათან დასუსტდა ის დიდი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო და კულტურული შემოქმედება, რომელიც წარმოებდა აქაურ მონასტრებში. მოსახლეობა, როგორც არისტოკრატია, ისე გლეხებიც ოჯახებში ქართულად ლაპარაკობდნენ, თუმცა ოფიციალურ ვითარებაში სალაპარაკო ენად თურქული გახდა. ასეთ პირობებში ქართლ-კახეთში მზადდებოდა მესხეთის გადარჩენის გეგმა. ქართულმა სამეფოებმა ამ საქმეში მოკავშირედ რუსეთი აირჩიეს.

1783 წელს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის მიხედვით ერეკლე მეორე ოფიციალურად იქნა აღიარებული „სამცხე-საათაბაგოს მემკვიდრე მფლობელად.“ ტრაქტატის მეხუთე პუნქტის ძალით რუსეთი ვალდებულიებას იღებ-

და, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე საქართველოს დაუბრუნებდა თურქთა მიერ მიტაცებულ მიწებს.

გეორგიევსკის ტრაქტატი შეიძლებოდა ქართული დიპლომატიის გამარჯვებად მიგვეჩნია, თუკი მისი დებულებები ორივე მხარის მიერ შესრულდებოდა. სამწუხაროდ, მოკავშირე უპირო აღმოჩნდა და არა თუ საქართველოს გარეშე მტრებისგან დაცვის თავის მიერვე ნაკისრ ვალდებულებას ასრულებდა, არამედ, მაჰმადიან მეზობლებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აქეზებდა კიდევ. ამ ტრაქტატმა საქართველოს გარშემო ვითარება ისე დაძაბა, რომ ერეკლემ მის გაუქმებაზეც კი დაიწყო ფიქრი. მან ახალციხის საფაშოსთან ცალკე ხელშეკრულებაც კი გააფორმა, მაგრამ წამხდარ საქმეს ამან ვეღარ უშველა. ყოველივე ამას ჯერ კონსტანტინის ტრაგედია, შემდეგ კი 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი მოჰყვა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ მესხეთის დაბრუნების საკითხი რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ რიგით საკითხად იქცა, რამაც მესხეთის ერეკლესულ „ხსნისა და გამოხსნის“ გეგმებს შინაარსი შეუცვალა. 1828-1829 წწ-ში რუსეთ-თურქეთს შორის ამტყდარი ომის შედეგად, მართალია, რუსეთმა სამცხე-ჯავახეთი წაართვა თურქებს, მაგრამ ადრიანოპოლის ზავის თანახმად შექმნილმა ე. წ. რელიგიურმა ზონებმა საშუალება მისცა მას შემოერთებულ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები გამაჰმადიანებული მესხები „თათრებად“ გამოეცხადებინა და თავიანთი მიწა-წყლიდან მასობრივად გაესახლებინა. მათ ადგილზე რუსეთმა არზრუმი-ყარსის ვილაიეთიდან ქრისტიანი სომხები, მოგვიანებით კი რუსი სექტანტები ჩამოასახლა.

თურქეთში გადასახლებულ ქართველთა ნაწილმა სცადა უკან დაბრუნება, მაგრამ ახალი ხელისუფლება იარაღის ძალით წინ აღუდგა ამ სურვილს. ომის შემდეგ რუსებმა შემოერთებულ ტერიტორიებზე ჯერ ახალციხის ოლქი, მოგვიანებით კი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები შექმნეს. XIX ს-ის 30-იან წლებში ახლადშემოერთებულ მესხეთში მყოფი ფრანგი დიუბუას დაკვირვებით მაჰმადიანი მესხები მართლმადიდებლებთან ერთად მარხულობდნენ, ესწრებოდნენ ქრისტიანულ ცერემონიებს, ლოცულობდნენ ვარძიაში, ქორწინების რიტუალებს ქართული წესისამებრ ასრულებდნენ, უმკაცრესად იცავდნენ ქართულ

ტრადიციას ნათესავებთან ქორწინების აკრძალვის შესახებ, მათი უმეტესობა კი ქართულად ლაპარაკობდა.

მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მალულად ქრისტეს რჯულზე ლოცულობდა და მოუთმენლად ელოდა დედასაქართველოსთან გაერთიანებას. ეს იყო ჩუმი ქრისტიანობის, მოლოდინისა და იმედების ხანა.

1840 წელს მესხეთში მყოფ მაღალი რანგის პეტერბურგელ ჩინოვნიკს — ბულგაკოვს ეახლნენ შთამომავლობით ქართველი სანჯაყ-ბეგები ქვაბლიანიდან, ფოცხოვიდან, აბასთუმნიდან და ახალქალაქიდან. ისინი მზად იყვნენ ყმა-გლეხებითურთ დაბრუნებოდნენ წინაპრების ქრისტიანულ რელიგიას, სანაცვლოდ კი რუსეთის ხელისუფლებიდან იმ უფლებებისა და პრივილეგიების მინიჭებას ითხოვდნენ, რაც დანარჩენი საქართველოს თავადაზნაურობას გააჩნდა. ბულგაკოვმა ეს ამბავი იმპერატორს აცნობა. ნიკოლოზ I-მა კი პასუხად განაცხადა, რომ იგი დაინტერესებული იყო ახლად შემოერთებულ მხარეში რაც შეიძლება მეტი თავისუფალი სახაზინო მიწების შექმნით.

იმპერიის ხელისუფლების მხრივ ასეთმა დამოკიდებულებამ მაჰმადიანი მესხები რელიგიური ფანატიზმის ახალ ტალღაში მოაქცია. ანატოლიიდან და იმპერიის სხვა მაჰმადიანური პროვინციებიდან ხელისუფლებას შეგნებულად შემოჰყავდა ომარის სექტის რელიგიის მსახურნი, რომლებიც მესხეთის მკვიდრი მოსახლეობის ცნობიერებიდან ეთნიური წარმომავლობის ამოშლას ცდილობდნენ. რუსეთი ყოველნაირად აიძულებდა მაჰმადიან მესხებს დაეტოვებინათ თავიანთი მიწები და თურქეთში გადასულიყვნენ. მთავარმართებელი პასკევიჩი გაფრთხილებასაც იძლეოდა: „თუ მაჰმადიანთა გადასახლება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ დავამთავრებთ, მერე, ომით გამონვეული ფსიქოზის გავლის შემდეგ, გასასახლებელთა ადგილიდან დაძვრა, ბევრიც რომ მოვინდომოთ, შეუძლებელი გახდება და ხელში შეგვრჩება ჩვენდამი დაპირისპირებული, მტრულად განწყობილი და ძნელად დასამორჩილებელი მუსლიმური სასაზღვრო რაიონი.“

ქართული ენა თანდათან კარგავდა თავის ფუნქციას. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ არაქართველი მაჰმადიანები. ბეგები შვილებს განათლების მისაღებად ბაქოში, სტამბოლსა და ერზრუმში აგზავნიდნენ, საიდანაც ისინი ფანატიკოს პანთურქისტე-

ბად ბრუნდებოდნენ. პანისლამისტური იდეების მომხრენი მსოფლიო ენებსაც ორ ჯგუფად — მორწმუნეთა და ურწმუნოთა ენებად ჰყოფდნენ. და, რახან ქართული ქრისტიანულ ენათა ჯგუფში შედიოდა, ამ ენაზე ალაჰისა და ყურანის ხსენებაც კი მკრეხელობად ითვლებოდა მაჰმადიანისთვის. ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დროს გერმანელ მეცნიერს — კარლ კოხს ერთი ვინმე ბეგი შესჩიოდა: „პაპაჩემი ქრისტიანი იყო და ქრისტიანად გარდაიცვალა. მამაჩემი და მე მაჰმადის ნათელით გავნათლდით, ოღონდ ენა ჩვენი წინაპრებისა შეგვრჩა. მართალია, ცოდვა და დანაშაულია გიაურის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ენა თვით ღმერთის მიერ გვაქვს ბოძებული და ჩვენ რა ვქნათ“.

სწორედ მესხი ფეოდალების ჩამომავლები, პანთურქისტებად აღზრდილი ომარ ფაიყ-ყიფიანი – აწყურის ბეგი, ახმედ პეპინოვი (პეპინაშვილი), ზია ბეგ აბაშიძე სოფ. თოკიდან, სერვერ ბეგ ათაბაგ ქობლიანელი (ჯაყელი), ალი ბეგ ავალიშვილი სოფ. ოშორიდან ჩაუდგნენ სათავეში ანტიქართულ გამოსვლებს 1918-1919 წლებში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მათ შექმნეს „სამხრეთ ამიერკავკასიის მუსლიმთა ხელისუფლება“ სერვერ ბეგის თავმჯდომარეობით. ამ სეპარატისტულმა წარმონაქმნმა თურქეთის ხელისუფლების ნაქეზებით და მითითებით 1818-1919 წლებში მესხეთში მძიმე სისხლისმღვრელი შეტაკებები მოაწყო მუსლიმ და ქრისტიან მოსახლეობას შორის. თავდაპირველად სერვერ ბეგის ჯარებმა დაამარცხეს ქართული ჯარის ნაწილები, რომლებმაც ბორჯომისკენ დაიხიეს. 1919 წელს ქართულმა ჯარმა გენერალ კვინიტაძის სარდლობით ახალციხე და ახალქალაქი გაათავისუფლა.

მესხთა ცნობიერების რღვევა „დიდი წარმატებით“ გააგრძელა საბჭოთა ხელისუფლებამ. 1923 წელს ეთნიკური ქართველები, მაჰმადიანი მესხები აზერბაიჯანლებად გამოაცხადეს, ქართული გვარები მასობრივად აზერბაიჯანულ ყაიდაზე გადაუკეთეს და მესხეთი აზერბაიჯანის კულტურულ ავტონომიად გადააქციეს. პარტიულ-სამეურნეო აპარატი და პედაგოგიური კადრები მესხეთში აზერბაიჯანიდან ჩამოყვანილთაგან დააკომპლექტეს, ახალციხეში აზერბაიჯანული თეატრი გაიხსნა, ქართული სკოლები დაიხურა. მაჰმადიან მესხთა მიერ მაღალ ინსტანციებში გაგზავნილ ერთ წერილს, რომელშიც ქართული სკოლების გახსნას ითხოვდნენ, ასეთი რეზოლუცია ადევს: „თქვენ

თათრები ხართ და ამიტომ უნდა ისწავლოთ თქვენს მშობლიურ ენაზე". ასეთმა ატმოსფერომ საბოლოოდ დააჩლუნგა მაჰმადიან ქართველთა თვითშეგნება, მათში ეროვნული იდენტობის განცდა. ისინი დენაციონალიზებულ მასად იქცნენ და კითხვაზე, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ, დაბნეული პასუხობდნენ — „იერლი მუსლიმები“ („ადგილობრივი მუსლიმები“). ვართო

მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას საბოლოოდ გაუქრა თურქეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ილუზია, მესხეთში ქართული სკოლების გახსნა დაიწყო.

1944 წლის 15 ნოემბერს მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობა შეყარეს ვაგონებში და არაადამიანური ერთთვიანი მგზავრობის შემდეგ ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში გადაკარგეს. 1944 წლიდან 1956 წლამდე მათ გადასახლების ადგილებიდან ფეხის მოცვლის უფლებაც არ ჰქონდათ. 1956 წლის აპრილიდან მათ სპეცგადასახლებულის სტატუსი მოუხსნეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. 1989 წელს უზბეკეთში ფერღანას ველზე, სადაც კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებული მესხები, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სისხლიანი დარბევები მოეწყო. მესხებმა მასობრივად დატოვეს უზბეკეთი.

1999 წელს ევროსაბჭოში განევრიანებისას საქართველომ იკისრა სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის ვალდებულება, რომლის თანახმად მას უნდა მიეღო კანონი რეპატრიაციის შესახებ და 2011 წლამდე განეხორციელებინა საქართველოდან დეპორტირებულთა რეპატრიაცია.

დღეისთვის საქართველოდან გადასახლებული მესხები, გარდა აზიის სამი ქვეყნისა, ცხოვრობენ აზერბაიჯანში, თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, საქართველოსა და აშშ-ში.

2007 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რეპატრიაციის შესახებ. ამჟამად საქართველოში სხვადასხვა დროს დაბრუნებული 900-ზე მეტი მესხი ცხოვრობს. ისინი ძირითადად გური-ში, იმერეთში, თბილისსა და ახალციხეში სახლობენ. მათ იმედი აქვთ, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება და მსოფლიოს 8 ქვეყანაში გაბნეული მათი ნათესავები თანდათანობით დაბრუნდებიან სამშობლოში.



ბაგრატიონები



ისტორიამ არაერთი სამეფო დინასტიის შესახებ შემოგვინახა ცნობები. ვალუები და ბურბონები საფრანგეთში, ჰაბსბურგები — ავსტრია-უნგრეთში, რიურიკები და რომანოვები — რუსეთში, ტიუდორები და სტიუარტები — ინგლისში და ა. შ.

საქართველოში IX საუკუნიდან, ვიდრე 1810 წლამდე, ბაგრატიონთა დინასტიის ზეობის ხანაა.

ბაგრატიონთა დინასტია ერთ-ერთი ყველაზე დღეგრძელი დინასტიაა. ისინი თითქმის ათას წელს განაგებდნენ საქართველოს სამეფო ტახტს.

ვინ არიან ბაგრატიონები?

ბაგრატიონები წარმოშობით სამხრეთ საქართველოს, მესხეთის ერთ-ერთი პროვინციის — სპერის მკვიდრნი იყვნენ. ბაგრატიონთა მემკვიდრე სუმბატ დავითისძე ბაგრატიონთა წარმომავლობას ებრაელ სოლომონს უკავშირებს. მემკვიდრეს გადმოცემით, სოლომონის 7 შვილიდან 3 სომხეთს დასახლებულა და იქ მოუპოვებიათ მთავრის ტიტული, დანარჩენი 4 შვილი ქართლში დამკვიდრებულა, რომელთაგან ერთ-ერთს, სახელად გუარამს, ერისმთავრობა მოუპოვებია. სწორედ ამ გუარამის შთამომავლებად მიიჩნევს სუმბატ დავითისძე ბაგრატიონებს.

უნდა ითქვას, რომ ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის თეორიას სხვა ქართველი მემკვიდრენიც უჭერენ მხარს. მაგალითად, დავითის ისტორიკოსი აღმაშენებელს ებრაელთა მეფის — დავითის 78-ე შთამომავლად მიიჩნევს.

მემკვიდრეთა ასეთი პოზიცია ადვილი ასახსნელია. ამით ისინი ცდილობენ დაასაბუთონ ბაგრატიონთა უპირატესი უფლება სამეფო

ტახტზე. ასეთი რამ მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სამეფო დინასტიებისთვისაცაა დამახასიათებელი.

საქართველოში ბაგრატიონები განსაკუთრებით დაწინაურდნენ VIII საუკუნის მიწურულიდან. ქართლის ერისმთავარი, აშოტ ბაგრატიონი, რომელიც კურაპალატის ტიტულსაც ფლობდა, ისტორიაში დიდის სახელით შევიდა.

სწორედ აშოტ კურაპალატი გვევლინება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის დამფუძნებლად.

ტაო-კლარჯეთის, ანუ ქართველთა სამეფოს ბაგრატიონები ორ ძირითად შტოდ იყოფოდნენ — ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად. ტაოს ბაგრატიონებიდან ქართველთა მეფის ტიტული 888 წელს პირველად დავით I-ის ძემ — ადარნესემ მოიპოვა. კლარჯეთის შტოს საფუძველი დაუდო აშოტ დიდის უფროსმა ძემ, ასევე ადარნესემ. ისტორიაში ადარნესე აშოტისძე პირველად იწოდება, ადარნესე დავითისძე — მეორედ.

ქართველთა მეფის წოდებას, ადარნესე მეორედან მოკიდებული, მხოლოდ ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენლები (ადარნესე მეორეს შთამომავლები) ფლობდნენ. ბაგრატიონთა ამ შტოს ეკუთვნოდა სრულიად საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ მესამეც. როდესაც დავით კურაპალატმა ბაგრატი და მისი მამა გურგენი უფლისციხეში ჩაიყვანა, ქართლის ფეოდალებს ასე მიმართა: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე.“

ბაგრატიონთა კლარჯეთის შტო კი XI საუკუნის ათიან წლებში ამოწყდა.

საქართველოს სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია ბაგრატიონთა საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენლების — დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) და თამარის (1189-1213) მეფობის დროს. ბაგრატიონთა დინასტიის სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ დემეტრე II თავდადებული (1270-1289), გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346), ალექსანდრე I დიდი (1412-1442), სიმონ I (1556-1600), ერეკლე II (1762-1798) და სხვები.

საუკუნეების განმავლობაში საქართველო და ბაგრატიონები იმდენად განუყოფელ ცნებებად იქცნენ, რომ უკიდურესად მძიმე ვი-

თარებაშიც კი სამეფო დინასტიის შეცვლის საკითხი არ დასმულა. ბაგრატიონთა დინასტიის შეცვლის ნებისმიერი მცდელობა ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლად აღიქმებოდა და ქართველთა მხრივ ადექვატური რეაგირების სამიშროებას შეიცავდა.

ამიტომაც, როდესაც ისტორიული ძნელბედობის გამო XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში მეფეებად კვლავ ბაგრატიონები დარჩნენ. ქართველები თვლიდნენ, რომ „სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩუენ ზედა.“

ქართლის პირველი მეფე იყო სრულიად საქართველოს მეფის — ალექსანდრე პირველის შვილიშვილი კონსტანტინე მეორე დემეტრესძე (1479-1505). 1658 წლიდან ბაგრატიონთა ეს შტო ქართლის ტახტზე მუხრანბატონების შტომ შეცვალა.

ბაგრატიონთა კახეთის შტოს დამფუძნებელი იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466). ქართლის ტახტისთვის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, 1466 წელს, იგი კახეთში გადავიდა და იქ გიორგი პირველის სახელით გამეფდა. 1744 წელს ამ შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ II ქართლის მეფე გახდა, მისმა შვილმა ერეკლე II კი 1762 წელს ქართლ-კახეთი კვლავ გააერთიანა.

ბაგრატიონთა დინასტიის იმერეთის შტოს სათავე დაუდო დავით VI ნარინმა (1245\47-93). ამ შტოს ბრწყინვალე წარმომადგენელია სოლომონ I (1754-1784), რომელმაც 1757 წელს ხრესილთან თერთმეტი ათასი მეომრით თურქთა ოცდაათათასიანი არმია გაანადგურა, აღკვეთა შინააშლილობა სამეგრელოში, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ტყვეთა სყიდვას და გააძლიერა თავისი სამეფო.

1810 წელს რუსეთმა გააუქმა მეფობა იმერეთში რუსეთის ხელისუფლებამ, ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები სამშობლოდან გაასახლდა, რითაც თავიდან აიცილა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია სამეფო დინასტიის რომელიმე წარმომადგენლის გარშემო. იმერეთის უკანასკნელი მეფის — სოლომონ II-ის მეფობით დასრულდა ბაგრატიონთა მეფობა საქართველოში.

ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულომ სათავე დაუდო რუსეთში გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარებს, ამ გვარის წარმომადგენლები ამჟამად ევროპაში — იტალიასა და ესპანეთში ცხოვრობენ.



ჯაყელები

ჯაყელთა საგვარეულო სამხრეთ საქართველოს (სამცხის) წარჩინებულ ფეოდალთა კლასს მიეკუთვნება. გვარის სახელწოდება წარმოდგება ჯაყისწყლის ხეობაში მდებარე ჯაყის ციხიდან. ჯაყელთა საგვარეულოს დამფუძნებელი უნდა იყოს ჩორჩანელთა გვარის წარმომადგენელი ბეშქენი — IX-X საუკუნეების მოღვაწის — მირიან ბაჰლაუნდის შუათანა ვაჟი. ბეშქენის შთამომავლობამ მეფისგან სამფლობელოდ ჯაყისწყლის, ფოცხოვისა და ურავლის ხეობები მიიღო. პირველ ჯაყელად წყაროებში მოხსენიებულია თუხარისის ერისთავი ბეშქენი (XI ს.). ის და მისი შთამომავლები წყაროებში ერისთავთ-ერისთავებად მოიხსენიებიან.

ქართულ სამეფო კარზე ჯაყელი ერისთავები არაერთ თანამდებობას ფლობდნენ. XII საუკუნიდან ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ მეჭურჭლეთუხუცესები (ბეჟა I), ამირსპასალარები (ალბულა I). 1334 წლიდან მოყოლებული სამცხის სამთავროს მფლობელნი ათაბაგის — მეფის აღმზრდელის ტიტულს ფლობენ. თვით სამთავრო კი — სამცხესაათაბაგოდ იწოდება.

XIII-XVI საუკუნეებში ჯაყელები ქორწინების გზით უნათესავდებოდნენ საქართველოს მეფეებსა და თავადებს, ტრაპიზონის იმპერატორებს, გამოდიოდნენ ტრაპიზონის იმპერიაში ქართული ორიენტაციის აქტიურ გამტარებლებად.

საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში (XI-XIII სს.) ჯაყელები მენინავე სადროშოს — ზემო ქართლის, იგივე მესხეთის ლაშქარს სარდლობდნენ. ჯაყელების წინამძღოლობით მესხებმა არა ერთი გამირული ბრძოლა გაუმართეს ჯერ თურქ-სელჩუკებს, შემდეგ მონღოლებს, უფრო გვიან კი ირანელ და თურქ დამპყრობლებს. ამ საგვარეულოს ბევრმა ღირსეულმა წარმომადგენელმა თავისი წონადი წვლილი შეიტ-

ანა საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების მიღწევაში.

ერთ-ერთი მათგანი იყო ივანე I (ყვარყვარე) ციხისჯვარელი. მაშინ, როდესაც მთელი აღმოსავლეთ საქართველო თითქმის უბრძოლველად ნებდებოდა მონღოლებს, მხოლოდ მესხნი ივანე ჯაყელის ხელმძღვანელობით გამირულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. რუსუდანის ნებართვით ივანე მხოლოდ მას შემდეგ ეახლა ჩალატა ნოინს, როცა ბრძოლა სრულიად უიმედო შეიქნა.

ივანე ჯაყელი არც ამის შემდეგ შერიგებია მონღოლთა უღელს. ცოცხნე დადიანთან, ეგარსლან ბაკურციხელთან, ვარამ გაგელთან, სარგის თმოგველთან და სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად იგი 1246 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კოხტასთავის შეთქმულებაში.

ჯაყელთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელია ბექა მანდატურთუხუცესი (1285-1306), როდესაც რუმის თურქებმა საქართველოს უკიდურესი სამხრეთ პროვინციის — ტაოს დარბევა დაიწყეს, ბექამ მესხთა ლაშქართან ერთად მეზობელი ქართული სახელმწიფოების ლაშქარიც იხმო და შეკრებილთ ასე მიმართა: „ძმებო ქართველებო! ჩვენში ადრე შემოჭრილ თურქთა ძლიერება მეფე დავით აღმაშენებელმა დაამხო. ახლა მათ ჩვენი დაქსაქსვით ისარგებლეს, კვლავ შემოიჭრნენ და ტაოს მხარეს გვიოხრებენ. მეომარნო, ტაო მარტო ჩვენი როდია, ის მთელი საქართველოსია და მას მტერს ვერ დავანებებთ. წინ! ან სიკვდილი ან გამარჯვება!“ ჭკვიანური სამხედრო გეგმისა და მხედრული შემართების წყალობით ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ.

საქართველოს ერთიანობისა და ძლიერებისთვის მებრძოლ მამულიშვილთა რიგებში გამორჩეული ადგილი უკავია ყვარყვარე ჯაყელს (1418-1498). კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ოსმალეთს გამეზობლებული სამცხე-საათაბაგო კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ეს მხარე ოსმალთა წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შექმნის აქტიურ მომხრედ და მონაწილედ გვევლინება. 1459 წელს ყვარყვარემ ახალციხიდან ელჩი მიავლინა ბურგუნდიის მთავართან. „ვერაგი თურქები ჩვენი საზღვრის სიახლოვეს გამოჩნდნენ თუ არა, — წერდა იგი მთავარს, — მაშინვე შევურიგდი ყველა ჩემს ქრისტიან მთავარს და გადავწყვიტე მთელი ჩემი ძალა და შესაძლებლობა ოსმალეების წინააღმდეგ მივმართო. კავშირი შევკარით მე, გიორგი მეფემ (ქართლის მეფე), ბაგრატ მეფემ (იმერეთის მეფე),

დავით ტრაპიზონის იმპერატორმა, სამეგრელოს მთავარმა, აფხაზეთის მთავარმა, მცირე სომხეთის მთავარმა და სხვებმაო“. ყვარყვარე ევროპელ მოკავშირეს არწმუნებდა, რომ მესხეთიდან ის 20 000 მეომარს გამოიყვანდა. სრულიად საქართველოდან კი 120 ათასი მხედრის გამოყვანის პირობას იძლეოდა. „თუ ოსმალებს ორ ჯარს შუა მოვაქცევთ, ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყრობთ ანატოლიას და ყველა ქვეყნებს, რომელიც ოსმალოს ამ მხარეს უჭირავსო“ — წერდა ის.


ყვარყვარე ათაბაგი გამჭრიახი და გამოცდილი სტრატეგის თვალთ ქვრეტდა ოსმალეთის მზარდი განვითარების ინერციას და დასავლეთის ლიდერებს აფრთხილებდა: „უწყოდეთ კარგად, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, მერე გულითაც რომ მოინდომოთ, ვერაფერს გააწყობთ, რადგან ურჯულო ოსმალეთი ყოველდღე ძლიერდება და შემდეგ, ჩვენ ველარ შევძლებთ ასეთ შეერთებას, როგორც დღესო“.

ქართველ პოლიტიკოსთა ასეთი ენერგიული ძალისხმევის მიუხედავად, დასავლეთის მიზებით, კოალიციური ლაშქრობის მოწყობის გეგმა მაინც ჩაიშალა.

ამან უკიდურესად გაართულა საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება. მომძლავრებული ოსმალების აგრესიის წინაშე ჩვენი ქვეყანა მარტოდ-მარტო აღმოჩნდა.

ქართული ფეოდალური მონარქიის დასუსტების კვალობაზე ქართულ სამთავროებში, მათ შორის სამცხეშიც, თავს იჩენდა სეპარატისტული განწყობილება. თავიანთი სეპარატისტული მიზნების მისაღწევად ჯაყელები არც თუ იშვიათად უკავშირდებოდნენ ირანელ და თურქ დამპყრობლებს და მათი დახმარებით ცდილობდნენ ცენტრალური ქართული ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩა ბექა ჯაყელი, რომელმაც 1625 წელს მონამლა საკუთარი ძმისწული მანუჩარ III, მაჰმადის რჯულზე მოექცა, ბექას ნაცვლად საფარ-ფაშა დაირქვა და ამ უკადრისი გზით ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს გამგებელი გახდა.

ამის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში მესხები ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ქართულ ენას, ჯაყელთა საგვარეულო კი, თვით თურქი ისტორიკოსების აღიარებით, კვლავაც „ჩამომავლობით ქართველებად“ იწოდებოდა.



იოანე პეტრინი

იოანე პეტრინი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო წარმომადგენელია. მის შესახებ წერდა თითქმის ყველა მის შემდგომი ქართველი მოაზროვნე, ამის მიუხედავად ბევრი რამ მისი ბიოგრაფიიდან მაინც უცნობია.

XVIII საუკუნის ქართველი მწიგნობარნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ იოანე პეტრინი წარმოშობით სამცხის დიდგვაროვან ოჯახს ეკუთვნოდა. იმავე წყაროს ცნობით, იოანე, როგორც ნიჭიერებით გამორჩეული და პერსპექტიული ახალგაზრდა ბაგრატი IV-ს საბერძნეთს წარუგზავნია „...რათა მიიღოს ენა ელინური და განისწავლოს ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებისა სწავლისა მიღებითა შინა“.

კონსტანტინეპოლში იოანეს სულ მალე დიდი სახელი მოუხვეჭია, როგორც უაღრესად განსწავლულ და პრინციპულ მოაზროვნეს. მანგანის აკადემიაში მისი მასწავლებელი იყო იოანე იტალოსი, რომელიც ქადაგებდა მაშინდელი რელიგიური დოგმატიზმისთვის მიუღებელ შეხედულებებს „დაუსაბამო მატერიის შესახებ“, აღიარებდა „ამაო ელინურ“ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „ყოველივე წარმოიშვა და გაფორმდა არ არარსისაგან“ და სხვა. იოანე პეტრინი თავისი მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი და მისი იდეური მოძრაობის აქტიური წევრი გახდა.

1083 წელს იტალოსი „ანათემას მიცემული“ აზრებისთვის გაასამართლეს და კონსტანტინეპოლიდან გააძევეს. მისი გასამართლების შემდეგ დაიწყო იტალოსის მომხრეთა სასტიკი დევნაც. იოანე პეტრინი იძულებული გახდა კონსტანტინეპოლი დაეტოვებინა. ზოგი მკვლევარის აზრით კონსტანტინეპოლიდან დევნილი პეტრინი ბულგარეთში, გრიგოლ ბაკურიანის მიერ აგებულ პეტრინონის მონასტერში ჩავიდა და ერთხანს იქ მოღვაწეობდა. სწორედ ამ მონასტერში მოღვაწეობის აღსანიშნავად უნდა მიეღო მას ზედწოდება „პეტრინი“. თუმცა, XVIII საუკუნის მოღვაწენი: დავით რექტორი, იოანე ბაგრატიონი და სხვანი ამ ზედწოდების სხვაგვარ ეტიმოლოგიას იძლევიან. მათი აზრით, იოანე პეტრინის ზედსახელი მისი „ფრიად მჩხრეკელი“ ხასიათიდან მომდინარეობს და მანგანის აკადემიაში სწავლისას უნდა შეერქმიათ მისთვის.

გელათის აკადემიის დაარსების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ქართული მეცნიერებისა და განათლების ამ ტაძართში „შემოიკრიბნა... კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“. დავითის მიერ აქ მოწვეულ მოღვაწეთა შორის ეფრემ მცირესა, არსენ იყალთოელსა, იოანე ტარიჭისძესა და სხვებთან ერთად იყო იოანე პეტრინიც. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, გელათის მონასტერი იქცა „ახალ რომად“, „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლად ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად“.

„ქართველთა და ბერძენთა“ მხრიდან „შურთა და ვერაგობათა“ მიუხედავად, რასაც, მისივე თქმით, იოანე პეტრინი, განიცდიდა, სწორედ გელათის აკადემიაში მოღვაწეობის დროს გამოჩნდა პეტრინის მრავალმხრივი ნიჭი. ის დიდად ემადლიერება დავით აღმაშენებელს, რომელმაც შეუქმნა მას ყველა პირობა მშვიდი და ნაყოფიერი მუშაობისთვის.

პეტრინმა მიზნად დაისახა არა მხოლოდ ის, რომ შეექმნა ქართული ფილოსოფიური ენა, არამედ ისიც, რომ ამ ენის საშუალებით ესწავლებინა ქართველი ყრმებისთვის აზროვნება, გამოემუშავებინა მათთვის უნარი „უსხეულოთა განცდისა“. გელათის მონასტერში პეტრინმა დააარსა „სასწავლებელი ყრმათათვის“, სადაც ის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

იოანე პეტრინმა კოლოსალური შრომა გასწია ქართული ენის „ბერძნულის დარად“ წარმოსაჩენად. მან შექმნა ქართული ფილოსოფიური ენა, ნათელი და გამჭვირვალე, მწყობრი ტერმინოლოგიური სისტემით, რომელიც აღბეჭდილია ისეთი მაღალი ოსტატობით და კეთილხელოვნებით, რომ როგორც აკადემიკოსი ნიკო მარი წერს, „შეიძლება მხოლოდ გაკვირვებას მიეცე ამ ამოუწურავი მარაგის გამო, რომელსაც ის ფლობს, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იპოვოს ქართულ ენაში შესაძლებლობანი აზრთა ყველა უმცირესი ნიუანსისა და ნაირგვარობის გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის მიხედვით, უაღრესად განყენებული და რთული დიალექტის ყველა სიძნელის გადასალახავად“.

სწორედ ამ უაღრესად დახვეწილი, მდიდარი ფილოსოფიური ენის გამო იოანე პეტრინს ძველ ხელნაწერთა ანდერძებში „ქართული ენის მზედ“, „ჩვენი ენის მამზევებლად და მადღევებლად“ მოიხსენიებენ. მან შექმნა ქართული ფილოსოფიური ენა, რომელიც თავისი გამომხატველობითი ძალით გაუტოლდა „ელინთა ენადღეობას“, „ბერძენთა უფსკრულ ღრმა ენას“.

იოანე პეტრინის თხზულებებმა და თარგმანებმა არა მხოლოდ გაამდიდრეს ქართული ფილოსოფიური მეცნიერება, არამედ შემოიტანეს მასში ახალი ნაკადი, რომელმაც მეტად პროგრესული როლი შეასრულა ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. პეტრინის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ნეოპლატონიზმის უკანასკნელი დიდი სისტემატიზატორის - პროკლეს მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მისი ფილოსოფიური თხზულება - „განმარტებაი პროკლესათვის დიადოხოსის და პლატონურისა ფილოსოფიისთვის“ დანერგულია პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ ვრცელი კომენტარების სახით. აქ მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უფრო ახლოს მივიდა ანტიკურ ნეოპლატონიზმთან და უფრო თანმიმდევრული ხასიათი მიიღო იდეებმა, რომლებსაც დასაბამი არეოპაგიტულმა მოძღვრებამ მისცა.

იოანე პეტრინმა ქართულად თარგმნა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებისანი“. მის კალამს ეკუთვნის ასორმოცდაათივე ფსალმუნის, აგრეთვე არისტოტელეს შრომების თანგმანები და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ

ცნობილი ძეგლის - „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ ავტორიც პეტრინი უნდა იყოს.

იოანე პეტრინის ფილოსოფიური შეხედულებანი განსაზღვრულია არა იმდენად ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობით, რამდენადაც XII საუკუნის ქართული სინამდვილით, საერთო განწყობილებათა და მისწრაფებათა მზარდი აღმავლობით.

პეტრინმა შექმნა ლიტერატურული სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე, მას არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა.

იოანე პეტრინი ძველ საქართველოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას ხშირად მიმართავს სულხან-საბა და „შუენიერ გემონად და სანადელად“ მიიჩნევს მის ენას. სოლომონ დოდაშვილი პეტრინზე წერდა: „ესე იყო ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ფრიად საყვარელი მოლექსე საქართველოსა შინა, სრულის აზრით იყო დიდი და ჩინებული კაცი დროისა თვისისა“. პეტრინს „დიდ მოაზროვნეს და ფართო ერუდიციის ფილოსოფოსს“ უწოდებს ნიკო მარიც.



შოთა რუსთაველი

მესხეთის, და სრულიად საქართველოს ყველაზე დიდი შვილი, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველია. მის მიერ რვა საუკუნის წინ შექმნილი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ სამართლიანად შედის მსოფლიო პოეზიის უდიდეს ნაწარმოებთა საგანძურში. ილია ჭავჭავაძის თქმით ამ პოემაში ერმა „ჩაატანა“ თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია სული და გული, შიგ ჩააწანა თვისნი უკეთურნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“. „ვეფხისტყაოსანმა“ სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ისტორიაში, მან დიდი გავლენა მოახდინა ქართული ეროვნული მენტალიტეტის, ქართველი კაცის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში. ის საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებდა და ასაზრდოებს ქართულ სულიერებას. „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო - იგივე „ვეფხისტყაოსანი“, - წერდა ვაჟა ფშაველა.

„ვეფხისტყაოსანის“ ავტორზე პირველი ცნობები თვით პოემის პროლოგშია დაცული: „დავჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახ-ვარსობილი“, და „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი“. აქედან სრულიად ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი რუსთავის მკვიდრია. მაშინდელი საქართველოს სოციალური იერარქიის გათვალისწინებით კი ის არა უბრალოდ მკვიდრი, არამედ ციხე-ქალაქ რუსთავის მფლობელი, მისი გამგებელი უნდა იყოს.

საქართველოში ორი რუსთავია. ერთი მესხეთში, ასპინძის რაიონში და მეორე ჰერეთში, თბილისის ახლოს. ამის გამო მეცნიერები ერთხანს დავობდნენ, თუ რომელი რუსთავი უნდა ეგულისხმათ „ვეფხ-

ისტყაოსანში“. დღეს შეიძლება სრულიად ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ პოემის ავტორი ასპინძის რაიონის რუსთაველი იყო. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ ხალხური გადმოცემები (ზეპირსიტყვიერება) და რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტობრივი მონაცემი (ხელნაწერი, ფრესკა, წარწერა და ა.შ.), არამედ პოემის ენა, ლექსიკურ-გრამატიკული ფორმები, მასში გამოყენებული შედარებები და მეტაფორები. „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ძნელად გასაგები სიტყვის მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მესხური მეტყველების გათვალისწინებით. როგორც აკადემიკოსი შოთა ძიძიგური აღნიშნავს, „გენიოსი პოეტის ენას სწორედ მესხური კილო ჰკვებავდა და ასაზრდოებდა“. აქვე უნდა ითქვას, რომ პოემაში თითქმის ყველა ქართული დიალექტი მონაწილეობს, მაგრამ ნაწარმოების მთავარი დედა-კილო, როგორც აღვნიშნეთ, უდავოდ მესხურია. საკმარისია დავასახელოთ სიტყვები: „გაბასრული“, „ერთი-სახე“, „ტანაჯორი“, „საჭოჭმანები“, „კოტა“, „პაშტა“, „ნობათი“, „დება“, „შამათი“, „ხელ-მანდილი“, „სადარანო“ და სხვ. „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ამ სიტყვების გაგება სხადასხვაგვარად შეიძლება, მაგრამ პოემის კონტექსტში ყველაზე მეტად მათი ის მნიშვნელობა ჯდება, რომელიც მესხეთშია გავრცელებული.

ხალხური გადმოცემების მიხედვით პოეტის დედას „იანი“ რქმევია. სწორედ ეს სახელი აქვს მიწერილი ქვაბისხევის (ბორჯომის რაიონი) მარიამწმინდის ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე გამოსახულ მანდილოსანს, რომლის გვერდით ახალგაზრდა მამაკაცია გამოსახული მინაწერით - „შოთა“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფრესკაზე რუსთაველი და დედამისია გამოსახული.

რუსთაველს მესხად მიიჩნევდა მეფე-პოეტი არჩილიც.

სავარაუდოა, რომ პოეტი სამეფო კარის დიდი მოხელე, მეფე თამართან დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე და ამავე საუკუნეში მონასტრის საალაპო ნიგნში შეტანილი მოსახსენიებელი „შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი“ გვაფიქრებინებს, რომ რუსთაველი თამარის კარის მეჭურჭლეთუხუცესი იყო. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სიცოცხლის მიმწუხრს შოთა რუსთაველი იერუსალიმში ჩავიდა, იქ ბერად აღიკვეცა და იქვე აღესრულა კიდეც. თუმცა, ჯვრის მონასტრის ფრესკაზე გა-



მოსახული პოეტი ერისკაცის სამოსელშია გამოსახული, რაც იმის ნიშანია, რომ ის ბერად არ აღკვეცილა.

როდის დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“?

პოემის ეპილოგში ავტორი ხოტბას ასხამს მეფე თამარს და მის „ლომს“ - დავით სოსლანს. თამარმა და დავითმა კი 1189 წელს იქორწინეს. დავით სოსლანი 1207 წელს აღესრულა. მაშასადამე, პოემა დროის ამ შუალედში უნდა იყოს დაწერილი.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ძალმოსილება, ღრმა აზრი და დაუშვრეტელი სიბრძნე გვაფიქრებინებს, რომ მისი შექმნა ხელენიფებოდა შემოქმედების ზენიტში მყოფ მგოსანს. ამის გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველი უნდა დაბადებულიყო XII საუკუნის 60-იანი წლების დამლევს ან 70-იანი წლების დასაწყისში.

„ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტის ნამდვილი ხერხემალი და პოემის იდეური შინაარსის მთავარი ღერძია სიყვარული და ძმობა-მეგობრობა. სიყვარული უნერგავს ადამიანს გმირულ სულისკვეთებას, უმახვილებს საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობას. „სიყვარული აგვამალლებს“ - ამბობს ავთანდილი, პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი. ამავე დროს, ეს შეუძლებელია მეგობრული ერთგულების, ძმური თავდადების გარეშე. ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა პირნათლად შეასრულეს ბრძნულ აფორიზმებში გამოხატული ძმადნაფიცობის წესი: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული - გზად და ხიდად“. „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ეროვნების ძმადნაფიცთა საარაკო ძმობა-მეგობრობის ჩვენებით რუსთაველმა მშფოთვარე შუა საუკუნეების ეპოქაში ერთ-ერთმა პირველმა უმღერა ხალხთა მეგობრობის იდეას.

პოემის გმირები მუსლიმები არიან. ამისდა მიუხედავად მათში „ქართული გული ძგერს“ (ივ. ჯავახიშვილი). პოემის ავტორი აშკარად ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარია, თუმცა ეს ხელს არ უშლის

მას დიდი სიყვარულითა და სითბოთი ძერწოს თავისი მუსლიმი გმირების იდეალური სახეები. რუსთაველი თავისუფალია რელიგიური დოგმებისგან. ის ერიდება სარწმუნოებრივი სანესო ფორმების ჩვენებას და პირდაპირ არც ერთხელ არ ახსენებს ქრისტიან ან ქრისტიანულ წმინდანებს.

„ვეფხისტყაოსანში“ ბუნებრივი ასახვა ჰპოვა ისტორიული საქართველოს ცოცხალმა სინამდვილემ. თამარის დროინდელ საქართველოში ქალის უფლებებისა და ღირსების საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ნესტანისა და თინათინის იდეალურ სახეთა შექმნით რუსთაველმა ქართულ პოეზიაში უკვდავყო ქალის ღირსება. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა მან მოხდენილი აფორიზმით გამოხატა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

შუა საუკუნეების პოეზიაში ეს უპრეცედენტო რამ იყო. ამით რუსთაველმა ბევრად გაუსწრო თავის ეპოქას.

„ვეფხისტყაოსანს“ წითელ ზოლად გასდევს პატრიოტიზმის იდეა. პოემის გმირები თავიანთი ქვეყნების მხურვალე პატრიოტები არიან. თვით „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალებიც კი თავიანთ პიროვნულ გრძნობებზე, სიყვარულზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებენ. ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტან-დარეჯანი წერს ტარიელს: „ნადი ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეინრებულსა, ყოვლგნით ხელ-აუპყრობელსა“.

რუსთაველის გმირები გვიბლავენ სიცოცხლის სიყვარულით, ვაჟკაცობით, რაინდული ზრდილობით, მაღალი ზნეობით, დიდსულოვნებით, პოეტი გვასწავლის, რომ უშრომლად, მსხვერპლის გაუღებლად, შეუძლებელია მიზნის მიღწევა. ჭირსა და განსაცდელს კი მედგრად, შეუპოვრად უნდა შეხვდე: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვითკირსა“.

საუკუნეების მანძილზე იმეორებდა თავისი გენიალური წინაპრის ამ შეგონებას ქართველი კაცი. „ვეფხისტყაოსანი“ იქცა ქართველი ხალხის მეორე სახარებად. საქართველოში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ადამიანები, რომლებმაც ზეპირად იციან პოემა.

რუსთაველის მხატვრული აზროვნება ყოველთვის ობიექტურ სინამდვილეს, რეალისტურ საფუძველს ემყარება. იგი შეგნებულად გაურ-

ბის შუა საუკუნეების მწერლობისთვის დამახასიათებელ ფანტასტიკურობას და ზღაპრულობას. იგი ზოგჯერ აზვიადებს პოემის გმირთა ფიზიკურ ძალას, გარეგნულ სილამაზეს, მორალურ თვისებებს, თავისუფალ გასაქანს აძლევს თავის მდიდარსა და ლალ ფანტაზიას, მაგრამ არასოდეს არ წყდება რეალობას. ამ თვალსაზრისით, რუსთაველი შორს გასცდა თავის ეპოქას, მან მკაფიოდ გამოამჟღავნა ის სულიერი განწყობილებანი, რაც ჩვეულებრივ, ევროპული რენესანსის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებებად არის მიჩნეული. ამიტომაც, სავსებით საფუძვლიანად, რუსთაველი მიჩნეულია კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში ადრეული რენესანსის ერთ-ერთ უპირველეს ბაირახტარად.

პოემის სიდიადის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია იშვიათი ენობრივი სამკაულები — მოხდენილი მეტაფორები და შედარებანი, ზუსტი ეპითეტები, პარალელიზმები, მხატვრული განმეორებანი და ბოლოს, სალექსო ფორმა შაირი, რომლის გამომხატველობითი შესაძლებლობანი რუსთაველმა სრულყოფილებამდე აიყვანა. რუსთაველის აფორიზმები ისეა ხალხში გავრცელებული, რომ დღეს ჭირს გარკვევა - რუსთაველიდან შეითვისა ისინი ხალხმა, თუ ხალხიდან აიღო რუსთაველმა ეს მარგალიტები.

ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ 150-ზე მეტი ხელნაწერი.

„ვეფხისტყაოსანი“ დღეს თითქმის მსოფლიოს ყველა ხალხის ენაზეა თარგმნილი. იგი სავსებით სამართლიანად არის აღიარებული ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მხატვრულ ქმნილებად. „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის საუკეთესო პოემაა, რომელიც კი ოდესმე ევროპაში წარმოშობილა“, — წერდა ბალმონტი. „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური გენიის სრულყოფილი ქმნილებაა. იგი შედის მსოფლიოს კლასიკური პოეზიის უდიდეს ნაწარმოებთა საგანძურში“, - აღნიშნავდა ნიკოლოზ ტიხონოვი. „რუსთაველი დანტეზე გაცილებით მაღლა დგას თუნდაც იმით, რომ მან მთელი საუკუნით ადრე და უკეთაც იქადაგა ის, რაც დანტემ დიდი მოგვიანებით დაგვიწერა“, - ამბობდა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურად მთარგმნელი გუსტავო დე ლა ტორე ბოტარო. „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომლითაც ერთ-

ნაირად მოიხიბლება აღმოსავლეთიც და დასავლეთიც. და მაინც, იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“, - აღნიშნავდა გ. ბაურა.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემის მსოფლიო აღიარების ნათელი დასტურია იუნესკოს სახელით შოთა რუსთაველის იუბილეს ორგანიზის (1937 წელს - 750 წლისთავი და 1966 წელს - 800 წლისთავი) აღნიშვნა. მსოფლიო მშვიდობის საბჭომ რუსთაველის 800 წლისთავის დღეებში განაცხადა: „ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის შოთა რუსთაველის ქმნილებამ ფართოდ გაითქვა სახელი მრავალ ქვეყანაში და ხალხი ყველგან აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, როგორც მსოფლიო კულტურის დღესასწაულს“.



შალვა და ივანე ახალციხელები

1225 წლის აგვისტო. გარნისის ველზე ერთმანეთის პირისპირ ჩამონკრივებულან: ერთ მხარეს ჯალალედინი თავისი მხედრობით, მეორე მხარეს — ქართველთა ლაშქარი ივანე მხარგრძელის წინამძღოლობით.

ჯალალედინი მამაცი სარდალი, მაგრამ უნიჭო პოლიტიკოსი იყო. მონღოლთაგან დამარცხებულმა და დევნილმა, იმის მაგივრად — მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირენი ეძებნა, სხვა ქვეყნების დაპყრობასა და აოხრებას მიჰყო ხელი.

და აი, იგი საქართველოს მოადგა. ქართველებს მან მედიდური ტონით თავისი დროშის ქვეშ დგომა შესთავაზა. ქართველებმა იუკადრისეს და პასუხად მისწერეს: მამაშენიც შენსავით მოტრაბახე იყო, მაგრამ ხომ ნახე, მონღოლებმა რა უქნეს, მაშინ, როცა ეგ მონღოლები ჩვენ დავამარცხეთ და უკუუაქციეთო. მტრის წინააღმდეგ ქართველებმა 60 ათასი მხედარი გამოიყვანეს. როგორც ყოველთვის, ქართველთა მენინავე რაზმს მესხები შეადგენდნენ. მესხთა 4 ათასიან ლაშქარს სახელოვანი სარდლები — შალვა და ივანე ახალციხელები წინამძღოლობდნენ.

ქართველთა გეგმა ასეთია: მესხები პირველნი ეკვეთებიან მტერს. მალე მათ მთავარსარდალი ძირითად ძალებს მიაშველებს... მესხთა ლაშქარს ჯალალედინმა ათჯერ მეტი მხედრობა დაუპირისპირა. შალვამ და ივანემ ათაბაგს მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შესახებ აცნობეს და ბრძოლაში გადაეშვნენ.

გაჭირდა ბრძოლა. უკვე დროა ქართველთა ძირითადი ძალები წამოეშველონ მესხებს. დახმარება კი იგვიანებს. შალვა ახალციხელი

მთავარსარდალთან შიკრიკს აგზავნის და დახმარებას ითხოვს, თვითონ კი პირადი მაგალითით ამხნევეს თავის მხედრობას...

დახმარება კვლავ არ ჩანს. შალვა ისევ აგზავნის შიკრიკს. თავგანწირვით იბრძვიან მესხნი, მაგრამ ძალები მეტისმეტად უთანასწოროა. ერთი მუჭა მესხების წინააღმდეგ, ლამის, ჯალალედინის მთელი ლაშქარი იბრძვის...

მეტისმეტად შეთხელდა მესხთა რიგები. გმირულად დაეცა ივანე ახალციხელი. რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად ლომივით იბრძვის შალვა ახალციხელი. დახმარება კი არა და არ სჩანს.

ერთიანად ამოწყდა მესხთა ლაშქარი. საჭურველდამსხვრეული შალვა მტერმა შეიპყრო.

ივანე მხარგრძელმა კი, რომელიც მალლობიდან ადევნებდა თვალს ბრძოლას, ქართველთა ძირითადი ლაშქარი შეაბრუნა და ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაიქცა.

რატომ მოიქცა ივანე მხარგრძელი ასე სულმდაბლად?

საქმე ისაა, რომ ქართულ მხედრობაში მას სათანადო ავტორიტეტი არ გააჩნდა. შალვა და ივანე ახალციხელების პოპულარობა კი დღით-დღე იზრდებოდა. განსაკუთრებით შალვამ გაითქვა სახელი.

ჯერ კიდევ თამარის დროს, შამქორის ომში, შალვა ახალციხელმა გულდაგულ მიაგდო ცხენი თურქ-სელჯუკთა მედროშეზე, განგმირა იგი და დროშა ხელთ იგდო. დროშის დაკარგვამ სულიერად გატეხა მტერი და ბრძოლის ბედი ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

შესაშური ოსტატობით აღწერს თამარის ისტორიკოსი შამქორის ბრძოლაში ქართველთა გმირობას: „დაათვრნეს ისარნი სისხლითა და ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა მათთსა“.

უებარი ვაჟკაცი იყო შალვას ძმა ივანე ახალციხელიც. თამარ მეფემ ის „მენაპირედ აჩინა“ და ათაბაგობა და ამირთამირაობა უბოძა. ივანემ მოსვენება არ მისცა მტერს. შეშფოთებულმა რუმის სულტანმა რუქნადინმა თურქთა კოალაციური ლაშქარი შეკრიბა და თავისი მხედრობის სიმრავლით გულმოცემულმა თამარს კადნიერი წერილი აახლა. „...ყოველი დიაცი რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართველთა დახოცად მუსულმანთა... ან წარმომივლენია მხედრობა ჩემი, რათა აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა...“ თავისი ბატონის ამ თავხედურ წერილს მოციქულმა სიტყვიერად დაამატა: „უკეთუ მეფემან თქუნმან

დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და თუ უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა."

ელჩს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ზაქარია მხარგრძელმა ისე ძლიერ „უხეტქა ხელითა პირსა“, რომ იგი გონდაკარგული დაეცა. მოსულიერებულს კი ზაქარიამ უთხრა: მოციქული რომ არ იყო, შენი სასჯელი ჯერ ენის ამოგლეჯა, შემდეგ კი თავის მოკვეთა იქნებოდაო.

თამარმა ლაშქრის სასწრაფოდ შეყრა ბრძანა, ელჩი კი უკან მხოლოდ მაშინ გაუშვა, როდესაც ქართველთა მხედრობა მტრის ბანაკს მიუახლოვდა, რითაც ამ უკანასკნელს მანევრირების საშუალება მოუშპო.

დავით სოსლანმა თავისი ფეხოსანი ლაშქარი ცენტრში განალაგა, ცხენოსან ჯარს კი თვითონვე უსარდლა და მტრის ჯარს ფლანგებიდან შემოუარა. ფიცხელ ბრძოლაში კიდევ ერთხელ ისახელა თავი შალვა ახალციხელმა. იგი ჯიქურ მიეჭრა სელჯუკთა მთავარსარდალს და საჩრდილობელი თავზე დაამხო. რუქნადინმა სამარცხვინო გაქცევით საკუთარი ტყავის გადარჩენალა შეძლო, ბრძოლის ბედი კი უკვე გადანყვეტილი იყო. ქართულმა მხედრობამ კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მტრის აშკარად ჭარბ ძალებზე.

ასეთი საგმირო საქმეების შემდეგ შალვა და ივანე ახალციხელების პოპულარობა საქართველოში ძალზე გაიზარდა. მათი ავტორიტეტი ბევრად აღემატებოდა ივანე მხარგრძელის ავტორიტეტს.

სწორედ ამის გამო შეიძულა ისინი მხარგრძელმა. სულმდაბლობამ და შურმა ისე დააბრმავა ივანე ათაბაგი, რომ არა თუ ახალციხელები გაიმეტა სასიკვდილოდ, ქვეყნის ბედიც სასწორზე შეაგდო.

ჯალალედინი უზომოდ გაახარა ქართველთა ყველაზე გამოჩენილი სარდლის დატყვევებამ. შალვას მან ადარბადაგანის რამდენიმე ქალაქი უბოძა და თავისი ჯარების სარდლობა შესთავაზა.

შალვა ახალციხელი ტყვეობაშიც გამუდმებით სამშობლოზე ფიქრობდა. მტრის ბანაკიდან ის საქართველოში ფარულად წერილებს აგზავნიდა და ქართველებს ჯალალედინის გეგმებს ატყობინებდა. მისი წერილები მტრის მსტოვრებმა იგდეს ხელთ. განრისხებულმა ჯალალედინმა შალვას სჯულის შეცვლა მოსთხოვა.

შალვა ახალციხელმა, თავისი დროის ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა სარდალმა, სჯულისა და სამშობლოს ღალატს რაინდული სიკვდილი არჩია.

მადლიერი შთამომავლობა სათუთად ინახავს ქვეყნისთვის თავდადებული რაინდის ხსოვნას. მემატიანე მასზე წერდა: „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრ ჭაბუკი და მეომარი.“ ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ დიდებული ქართული სიმღერა „შავლეგო“ ხალხმა შალვა ახალციხელზე შექმნა.



ანთიმოზ ივერიელი

„მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მიწაზე, მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმა ბრძენ ივერიელთა მოდგმისა“.

ნიკიფორე მარტალისი

ანთიმოზ (ანთიმ) ივერიელის წარმომავლობის შესახებ ისტორიული წყაროები არაფერს გვეუბნებიან. სამაგიეროდ, არსებობს ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ანთიმოზი სამცხის, კერძოდ, ადიგენის რაიონის სოფელ უდეს მკვიდრი ხურციძეების გვარის წარმომადგენელი იყო. იმავე გადმოცემის მიხედვით ანთიმის დედას მარიაში რქმევია, მამას — ივანე. უცნობია ანთიმ ივერიელის დაბადების ზუსტი თარიღიც. პოეტ გოგლა ლეონიძის ვარაუდით, იგი დაბადებული უნდა ყოფილიყო 1650-1660 წლებს შორის.

თავისი დროის კვალობაზე ანთიმს ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიუღია. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი არჩილ მეფეს ხლებია რუსეთში და ქართული სტამბის დაარსების აქტიური მონაწილეც ყოფილა. სამშობლოსკენ მომავალს თავს კავკასიელი მთიელები დასხმიან, შეუპყრით და სტამბოლის ბაზარზე მონად გაუყიდიათ. 1886 წელს პარიზში გამოცემულ ვრცელ მონოგრაფიაში „ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები ვლახეთის მიტროპოლიტის, მესტამბე ანთიმ ივერიელის შესახებ“ ფრანგი ისტორიკოსი ემილ პიკო წერს: ანთიმ ივერიელი დიდი ხნის წამოსული უნდა ყოფილიყო თავის სამშობლო საქართველოდან. იგი არასოდეს არ უშვებდა ხელიდან შემთხვევას თავისი ქართული წარმომავლობა აღენიშნა. მან, უცხოელმა, საქართველოს წიალიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა. ტყვეობიდან ანთიმოზი იერუსალიმის პატრიარქს — დისოთეოსს გამოუსყიდა და ნიჭიერი ყმანვილი საპატრიარქოში დაუტოვებია. აქ ანთიმმა კიდევ უფრო გაიღრმავა ცოდ-

ნა და სრულყო თავისი ხელოვნება როგორც გრავირების ოსტატმა და კალიგრაფოსმა. დაახლოებით 1689-1690 წლებში ივერიელი ვლახეთის (დღევანდელი რუმინეთის ცენტრალური ნაწილი) დიდი მთავრის — კონსტანტინე ბრინკოვიანუს მინვევით ვლახეთს გაემგზავრა. მინვევის მიზეზი უნდა ყოფილიყო ბრინკოვიანუსა და ბერძნული საპატრიარქოს შეთანხმება ვლახეთში სტამბის დაფუძნების შესახებ.

ვლახეთში ჩასვლისთანავე ივერიელი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს და უმოკლეს დროში 4 სტამბა დააარსა. ამ სტამბებში ბერძნულ, რუმინულ, ძველსლავურ, თურქულ და არაბულ ენებზე გამოცემული წიგნებით ვლახეთი მალე „გადაიქცა ცენტრად, რომელიც მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა“. თვით ანთიმოზ ივერიელი სრულყოფილად ფლობდა ყველა ზემოდასახელებულ ენას. მის სტამბებში გამოცემული 75 დასახელების წიგნიდან ოთხის ავტორი თვით ანთიმოზ ივერიელია, კიდევ 5 წიგნისთვის მან ლექსები შეთხზა, 10 წიგნს დაურთო წინასიტყვაობა, ხოლო 6 წიგნი მის მიერ ბერძნულიდან არის თარგმნილი.

რუმინული საეკლესიო და სალიტერატურო ენის განვითარებას დიდი სტიმული მისცა ამ ენაზე წიგნების გამოცემამ. თვით ანთიმოზი ისე სრულყოფილად დაეუფლა რუმინულ ენას, რომ ამ ენის ერთ-ერთი დიდი რეფორმატორის სახელი დაიმკვიდრა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ივერიელის სტამბებში სხვადასხვა ენებზე გამოცემული წიგნები მეზობელ ქვეყნებში, პრაქტიკულად მთელს მართლმადიდებელ საქრისტიანოში ვრცელდებოდა. ამის გამო ანთიმოზი თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი განმანათლებლის სახელითაც სარგებლობდა.

ანთიმოზ ივერიელის ძალისხმევით პირველი ქართული სტამბა 1712 წელს დაარსებულ იქნა თბილისშიც.

ანთიმოზ ივერიელი იყო უბადლო არქიტექტორი, ხუროთმოძღვარი, ფერმწერი, გრავიორი, ხეზე ჭრის ოსტატი. მისი უშუალო მონაწილეობით ვლახეთში აგებული, აღდგენილი, მოხატული და მოჩუქურთმებული იქნა ოცზე მეტი ეკლესია-მონასტერი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმინდა მონასტერი“, რომელიც ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ ძეგლად არის აღიარებული და რომელსაც ხალხი დღესაც სიყვარულით „ანთიმის მონასტერს“ უწოდებს.

1708 წელს გარდაიცვალა უნგარო-ვლახეთის მიტროპოლიტი, ანუ რუმინეთის უმაღლესი სასულიერო პირი — თეოდოსი, რომელიც 40 წლის განმავლობაში ედგა სათავეში ვლახეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. სიკვდილის წინ თეოდოსიმ დატოვა ანდერძი, რომელშიც მიტროპოლიტის ტახტის დასაკავებლად რეკომენდაციას უწევდა რიმნიკის ეპისკოპოსს ანთიმ ივერიელს. თეოდოსის რეკომენდაციას მხარი დაუჭირეს დაკრძალვაზე ჩასულმა ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქებმა. ივერიელის კანდიდატურა ერთხმად მოიწონეს ვლახეთის საერო და სასულიერო პირებმა, მათ შორის, ვლახეთის მთავარმა ბრინკოვიანუმ. ამ უკანასკნელმა თხოვნით მიმართა კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს და მისგან ნებართვის მიღების შემდეგ 1708 წლის 22 თებერვალს საზოგადოებას წარუდგინა ყველა საეკლესიო წესის დაცვით აღსაყდრებული ვლახეთის ახალი მიტროპოლიტი ანთიმ ივერიელი.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს აქტში ამ ფაქტთან დაკავშირებით ნათქვამია: „იყო არჩეული სხვათაგან განსხვავებით, როგორც ყველაზე შესაბამისი ღვთისმოყვარე ეპისკოპოსი რიმნიკიდან ანთიმო, რათა მიეღო სამღვდელმთავრო და სამწყსო გამგეობა ამ სამიტროპოლიტოსი, როგორც კაცს პატიოსანს და ღვთისმოსავს, რაც ზედმინევენით საჭიროა სამღვდელმთავრო ხარისხისთვის“.

წინამძღვარი ნიკიფორე მარტალისი წერდა: „მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მიწაზე, მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმან ბრძენ ივერიელთა მოდგმისა, ღმერთმა იგი დააჯილდოვა სიბრძნის უშრეტეი წყაროთი, რათა მას მოემოქმედა კეთილი საქმენი და თავისი სტამბით მოეტანა სარგებლობა ხალხისთვის ამ ქვეყნად“.

თანამედროვე რუმინელი ისტორიკოსის გ. შტრემპელის აზრით ანთიმ ივერიელი იყო ფართოდ ერუდირებული ადამიანი. თავის ქადაგებებში ის ხშირად იმონებდა ბერძენ ფილოსოფოსებსა და მწერლებს: არისტოტელეს, ანაქსაგორას, დემოკრიტეს, სოკრატეს, ანაქსიმანდროსს, ჰესიოდეს. მის თხზულებებში შეხვდებით ალექსანდრე მაკედონელის, არტაქსეს, ჩინეთის იმპერატორის თუმ კუინის სახელებსაც, სხვა რუმინელი ისტორიკოსი ნიკოლაი იორგა კი ხაზს უსვამს ივერიელის ქადაგებების უაღრესად მაღალ დონეს და აღნიშნავს, რომ ეს

იყო უმშვენიერესი ქადაგებანი, რაც კი ოდესმე სმენია რუმინელთა ყურსო.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ანთიმოზის ზედწოდება „ივერიელი“ ნაწარმოები უნდა იყოს ათონის ივერიის მონასტრისგან. ამ მონასტრის ნებისმიერ ბერს, მისი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, შეეძლო „ივერიელის“ სახელი ეტარებია. ამგვარი ლოგიკით მავანნი ცდილობენ ეჭვსკვეთ დააყენონ ანთიმოზ ივერიელის ქართველობა. თუმცა, უტყუარი ფაქტების წინაშე ასეთი მცდელობანი უიმედოდ ფერმკრთალდებიან. 1701 წელს გამოცემულ ბერძნულ-არაბულ „კონდაკში“ თვით ანთიმოზი თავის თავს „ძირად გურჯს“ უწოდებს. 1702 წელს კი ბუქარესტში არაბულ ენაზე გამოცემულ „ჟამნის“ ბოლოსიტყვაობაში ივერიელი აღნიშნავს: „დაიბეჭდა ბუქარესტსა უნგროვლახეთისასა, ხელითა ანთიმოზ მღვდელმონაზვნისათა, ძირად ქართველისა (არაბულ ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „გურჯი“).

ანთიმოზ ივერიელის თანამედროვე დელ კიარო თავის „ვლახეთის რევოლუციაში“ წერდა: „ჩემს დროს სტამბის ხელმძღვანელი იყო ანთიმო, ვლახეთის მიტროპოლიტი, ეროვნებით ქართველი“. მისივე ცნობით ანთიმოზს ერისკაცობაში ანდრია რქმევია. ანთიმოზი ანდრიად მოხსენიებულია ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც.

ანთიმოზის ღრმა და საფუძვლიანი განათლება მოწმობს, რომ ის დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი იყო. დაბალი წრის წარმომადგენელს ასეთ განათლებაზე მაშინ ხელი არ მიუწვდებოდა. მის წარჩინებულ გვარიშვილობაზე მეტყველებს მიტროპოლიტ თეოდორეს მიმართვაც ანთიმოზისადმი რიმნიკის ეპისკოპოსად ამ უკანასკნელის კურთხევის დროს: „შენ ერთგულო ღვთისმსახურო, შვილო კეთილშობილი მშობლებისა“. რუმინელი მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ რუმინეთში ტაძართა რესტავრაციის თუ ახალთა მშენებლობის დროს ანთიმოზმა გამოიყენა ბეთანიის, ნიკორწმინდის, იშხნის და მცხეთის მონასტრების დეკორატიული ფორმები და ორნამენტები.

ამ ფაქტიდან რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება:

1. ანთიმოზ ივერიელი კარგად იცნობდა არა მხოლოდ მესხეთის, არამედ სრულიად საქართველოს ხუროთმოძღვრებას;

2. სამშობლოში ყოფნის დროს მას მთელი საქართველო ჰქონია შე-
მოვლილი;

3. საქართველოდან ის არა ბავშვობისას, როგორც ამის დამტკიცე-
ბას ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს, არამედ ზრდასრულ ასაკში უნდა
იყოს გატაცებული:

ანთიმოზ ივერიელი არ ყოფილა მხოლოდ სასულიერო მოღვაწე. ის
აქტიურად იყო ჩართული რუმინეთის პოლიტიკურ პროცესებშიც და
შეუპოვრად იბრძოდა რუმინეთის დამოუკიდებლობისთვის. თავისი
მგზნებარე რუმინელი პატრიოტიზმით, რომელიც ხელს არ უშლიდა მას
თავისი ისტორიული სამშობლოს სიყვარულში, უდიდესი საგან-
მანათლებლო და სასულიერო მოღვაწეობით, ამაღლებული და კაცთ-
მოყვარე ბუნებით ანთიმოზმა მთელი რუმინელი ხალხის გულწრფელი
სიყვარული დაიმსახურა.

სწორედ უცხოელ დამპყრობელთაგან ვლახეთის გათავისუფლები-
სთვის ბრძოლას შეეწირა კიდევ უცხოეთში მოღვაწე ბრწყინვალე
პიროვნება, ქართველი და რუმინელი ხალხების დიდი შვილი ანთიმოზ
ივერიელი. 1716 წლის 27 სექტემბერს თურქი დამპყრობლების ხელით
იგი მონამეობრივად აღესრულა.

1992 წლის 27 სექტემბერს რუმინეთის მართლმადიდებლურმა
ეკლესიამ ანთიმ ივერიელი წმინდანად შერაცხა. საქართველოს წმინ-
და სინოდმა რუმინეთის ეკლესიის მიერ მიღებული ამ აქტის კანონ-
იზაციის შედეგად ანთიმოზ ივერიელის მოხსენიების დღედ 26 ივნისი
დააწესა.

რუმინელი ხალხი სათუთად ინახავს ანთიმ ივერიელის ხსოვნას.
„რამდენჯერაც დახედავს მზე რუმინეთის მიწას, იმდენჯერ რუმინე-
ლი ხალხი სიყვარულით და პატივისცემით გაიხსენებს ანთიმ ივერი-
ელს, რომელმაც დასდო საძირკველის ქვა რუმინეთის კულტურის ბა-
ლავარში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა მისი თავისუფლებ-
ისთვის“, — წერდა რუმინელი ისტორიკოსი.



ივანე გვარამია

1831 წელს, როდესაც ივანე გვარამია დაიბადა, მესხეთის ქართველობა კონფესიებად დანაწილებული და დაჩიხული იყო. ამის მიუხედავად, როგორც მართლმადიდებელ, ისე კათოლიკე და მაჰმადიან მესხებშიც კვლავ ცოცხლობდა XVIII საუკუნეში ერეკლეს მიერ შემუშავებული „ხსნისა და აღდგომის“ იდეოლოგია. ქართველი პატრიოტები კვლავაც დიდი შემართებით ცდილობდნენ ეროვნული სულის შენარჩუნებას. მესხეთის მაჰმადიანი ქართველობა მალულად კვლავ ქრისტეს რჯულზე ლოცულობდა და მოუთმენლად ელოდა სრულიად საქართველოსთან გაერთიანებას.

ივანეს მამა, თვით ივანეს თქმით, „ერთი ახალციხელი გლაზაკი კაცი იყო, ხვნა-თესვა არ იცოდა, მენვრილმანე იყო, იცოდა ქსელის ბეჭვა, კარგი მექუდეობაც“. დროდადრო იმერეთის სოფლებში მენვრილმანეობდა, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ - „ფეხზედ ვაჭრობდა“. ერთხელ, მორიგი ვაჭრობის დროს, ქუთაისიდან ახალციხისკენ მიმავალ პავლეს და მის კომპანიონებს — თომა კალაიჯიშვილს და სტეფანე ტინტიკაშვილს მეფის ამაღა გადაჰყრია. ვაჭრებს მეფე უცვნიათ, მაშინვე ჩამოქვეითებულან და მეფისთვის თაყვანი უციათ. ტინტიკაშვილს ჩითის ახალი ახალუხი“ სცმია. მეფეს მოწონებია და უთქვამს: „რა კარგი რამ შეგიკერნიაო, სწორედ რომ დამმშვენდებოდაო“. ტინტიკაშვილი არ დაბნეულა, - „თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო“, - უმაღ გაუძვრია და იქვე მდგარ მეფის პირისფარეშისთვის გადაუცია.

შემდეგში, პავლე, ამ ამბავს რომ იხსენებდა, ღიმილით ამბობდა თურმე: „ტინტიკაშვილის ნაცვალ ტანსაცმელს მეფენიც კი არ უკადრისობენო“.

თავიანთი ეროვნული იდენტობის დაცვის ხაზით მესხეთის ქართველობის მიძიმე ყოფაზე მეტყველებს პავლეს ცხოვრების ასეთი ეპიზოდიც: რუსი ოფიცრების ერთ-ერთი დავალების შესრულების შემდეგ რუსის კაპიტანს ჯილდოზე პავლეს წარდგენა მოუსურვებია და მისი გვარი უკითხავს, თურქთა ბატონობის დროს გვარს ფუნქცია დაკარგული ჰქონდა, რის გამოც არათუ ნაცნობებმა, ახლობლებმაც კი ერთი-მეორის გვარი არ იცოდნენ. ამიტომაც პავლეს გვარი ვერავინ გაიხსენა. ბოლოს ერთ ქუთაისელს უთქვამს - მაგის ძმას ვიცნობ, ის მესარკოვია გვარადო. ამის გამო პავლე ჯილდოზე მესარკოვის გვართი წარადგინეს. ის ქუთაისელი მესარკოვი მართლაც პავლეს ნახევარძმა ყოფილა დედის მხრიდან.

მალე პავლეს სახელზე სწორედ მესარკოვის გვართი მოსულა „ტელმაკი“. პავლე ჯილდოს ისე გაუხარებია, რომ თავადაც მესარკოვად დაწერილა, რომ ეჭვი არავის გასჩენოდა და „ხელმწიფის ჯილდო უკან არ წაეღოთ“.

ამ ერთი შეხედვით, სასაცილო ისტორიამ ივანეს შემდეგ ბევრი თავსატეხი გაუჩინა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სომხური რიტის გამო დოკუმენტებში ივანე არა პავლეს ძედ, არამედ პოლოსას ძედ (პავლეს სომხური შესატყვისი) მოიხსენიებოდა, გასაგები გახდება მესხეთის კათოლიკე ქართველების ეროვნული წარმომავლობის დამახინჯების ხარისხი.

პატარა ივანეს წერა-კითხვა დედის მხრივ თავისი პაპის ოჯახში მოქმედ სასწავლებელში შეუსწავლია. ბავშვობის წლებში იგი მამას იმერეთში დაჰყვებოდა და ვაჭრობაში ეხმარებოდა. დაკვირვებულმა ბავშვმა კარგად შეისწავლა დასავლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრება და იმერლების მეტად საინტერესო დახასიათებაც მოგვცა: „მომწონდა იმერლების გულუმანკოება, სიმკვირცხლე, დედაკაცების ზრდილობა, კეკლუცობა და მათი საზოგადო მარტივი გლეხკაცური ცხოვრება... იმერლები თავისი ხასიათით იყვნენ მხიარულნი, გულუხვნი, სამართლიანნი, მისანდონნი, ისეთნი, რომელთა გულზე ციხე-ქალაქი აშენდებოდა“ - წერდა მოგვიანებით ივანე გვარამაძე.

მეჩვიდმეტე წელში გადამდგარი ივანე მშობლებმა გასომხებული ქართველის, პავლე შაჰყულიანთის განმაურებულ სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სწორედ აქ დაეუფლა ის სრულყოფილად ძველ და ახალ სომხურ ენებს, რაც შემდეგ წარმატებით გამოიყენა თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში.

სასწავლებელი კი ივანემ ვერ დაამთავრა. შაჰყულიანთმა იგი სემინარიიდან ლამის ქოთნის გატეხვის გამო გარიცხა. ივანემ სასწავლებლად სტამბოლში წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ 1853 წელს რუსეთ-თურქეთს შორის ატეხილმა ომმა ეს ოცნებაც დაასამარა. ამ დროს ქუთაისში პავლე შაჰყულიანთან ახალციხიდან გარიდებული პეტრე ხარისჭირაშვილი მოღვაწეობდა. ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში მას ვიკარის თანამდებობა ეკავა და მთარგმნელობითი მუშაობით იყო გატაცებული.

1854 წელს ივანე გვარამაძე პეტრესთან ჩავიდა. პეტრეს სასწავლებელი შაჰყულიანთის სასწავლებლიდან პრინციპულად განსხვავდებოდა. სომეხი პრაგმატულად უდგებოდა საქმეს და მთავრობასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული, მაშინ, როცა პეტრეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან მუდმივი დავა ჰქონდა. ის საქართველო-რომის ახალ ურთიერთობებზე ოცნებობდა და ქართული ტიპიკონის შემოღებისთვის იღწვოდა.

ივანეს ქუთაისში სომხურის ნაცვლად იტალიურის სწავლა დააწყებინეს. მალე ქუთაისში ამბავი მოვიდა - არქიმანდრიტი პავლე ჭილიმუზაშვილი - შაჰყულიანთი გარდაიცვალაო. 1855 წელს პეტრემ ქუთაისის ვიკარობიდან თავი გაითავისუფლა, ახალციხეში წავიდა და ივანეც თან იახლა. ახალციხეში მათ კიდევ უფრო რთული ვითარება დახვდათ. ყველგან სომხურენოვანი რიტის მღვდლები მოკალათებულიყვნენ, რომლებმაც პეტრე ახლოს არ გაიკარეს. ივანემ დიაკვნის ადგილის შოვნა მოახერხა, პეტრე კი იტალიაში გაემგზავრა.

ივანე გვარამაძე დიდხანს ვერც ამ ადგილზე დამკვიდრდა. სამსახურიდან დათხოვნილმა სტამბოლს მიაშურა, სადაც რომიდან წამოღებული ნებართვებითა და ფირმანებით პეტრე ხარისჭირაშვილიც გამოჩნდა. პეტრემ სტამბოლში ქართველ კათოლიკე მოძღვართა კონგრეგაცია დააარსა და ივანე მის წევრად ჩაირიცხა. თუმცა, საქმეები აქაც აირ-დაირია და ისევ სომეხი მღვდლის გამო. ივანე კვლავ საქართველო-

ში დაბრუნდა და თბილისის ერთ-ერთ სტამბაში დაიწყო მუშაობა.

მალე ივანე გვარამაძე დიაკვნად აღადგინეს, ოლონდ სასულიერო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა მოსთხოვეს, რაც მას არ გააჩნდა. 32-ე წელში გადამდგარი ივანე გიუმრის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა.

1863 წელს გიუმრიდან ახალციხეში არდადეგებზე ჩამოსულ ივანეს მშობლებმა ქალი შეურჩიეს და დააქორწინეს კიდეც. მოგვიანებით ივანე იტყვის: „ჭირი და მწუხარება ღზინად და სიხარულად მექცა, ჩემი გულის ცოლი შემხვდაო“.

1865 წელს ივანემ სასწავლებელი დაამთავრა და მაშინვე საერო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ახალციხეში. ერთხელ გაკვეთილზე ცუდად გახდა და გული წაუვიდა. ამან უსიამოვნო ჭორები ააგორა - ბნედიანი ყოფილა, ამის სკოლაში შეშვება როგორ შეიძლებაო. ივანემ ვერ გაუძლო და ისევ სომხეთში დაბრუნდა, სადაც ერთ მიყრუებულ სოფელში გაამწესეს.

სომხეთის მთის სოფელში ყოფნისას სულიერ მარტოობას ახალგაზრდა დიაკვანი ლიტერატურული ვარჯიშობებით იქარვებდა. მის მიერ ამ დროს დაწერილ ლექსებში, პოემებსა და ესეებში მშობლიური მხარის მონატრების იმედიანი განწყობილება არის ასახული.

პოეზიისადმი ივანე გვარამაძეს განსაკუთრებული სწრაფვა გააჩნდა. გასაკვირიც იქნებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციებზე აღზრდილ ნიჭიერ ახალგაზრდას კალამი ამ სფეროში არ მოესინჯა. მისი ფსევდონიმი - „ვინმე მესხიც“ ხომ „ვეფხისტყაოსნიდან“ არის აღებული.

1867 წელს ივანემ „მწარე ექსორიობიდან“ თავი დაიხსნა და საუკეთესო დახასიათებით მშობლიურ ახალციხეში დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ 37 წელს მიტანებული ივანე მღვდლად აკურთხეს, მომდევნო წელს კი სოფელ ხიზაბავრაში მთავარი მღვდლის მოადგილედ დაინიშნა. ხიზაბავრაში ივანემ პედაგოგიური მოღვაწეობაც განაახლა. ამავე დროს იგი ბევრს ზრუნავდა გლეხთა პირობების გაუმჯობესების სთვის.

70-იანი წლებიდან ივანე გვარამაძე თავის საყვარელ მესხეთს აღარ მოცილებია. ის ხან ხიზაბავრაში, ხან ივლიტაში, ხან ვალეში, ხან რაბათში მოღვაწეობდა მოძღვრად და მასწავლებლად. 1884 წელს ივანე

ახალციხის სომეხ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობის უფროსის თანამდებობაზეც მუშაობდა.

ივანემ და ანანომ 5 შვილი — 4 ვაჟი და ერთი ქალი აღუზარდეს ქვეყანას.

ივანე გვარამაძე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. მისი ერთ-ერთი ბავშვობისდროინდელი გატაცება ხატვაც იყო. „პირველად, როცა ახალციხის მუზეუმში ივანე გვარამაძის ხელნაწერთა ფონდზე მუშაობისას ვნახე მისი შესრულებული გრაფიკული ჩანახატები, მართალი გითხრათ, თვალებს არ დავუჯერე. მოულოდნელად ჩემს თვალწინ აელვარდა ნამდვილი მხატვარი: დახვეწილი, სრულყოფილი, ორიგინალური... ეს იყო... მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული ჩვენება, რომელსაც მე „ევროპული საქართველოს მონატრებას“ დავარქმევდი,“ - წერდა პროფესორი შოთა ლომსაძე.

ჯერ კიდევ 12-13 წლისამ იმერეთის რამდენიმე სოფლის ეკლესია მოხატა. სამწუხაროდ, ივანემ ამ საქმეს ბოლომდე ვეღარ მისდია და ის მხოლოდ ბავშვობისდროინდელ, მაგრამ ძლიერ გატაცებად დარჩა. სამაგიეროდ ივანეს ბოლომდე შეერჩა საოცრად დახვეწილი ხელწერა. „მამა ივანე სწორედ იმ ხელითა წერს, როგორც ჩვენი წმინდა მამები სწერდნენ საღმთო წიგნებს. ამისთანა წმინდა ხელით დანერილი ექნება ათი ათას გვერდზედ მეტი“, - წერდა ილია ალხაზიშვილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას ივანე მესარკოვის გვარზე ეწერა. ამის გამო ის ათასნაირ გაუგებრობას აწყდებოდა. თავისი გვარის დაბრუნებისთვის ბრძოლამ უკარნახა მას მეცნიერული კვლევის ობიექტად ქართული გვარ-სახელები შეერჩია. ივანე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გვარ-სახელი თავისი შინაარსით ისეთივე სუბიექტი იყო, როგორიც ტომი ან ერი.

სამცხე-ჯავახეთში გვარის დაცვის გზაზე სერიოზული დაბრკოლება იყო ქართული კათოლიკური რიტის (კონდაკის) არარსებობა. გაკათოლიკებული ქართველები მიწერილი იყვნენ ლათინურ ან, უპირველესად, სომხურენოვანი რიტის მქონე ეკლესიებზე, სადაც სომეხ და ლათინ სასულიერო პირებს თავიანთი რიტის კვალობაზე სასურველ შესაბამისობაში მოჰყავდათ ქართველი მრევლის გვარ-სახელები. ასეთმა პრაქტიკამ ის განაპირობა, რომ შემოერთების შემდეგ მესხეთის ქართველ კათოლიკეთა შორის თავის ისტორიულ ქართულ გვარს თითო-

ოროლა ახლადმოქცეული ოჯახილა თუ ატარებდა. სომხურ ეკლესიაში ყველა პავლე პოლოსად იწერებოდა, პოლოსას შვილიშვილი კი, როგორც წესი, პოლოსიანად.

გვარის გამოცვლა ადამიანისთვის ტრაგედიაა. ეს მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი. შემთხვევითი როდია, ქართულ ენაში ტერმინ „გადაგვარებას“ ასეთი მძიმე დატვირთვა რომ გააჩნიაო, წერდა ივანე გვარამაძე.

საკუთარი გვარისა და, საზოგადოდ, ქართველ კათოლიკეთა გვაროვნების დადგენა-აღდგენის სურვილმა ივანე ისტორიის საკითხებითაც დააინტერესა და თანდათან თვითნასწავლ ისტორიკოსად ჩამოაყალიბა.

განსაკუთრებით ფასდაუდებელია მისი დამსახურება საისტორიო მასალების მოძიებისა და კვლევის საქმეში. „ჩვენ, ქართველები, დავალებულნი ვართ თქვენგან, - წერდა ზაქარია ჭიჭინაძე, - და აქ ყველა თქვენს მეცადინეობას და შრომას ბედკრული საქართველოსთვის დიდად აფასებენ... თქვენგან შეკრებილი მასალები დაუფასებელ ადგილს დაიჭერს საქართველოს ისტორიაში...“

ივანე გვარამაძის მიერ გადმონერილ ალექსანდუპოლის, ერევნის, ერზრუმის და სხვა ისტორიულ ადგილთა სიახლოვეს მდებარე ეკლესიებზე არსებული ქართული წარწერები სრული სიახლე იყო ეპიგრაფიკულ მეცნიერებაში. „როცა ვნახე დაბეჭდილი თქვენი „ხმა ხიზ-აბავრიდამ, - კალამს თავი მივანებე... სრულ ჭეშმარიტებას წერთ“, - აღფრთოვანებას ვერ მალავდა აკადემიკოსი დიმიტრი ბაქრაძე 1882 წელს.

დიმიტრი ბაქრაძე იმასაც გრძნობდა, რომ თვითნასწავლ ისტორიკოსს პროფესიონალის დარიგებაც სჭირდებოდა და ცდილობდა თავისი რჩევებით დახმარებოდა მას. ამასთან, აკადემიკოსი აღიარებდა, რომ ივანე გვარამაძეს თავისი შრომებით ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უცნობი ფურცლების გამომზეურებაში. „გვარამაძის შედგენილ „ქართლის ცხოვრებაში იმდენი ღირსშენასაშნავი და ახალი ცნობებია შეკრებილი, რომ ჩვენ მათი ხსენებაც არ ვიცოდით“, - წერდა ის.

ივანე გვარამაძის „მოკლედ შედგენილი ქართველის ცხოვრების“ გამოსვლას გამოეხმაურა აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილიც, რომელ-

მაც აღნიშნა, რომ ამ ნაშრომის უყურადღებოდ დატოვება უპატიებელი საქმეაო. ნაშრომში კრიტიკულად არის მიმოხილული „ქართლის ცხოვრების“ უკლებლივ ყველა ნაწილი. განსაკუთრებით ეჭვის თვალით შეხედა გვარამაძემ სომხურ-სპარსული ისტორიებიდან ამოკრებილ ცნობებს და „დიპლომატიური საჭიროებისთვის“ შედგენილ არასწორ ინფორმაციებად მიიჩნია ისინი. მან უარყო „ქართლის ცხოვრებაში“ გაბატონებული ქართველთა თარგამოსიდან მომდინარეობის კონცეფცია. გვარამაძის აზრით ეს კონცეფცია შექმნა სომეხმა ისტორიკოსმა ანელმა X-XI საუკუნეების მიჯნაზე. მაშინ, როცა სომეხებს პოლიტიკურ ასპარეზზე ძალზე გაუჭირდათ და მეზობელი ქართველებისა და სხვა კავკასიელთა დახმარებას საჭიროებდნენ. შემდეგ ეს გამოგონილი თეორია ქართულად ითარგმნა და ასე მოხვდა „ქართლის ცხოვრებაში, - ნერდა ივანე გვარამაძე. ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შორეულ წარსულში სომეხები ჩვენი მეზობლები არ იყვნენ, რადგან არიანების ერთი შტოსა და ფრიგიელების შერწყმის შედეგად წარმოშობილი ხალხია და კავკასიაში ინდოეთიდან არიან მოსულნიო.

რა არგუმენტები გააჩნია გვარამაძეს ამ დებულების დასამტკიცებლად?

1. მხითარ ანელის არც ერთი წინაპარი არ იცნობს თარგამოსიდან ორის ხალხის მომდინარეობის ისტორიას.

2. არც ბიბლიური წყარო, არც ლინგვისტური მონაცემები არ ადასტურებს ქართველთა და სომეხთა ახლობლობას. სომეხები ქართველებს ძველი ხალხებივით „თობალს“ და „მოსახს“ კი არ გვეძახიან, არამედ „ვირქებს“. ჩვენ რომ საერთო წინაპარი გვეყოლოდა, თუ მთლიანად ენა არა, ბგერები მაინც გვექნებოდა საერთო, სომეხები კი ზოგიერთ ჩვენს ბგერას ვერც წარმოსთქვამენო.

ქართველთა და სომეხთა საერთო წარმომავლობის თეორიის უარყოფის მიუხედავად ივანე გვარამაძე ორ ერს შორის მაინც ბევრ საერთოს ხედავდა, რაც მისი აზრით, ერთმანეთის გვერდით ხანგრძლივმა ცხოვრებამ, საერთო ისტორიულმა ბედმა თუ უბედობამ განაპირობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ივანე გვარამაძის დამოკიდებულება მაჰმადიანი ქართველებისადმი. XIX საუკუნის 60-იან წლებში, სამოღვაწეო ასპარეზზე გვარამაძის გამოსვლის დროს, ქართველ მაჰმადიანთა ვინაობის საკითხი ბურუსით იყო მოცული.

რუსეთის ხელისუფლება შეგნებულად უწყობდა ხელს მაჰმადიან ქართველთა გაუცხოებას. ანატოლიიდან და იმპერიის სხვა მაჰმადიანური პროვინციებიდან მას სისტემატურად ჩამოჰყავდა ომარის სექტის რელიგიის მსახურნი, რომელთა საქმიანობა აბორიგენ მოსახლეობაში ეთნიკური წარმომავლობის დავიწყებას და მაჰმადიანური ფანატიზმის გაღვივებას ისახავდა მიზნად. რუსი მოხელეები ყოველი საშუალებით აიძულებდნენ მაჰმადიან მესხებს დაეტოვებინათ თავიანთი მიწები და თურქეთში გადასულიყვნენ. მთავარმართებელი პასკევიჩი აფრთხილებდა მთავრობას: „თუ მაჰმადიანთა გადასახლებას ხელშეკრულებით (ადრიანოპოლის) გათვალისწინებულ ვადაში ვერ დავამთავრებთ, მერე, ომით გამონგეული ფსიქოზის გავლის შემდეგ, გასასახლებელთა ადგილიდან დაძვრა, ბევრიც რომ მოვინდომოთ, შეუძლებელი გახდება და ხელში შეგვრჩება ჩვენდამი დაპირისპირებული, მტრულად განწყობილი და ძნელად დასამორჩილებელი მუსლიმური სასაზღვრო რაიონი“.

აქედან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის დროებითი მმართველობის ამოცანას შეადგენდა მხარიდან რაც შეიძლება მეტი მაჰმადიანი მესხის გასახლება, ამ გზით სახაზინო მიწის ფონდის გამრავლება და მასზე სომხების დასახლება.

ეს გეგმა პასკევიჩ-ბებუთოვის ერთობლივი ძალისხმევით წარმატებით განხორციელდა. გასახლებული მესხების ადგილზე არზრუმიდან დევნილი სომხები ჩამოასახლეს, თავიანთ მიწაზე დარჩენილი მაჰმადიანი მესხები კი ხელალებით თურქებად გამოაცხადეს. ეს მაშინ, როცა ყველა რუსი მოგზაური, მეცნიერი და სტატისტიკოსი მათ ქართულ ეთნოსს მიაკუთვნებდა. მაჰმადიან მესხთა დიდი ნაწილი მაშინ ჯერ კიდევ მშობლიურ ქართულ ენაზე საუბრობდა. ალექსანდრე ფრონელი გულისტკივილით და აღშფოთებით წერდა: „ამ აქტით მთავრობამ უკუღმართობა ჩაიდინა. ამოდენა ქართველობას სახელი შეუტცვალა და თათრად მონათლა. განა ხერთვისელ გეგიძეს ან ჯაყისმანელ ნემსაძეს და გიორგაძეს თათარი ეთქმით? კაცმა რომ რჯული გამოიცვალოს, განა ხალხოსნობას და ეროვნებას დაკარგავს? რადგან რჯული და რწმენა სინდისის საქმეა, ეროვნება კი სისხლის, მოდგმის, ჩამომავლობის“.

40-იანი წლების დასაწყისში მაჰმადიან მესხთა არისტოკრატიამ ახალციხეში ჩამოსულ რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს - ჩერ-

ნიშევს წარუდგინა ვრცელი მოხსენება. მესხი ბეგ-ალაღარები მინისტრს მესხი ფეოდალების ქართლ-კახეთისა და იმერეთის თავადაზნაურობასთან უფლებრივ გათანაბრებას თხოვდნენ. სანაცვლოდ კი თავიანთი ქვეშევრდომებიანად ქრისტეს რჯულზე დაბრუნებას აღუთქვამდნენ.

ცხადია, ეს საქართველოსთვის მომგებიანი ნაბიჯი იყო. თითქოს, ერთმორწმუნე რუსეთიც უნდა მისალმებოდა წინაპართა რჯულზე მაჰმადიან ქართველთა მოქცევას... მაგრამ ბეგებმა თხოვნაზე სასტიკი უარი მიიღეს. მათ ამ ნაბიჯში მთავრობამ ქართველთა გაძლიერების საშიშროება დაინახა (უნდა ითქვას - არც თუ უსაფუძვლოდ), რაც ცხადია, სულაც არ შედიოდა მის ინტერესებში. ამან კიდევ უფრო გააღრმავა რელიგიური ბზარი ჩვენს ეროვნულ სხეულში. ამის შემდეგ მესხეთის მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველობის განვითარების გზები აშკარად სხვადასხვა მიმართულებით წავიდა. 1878 წელს ერთი ლიბანელი ნაქართველარი მოლა გაზეთ „დროების“ კორესპონდენტს ეუბნებოდა: „მეც და ჩემი ქვეყნელებიც შთამომავლობითაც, შეხედულებებითაც ქართველები ვართ, ეს მე ძალიან კარგად მესმის. მაგრამ სარწმუნოება მაჰმადისა გვიჭირავს, რადგან ყოველმა პატიოსანმა კაცმა და, განსაკუთრებით, ჭეშმარიტმა მაჰმადიანმა ხალხოსნობის წინაშე უპირატესობა უნდა სარწმუნოებას აძლიოს, ამისთვის მე სულით და გულით ვეკუთვნი ოსმალეთს და არა ქართველებს და ჩემს სამშობლოს შეადგენს ჩემი თანამორწმუნე ოსმალეთი და არა საქართველო“.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან პანისლამისტური იდეოლოგიის მომხრენი მსოფლიო ენებსაც ორ ჯგუფად - მორწმუნეთა და ურწმუნოთა ენებად ყოფდნენ. და, რახან ქართული ქრისტიანულ ენათა ჯგუფში შედიოდა, ამ ენაზე ალაჰისა და ყურანის ხსენებაც კი მკრეხელობად ითვლებოდა მაჰმადიანისთვის. ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დროს გერმანელ მეცნიერს - კარლ კოხს ერთი ბეგი, თურმე, შესჩიოდა: „მართალია ცოდვა და დანაშაულია გიაურის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ენა თვით ღმერთის მიერ გვაქვს ბოძებული და ჩვენ რა ვქნათო“.

აი, ასეთი იყო ვითარება, როდესაც ივანე გვარამაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა. სოფელ ვალეში, სადაც ივანემ ყრმობა გაატარა, სამი რჯულის ქართველები - მაჰმადიანები, მართლმადიდებლები და კათოლიკენი ცხოვრობდნენ. მართლმადიდებლები ქართველებად

ირიცხებოდნენ, კათოლიკენი - ფრანგებად, მაჰმადიანნი - თათრებად. კონფესიური გათიშულობის მიუხედავად მათ შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა სუფევდა. ყველა რჯულის ქართველი ერთნაირად იჭერდა ძველ ქართულ რელიგიურ უქმეებსა თუ დღესასწაულებს - გიორგობას, აღდგომას, მარიამობას, ლებავდენ კვერცხებს, ერთობლივად აშენებდნენ ქრისტიანულ სალოცავებს და სხვ.

ასეთი კეთილმეზობლური, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ატმოსფერო მათი საერთო ძირებით, ისტორიული თანაცხოვრებით განმტკიცებული ტრადიციებით იყო განპირობებული. ივანე გვარამაძე იხსენებდა, თუ როგორი თავგანწირვით დაიცვეს ვალელმა მაჰმადიანმა ქართველებმა 1853 წელს დაწყებული ომისას თავიანთი ქრისტიანი მეზობლები: როდესაც „ცხენოსანნი ოსმალები მოვიდნენ მაჰმადიანებში და უნდოდათ ქრისტიანებისგან ტყვის გაყვანა... ვალელი მაჰმადიანები მაგრათ დაუდგნენ, - ჩვენ ვერ ვულალატებთ ჩვენს მეზობლებს, რომ დღემდის ჭირშიც და ლხინშიც ერთად გვიცხოვრიაო. ჯერ ჩვენი ცოლ-შვილი გაიყვანეთ ტყვედ თუ შეგიძლიათ და მერე ქრისტიანებისაო... დაგვეკარგეთ აქედან თქვე ცხენის ქურდებო თქვენაო“...

ასეთი დახვედრის შემდეგ თურქული რაზმები ვალეში შესვლას ერიდებოდნენ. თუმცა, იყო საპირისპირო შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი მაჰმადიანი ოსმალებს წამოუძღვა ქრისტიანების წინააღმდეგ.

მიუკერძოებელი მემკვიდრის ალლოთი აღწერს გვარამაძე თურქეთის ტერიტორიაზე 30-იან წლებში სამცხე-ჯავახეთიდან გაქცეული მაჰმადიანი ქართველების დაბრუნების მცდელობას. 1853 წლის სამხედრო კამპანიის დროს კავკასიის ფრონტზე თურქეთის დროებითმა წარმატებებმა მაჰმადიან მესხებს მამა-პაპეულ მიწებზე დაბრუნების იმედები აღუძრათ, მაგრამ მათი სახლები უკვე არზრუმიდან აყრილ სომხებს ეკავათ.

გვარამაძე მოუწოდებდა არტაანში გადასახლებულ მესხებს, დაბრუნებოდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. ასევე მოუწოდებდა ის არზრუმელ სომხებს - არ დაევიწყებინათ თავიანთი სამშობლო და პირველი შესაძლებლობისთანავე წასულიყვნენ წინაპართა მიწაზე, რადგანაც, აფრთხილებდა ის მათ, სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერ ააშენებთ და მუდმივად კონფლიქტებსა და შიშში იქნები-

თო. ამავ დროს ის მოაგონებდა ზოგიერთ ყალბისმქმელ მწერალს თუ მეცნიერს, რომ სიყალბით და ზღაპრების შეთხზვით სამშობლოს სხვაგან გამოგონება არ შეიძლებოდა.

ივანე გვარამაძემ ხმა აღიმაღლა რუსული ხელისუფლების იმ კურსის წინააღმდეგაც, რომლის თანახმადაც მაჰმადიან ქართველებს განათლება თურქულად უნდა მიეღოთ. „იმისათვის გვიშლიან ქართულ ლაპარაკს და წერას, რომ უფრო გადაგვარჯულონ, აღარ მოგვაგონონ ჩვენთა წინაპართ ქრისტიანობა, მათი ტკბილი ცხოვრება, სიმხნე, სიძლიერე და სახელგანთქმულობა. იციან, რომ ოსმალებმა თქვენი მამაპაპა ძალად, ხმლისა და ცეცხლის შიშით გადაარჯულეს და ახლა, როცა გათავისუფლდით ოსმალთა მძლავრობისგან და შეგიძლიათ გარჩევა თქვენის მომავალი ცხოვრებისა, ჩვენს მტრებს ეს არ მოსწონთ, აშინებთ, რომ ბოლოს თქვენ და ჩვენ არ გავერთიანდეთ და ერთ გუნდად არ შევიკრიბოთ“.

მესხთა ეროვნული თვითშეგნების გზაზე გვარამაძეს ორი მიმართულებით უხდებოდა ბრძოლა: ერთი მხრივ ის ცდილობდა დაერწმუნებინა ქართველი კათოლიკენი, რომ ისინი ოფიციალურად სომხებად მხოლოდ ქართული კონდაკის არქონის გამო იყვნენ დაწერილნი, სინამდვილეში კი ქვეშარიტი ქართველები იყვნენ; მეორე მხრივ, ის უხსნიდა მაჰმადიან ქართველებს, რომ სხვა იყო რელიგია და სხვა ეროვნება, რომ მაჰმადიანობის მიღებით ისინი სხვა ეროვნებისანი არ ხდებოდნენ.

რელიგიებად დაყოფილი ქართველების გამაერთიანებელ ძალად მას ქართული ენა მიაჩნდა და ყველაფერს აკეთებდა მისი დამკვიდრება-განვითარებისთვის. „დღეს მესხეთის გადამრჩენი ქართული წერაკითხვა არის“, - წერდა ივანე გვარამაძე. შთამომავლობის სრულფასოვან მამულიშვილებად აღზრდისთვის ორი პირობაა შესასრულებელი. ის უნდა „მოიწვრთნას მშობლიურ ენაზე“ და მან უნდა ილოცოს „მშობლიურ ენაზე“. რწმენაცა და ცოდნაც სხვა არაფერია, თუ არა თვით ადამიანის ხელში ენის საშუალებით კოდირებული მემკვიდრეობა, რომლის უარყოფა თვით მემკვიდრეობის უარყოფას ნიშნავს, ადამიანს „სულთით გაყიდულ და გრძნობებისგან დაცლილ მოჩვენებად“ აქცევს. ამიტომაც ქართული კათოლიკური ტიპიკონის აღდგენა-დამკვიდრებისთვის ბრძოლას ივანე გვარამაძისთვის ერთ-ერთი უპ-

ირველესი მნიშვნელობა გააჩნდა. მიხეილ თამარაშვილი და იოანე ანტონოვი აღფრთოვანებას ვერ მაღავედნენ იმ მოხერხებულობის გამო, რომელსაც ივანე გვარამაძე ამჟღავნებდა ქართული ენის დაცვის საქმეში. 1890 წელს ეპისკოპოსის ბრძანებით მამა ივანეს ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვა აეკრძალა. ივანე ბრძანებას დაემორჩილა, მაგრამ ეკლესიაში წირვა არა სომხურად, არამედ თურქულად გააგრძელა, ქართულად კი ღვთისმსახურება სკოლაში შემოიღო. სომეხმა მღვდლებმა ეპისკოპოზთან იჩივეს, მაგრამ ივანემ თავი იმართლა: ბრძანებაში არ ეწერა რა ენაზე უნდა მენირა, იქ მხოლოდ ქართულ ენაზე წირვის აკრძალვაზე იყო საუბარი.

ამის შემდეგ ეპისკოპოზი იძულებული გახდა ახალი ბრძანება დაენერა და მიეთითებინა, რომ წირვა სომხური რიტით აღსრულებულიყო.

ივანე გვარამაძემ პეტრე ხარისჭირაშვილთან, იოსებ ნებიერიძესთან, იოანე ანტონოვთან ერთად ქართულენოვანი ტიპიკონისთვის ბრძოლას ახალი მიმართულება მისცა და იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად აქცია.

დაუღალავმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ, მის მიერ გამოქვეყნებულმა სამეცნიერო ნაშრომებმა სახელი გაუთქვეს ივანე გვარამაძეს. იგი მესხეთის ქართველობის აღიარებულ ლიდერად და ფიქრთა მპყრობელად იქცა. წმ. მარინეს მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი ვასილ გამრეკელი მიმართავდა ივანეს: „ვამაყობ იმით, რომ კიდევ არიან თქვენისთანა პირნი, რომელნიც ხმამაღლა ღაღადებენ სიმართლეს... მარტო თქვენ გვეყავხართ თითოთ საჩვენებელი, როგორც სამაგალითო სამღვდელო პირი“. გვარამაძის დიდი ავტორიტეტის გამო იგი ხიზაბავრაში თბილისის არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეებმა მოინახულეს, შემდეგ კი სამშობლოში ჩასულებმა მოსკოვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ნამდვილ წევრად აირჩიეს. „ჩვენ, ქართველები, დავალებული ვართ თქვენგან, თქვენი შეკრებილი მასალები დაუფასებელ ადგილს დაიჭერს საქართველოს ისტორიაში.

მე ისეთი შეყვარებული მაქვს თქვენი წერილები, რომ კალამს და თითებსაც დაგიკოცნით, რომ გნახოთ სადმე“, - წერდა ივანეს ზაქარია ჭიჭინაძე.

ივანე გვარამაძის ღვანლს დიდად აფასებდა აკაკი წერეთელიც. სწორედ აკაკის თხოვნით დაწერა ზაქარია ჭიჭინაძემ გვარამაძის

ბიოგრაფია. დიდი მგოსანი თვლიდა, რომ „ამ კათოლიკე მღვდლის ნუხილიც და ტკივილიც მომავლის იმედით არის გაცისკროვნებული“. ის მოხიბლული იყო ქართველ კათოლიკეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და კომერციული საქმიანობით და ეს ხალხი ჩვენში ევროპული სტილის საქმიან ადამიანებად მიაჩნდა.

ივანე გვარამაძე ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამის მიუხედავად მას არსად არასოდეს დაუჩივლია. „მამა-ივანეს ჰქონდა ის სული, რაც სხვა არ გააჩნდა. ეს იყო რწმენა და უმაგალითო მხნეობა. ეს სული მას არსად, რაიმე საქმეში წარბს არ ახრევიანებდა“, - წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

1895 წელს ივანეს მეუღლე გარდაეცვალა. ერთგული მეგობრისა და ცხოვრების თანამგზავრის დაკარგვის შემდეგ მისი პირადი ცხოვრება კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდა. ამას ისიც დაერთო, რომ გვარამაძე მოხუცებულობის მიზეზით მღვდლობიდან და მასწავლებლობიდან გადააყენეს, პენსიის დანიშვნაზე კი უარი უთხრეს. ამით აღმფრთვებული მიხეილ თამარაშვილი რომიდან წერდა: „როგორ უბედავენ ამას ივანე გვარამაძეს და თუ ეგენი უბედავენ, თქვენ რას გაჩუმებულხართ, რაშია საქმეო“.

1911 წელს მიხეილ თამარაშვილი რომში ტრაგიკულად დაიღუპა. „მამაჩემმა მოულოდნელად პატრ მიხეილ თამარაშვილის დარჩობის ამბავი რომ გაიგო, ცუდად გახდა. მას შემდეგ იმის თვალზე ცრემლი აღარ შემშრალა. იტირა, ივაგლახა და მომავალი ხანგრძლივი თავისი სიცოცხლე თვითონვე მოიშრიტა“, - წერდა ივანეს შვილი კონსტანტინე.

თამარაშვილის ტრაგიკული დაღუპვის გამო ივანეს მიერ დანერგული გოდება ქართული მჭერმეტყველების ნიმუშია: „...მამა მიხეილ თამარათი გმირულად დაიღუპაო... არ მეყოფოდა ჩემი სამშობლო მამულის უშველებელი ჯავრი-ნალველი, რის გამოც ჩემი თავი დავინყებუბული მაქვს და დღედაღამ უნუგეშოდ დავტირი... ჩვენი ცოდვისთვის მოუშვია ღმერთს ჩვენზედ უცხო ტომნი მაჭივრებლად, შემოგვსევციან ოთხკუთხივ და ძალისძალად ჩვენს წინაპართ სისხლით მორწყულ მიწა-წყალს, მთაბარს, ტყე-ღრეს გვტაცებენ ხელითგან... მათი ჩარჩ-ვაჭარნი წყობა-წყობისად ტრიალებენ ჩვენს სოფლებში და უსამართლო აღებმიცემობით და მევახშეობით ძარცვავენ ჩვენს ხალხსა. ჩვენის ქვეყ-

ნის ნაყოფით გამდიდრებულნი ჩვენს მტრობაში და სისხლის სმაში არიან“, — წუხდა იგი.

ამ ნეკროლოგის შემდეგ ივანე გვარამაძემ 8 თველა იცოცხლა.

1912 წლის 26 მაისს გაზეთი „დრონი“ წერდა: „24 მაისს, დილის 3 საათზედ ახალციხეში გარდაიცვალა მღვდელი ივანე გვარამაძე. დაკრძალვას სხვადასხვა სოციალური ფენის, მდგომარეობის, რწმენის ქართველობა ესწრებოდა. „საერთო ქართველის“ წინაშე ქედს იხრიდა სრულიად საქართველო.

ეპილოგი: 1916 წელს გარდაიცვალა სიმდიდრით ცნობილი ვინმე პავლე ყულაიჯიშვილი, რომელმაც ანდერძად დაიბარა — ივანე გვარამაძის გვერდით დამკრძალეთო. ანდერძის აღსრულების კომისიამ დაასკვნა: ივანე გვარამაძე ყველასგან გამორჩეული, ერთი იყო, მის გვერდით ნურავინ დაიკრძალებაო.

დიახ, ივანე მართლაც „ერთი იყო“...

ქართველებმა ვიცით ღირსეული მამულიშვილების დაფასება...

ვაგლახ, რომ მხოლოდ სიკვდილის შემდგომ.



მიხეილ თამარაშვილი

რაბათელი თამარაშვილები ჯავახეთის სოფელ თოკიდან გადმოსულან ახალციხეში. მისიონერ პატრებს მათთვის კათოლიკობა მიუღებინებიათ და მთელი ოჯახი სომხურ კათოლიკურ რიტზე მოუქცევიათ. სომხურ ეკლესიას მათი გვარის შეცვლაც უცდია და საეკლესიო წიგნებში ისინი ბაინდუროვებად ჩაუნერია, მაგრამ თამარაშვილებს, დიდი ბრძოლის შედეგად, მაინც თავისი გაუტანიათ და ნამდვილი გვარი და ეროვნება შეუნარჩუნებიათ.

ახალციხეში გადმოსულ თამარაშვილებს რუმბების მოკუპვრადამზადებით გაუთქვამთ სახელი. ერთხანს ამ ხელობას კარგი გასავალიც ჰქონია, მაგრამ მაჰმადიანობის მასობრივი გავრცელების კვალობაზე მესხეთში მევენახეობა იკვეცებოდა. შესაბამისად — მცირდებოდა რუმბებზე მოთხოვნილებაც. ამის გამო სოლომონ თამარაშვილი (მიხეილის პაპა) მეზობლებთან ერთად იმერეთში გადასულა და სოლომონ მეორისთვის წყალობა და ვაჭრობის უფლება გამოუთხოვია. შემდეგ ის ახალციხეში დამზადებული ტიკებით ხშირად დაიარებოდა ბაღდათის ბაზარზე და ოჯახისთვის სარჩოს შოულობდა. მესხეთსა და იმერეთს შორის ასეთი სავაჭრო ურთიერთობები ისე ძლიერი იყო, რომ რუსეთ-თურქეთს შორის ატეხილ ომსაც ვერ შეუწყვეტია. ომის დროსაც ახალციხელი ვაჭრები თავისუფლად დაიარებოდნენ ბაღდათის ბაზარზე. მიხეილის მამა — პეტრე თამარაშვილი იმერეთს ისე გაშინაურებია, რომ ქუთაისში ბინაც შეუძენია და ერთხანს ოჯახით იქ დასახლებასაც კი აპირებდა, თუმცა, საბოლოოდ მაინც მშობლიურ ახალციხეს ვერ შელევია.

მიხეილის დედა — გაიანე არღელი ბათმანაშვილების ქალი იყო. იგი გამჭრიახობით, ჭკუითა და გულისხმიერებით გამოირჩეოდა.

მიხეილ თამარაშვილი თავისი მშობლების მეცხრე შვილად 1958 წლის სექტემბერში მოვლენია ქვეყანას. პეტრეს და გაიანეს სულ ათი

შვილი გაუზრდიათ — ორი ქალი და რვა ვაჟი. მიხეილს ერისკაცობისას ალექსანდრე რქმევია. პეტრეს მიხეილის ძმებისთვის თავისი ხელობა შეუსწავლებია, მიხეილი კი, როგორც ნიჭით განსაკუთრებულად გამოირჩეული, სწავლაში გასაწვრთნელად იოანე ნათლისმცემლის ე.წ. ქვემო ეკლესიის სამრევლო სკოლაში ივანე გვარამაძისთვის მიუბარებია. თავისი მოძღვრისგან მიხეილს მხოლოდ წერა-კითხვა კი არ შეუსწავლია, არამედ „ღრუბელივით შეუსვამს მამულის სიყვარული და მისთვის თავდადების აუცილებლობა“.

14 წლის იყო მიხეილი, მამა რომ გარდაეცვალა. ნიჭიერი ყმანვილი იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა და ხელობის შესასწავლად ხარაზს მიბარებოდა. 1874 წელს მიხეილი ქუთაისში თავის ძმასთან ჩავიდა ხელოსნობაში ბედის საცდელად. ძმის დუქანში ერთხანს წაღებს ჰკერავდა, მაგრამ ორიოდ წელიწადში ძმები გაკოტრდნენ და საცხოვრებლად ხაშურში გადავიდნენ.

დახლი ვერც იქ დაიყენეს, სახელოსნო დახურეს და მშობლიურ ახალციხეს დაუბრუნდნენ.

1878 წელს ივანე გვარამაძის დაჟინებული რჩევით 20 წლის თამარაშვილი კონსტანტინეპოლში გაემგზავრა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად. ამ სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. საფუძვლიანად ისწავლებოდა ფრანგული და ლათინურიც. სამ წელიწადში მიხეილი თავისუფლად დაეუფლა ამ ენებს.

სკოლის ხელმძღვანელობამ ყველაზე ნიჭიერი სამი მოსწავლე შეარჩია და სასწავლებლად ესპანეთში გაგზავნა. აქაურ სემინარიაში მიხეილმა კიდევ სამი წელი დაჰყო. პეტრე ხარისჭირაშვილმა კვლავ გამოარჩია სწავლას მოწყურებული ყმანვილი და ამჯერად უკვე პარიზში, ლაზარეს სასწავლებელში მიავლინა.

პარიზის სამეცნიერო ცხოვრების გაცნობამ მიხეილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. 1888 წელს სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თამარაშვილი თავის განუყრელ მეგობარ იოსებ მერაბიშვილთან ერთად კონსტანტინეპოლის ქართველთა ძმობაში მიიწვიეს.

ამ დროისთვის დასწავლული პეტრე ხარისჭირაშვილის ნაცვლად კონსტანტინეპოლის ქართველთა ცენტრს ნიკოლოზ მანველიშვილი გა-

ნაგებდა, მონასტერში ის ძველი აღტყინება და შემართება აღარ სუფევდა. თამარაშვილს გულმა სამშობლოსკენ გამოუწია. „დედა-ბინაზე“ დაბრუნებულს კი მყისვე შავრაზმულ რეჟიმთან დაპირისპირება მოუხდა. ჟანდარმერიამ მასში იმპერიისთვის საშიში პიროვნება დაინახა (უნდა ითქვას — არც თუ უსაფუძვლოდ) და ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. თბილისში თამარაშვილი „მიძინების ეკლესიის“ მოძღვრად განაწესეს. მან აქ თავისებური „განაწესი“ შემოიღო: ყოველი წირვისას თუ ლოცვისას ეკლესიის კათედრიდან ის მრევლს საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებზეც მოუთხრობდა. ცხადია, ეს ქართველ მრევლს ძალზე მოსწონდა. მაგრამ გამოჩნდნენ მოწინააღმდეგენიც. სომეხ კათოლიკეებს არ ესამოვნათ მათ მიერვე გაყალბებული ისტორიის შესახებ სიმართლე, ამიტომ დაბეზლებებით, ათასგვარი ცილისწამებითა და ქრთამებით თარამაშვილისთვის ჯერ თბილისში, შემდეგ კი სრულიად საქართველოში მღვდელთმსახურების აკრძალვას მიაღწიეს. საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელ დუნდუკოვ-კორსაკოვის ბრძანებით მიხეილ თამარაშვილს, როგორც არაკეთილი აზრების მქონეს, „ნაციონალისტური პროპაგანდისთვის“ საქართველოს ტერიტორიაზე მღვდელთმსახურება აუკრძალეს. მას უფლება დართეს ახალციხეში ეცხოვრა, ოღონდ, მღვდლის მოვალეობა არც აქ უნდა შეესრულებინა.

ახალციხეში ჩასული თამარაშვილი თავის მოძღვართან და უფროს მეგობართან — ივანე გვარამაძესთან „საყვარელ საგნებზე“ საუბრით იქარვებდა დარდს. თუმცა, მალე ის ახალციხიდანაც გააძევეს.

მიხეილ თამარაშვილს, როგორც მთავრობის მიერ „შერისხულს“ არც რომში წასვლის ნებართვას აძლევდნენ. სომხური ტიპიკონის მქონე ახალციხის ეკლესიამაც არ მიიღო. მამისეულ სახლში კი სიღარიბე და შიმშილი მეფობდა.

1890 წელს მიხეილ თამარაშვილმა მაინც მოახერხა ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე სტამბოლში ჩასულიყო. აქედან იგი რომს გაემართა. აქ მან რომის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა გამოცდები. უსახსროდ დარჩენილს მხსნელად თავისივე ნიჭიერება მოეწვინა. მას სტიპენდია დაუნიშნეს. 1894 წელს თამარაშვილმა აკადემია წარჩინებით დაამთავრა და დოქტორის წოდება მოიპოვა.

დადგა შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობის ეტაპი მის ცხოვრებაში.

ამ დროისთვის მეტად მწვავედ იდგა ქართველ კათოლიკეთა წარმომავლობის საკითხი. სომხური კათოლიკური ეკლესიის მესვეურები ამტკიცებდნენ, რომ ქართველი კათოლიკენი ბუნებაში არ არსებობდნენ. ისინი, ვინც დღეს თავს ქართველ კათოლიკეებს უწოდებენ, სინამდვილეში გაქართველებული სომხები არიანო.

1886 წელს კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა აკრძალეს. ივანე გვარამაძე წერდა მიხეილ თამარაშვილს: „რომ არა ჩვენი ქალების დიდი შემართება, ამ ბრძანების შემდეგ ქართულ ქადაგებას საერთოდ ვეღარ შევძლებდით“.

ქართველი კათოლიკენი რომის პაპთანაც ჩავიდნენ, მაგრამ არც ამან გამოიღო შედეგი. 1894 წელს პაპის მიერ გამოცემული დეკრეტით აღმოსავლეთის კათოლიკეებს საერთოდ აეკრძალათ ლათინური ტიპიკონით წირვა, მათ მხოლოდ სომხური ტიპიკონით უნდა ეწირათ.

კავკასიის მთავარმართებლის 1893 წლის მაისის ბრძანებაში თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია სომხურ ეკლესიად იყო მოხსენიებული.

დაიწყო დავა ქართული კათოლიკური ეკლესიის თაობაზე. ქართველები ამტკიცებდნენ — მთავარმართებელ ციციანოვის დროს ეს ეკლესია ქართველებმა ავაშენეთო. სომხები გაიძახოდნენ — ეკლესია სომხური კაპიტალით არის აშენებული, მაშასადამე, ის ჩვენ გვეკუთვნისო. (ცხადია, სომხები არ აზუსტებდნენ — სად და ვისი ძარცვის გზით შეიძინეს ეს კაპიტალი).

საქმე სასამართლომდე მივიდა. საჭირო გახდა დოკუმენტების მოძიება. ასეთი დოკუმენტები კი რომის არქივებში ინახებოდა. 1892 წელს თბილისის კათოლიკურმა ეკლესიამ თხოვნით მიმართა მიხეილ თამარაშვილს — მოეძიებინა ვატიკანის წიგნთსაცავებში საჭირო დოკუმენტები.

შეკვეთა სიამოვნებით იქნა მიღებული. თამარაშვილის მიერ მოძიებულმა დოკუმენტებმა საქმე ერთმნიშვნელოვნად ქართველების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

რომის არქივებში მიხეილი არა მარტო საეკლესიო, არამედ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი მასალების მოძიებასაც შეუდგა. 1898 წელს ის რომიდან სწერდა თავის მასწავლებელს — ივანე გვარამაძეს: „წიგნებს დღიდან დღეზე ვპოუ-

ლობ. ძებნაზე დიდ შრომას ვა ვა ვა... ხშირად 40-60 ტომს და ათასობით ფურცლებს ვფურცლავ და ზოგჯერ სრულებით ვერაფერს ვპოულობ და ზოგჯერ უცბად და მოულოდნელად შესანიშნავსა და სასიამოვნო ქალაქებს შევხვდები... კიდევ დრო ბევრი უნდა, რომ ამისთანა დოკუმენტები შევკრიბო...”

ამ მართლაც ტიტანურ შრომას თამარაშვილი უკიდურესი სიღარიბის პირობებში ეწეოდა. მისი ერთადერთი შემოსავალი ამ დროს მღვდელთმსახურების მცირე თანხა იყო.

1894 წელს თამარაშვილი კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა დაჟინებული თხოვნით ფერიქოვის (კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი უბანი) ქართული სკოლის მასწავლებლობას იწყებს და თავისი ლექციებით აღფრთოვანებაში მოჰყავს მოსწავლეები. მაგრამ სკოლაში გამეფებულმა ფორმალობამ და რუტინამ მალე მას გული აუცრუა. თამარაშვილს არ მოსწონდა, რომ სკოლის მაშინდელმა ხელმძღვანელმა სტეფანე გიორგაძემ „სახლის გათავების შემდეგ დაიწყო ბალისა და შადრევნების გაკეთება“, მოსწავლეთა აღზრდის საქმეს კი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა.

1897 წელს მიხეილ თამარაშვილი რომში დაბრუნდა. 1898 წელს ახალციხეში მძიმედ ავადმყოფი დედამისი გარდაიცვალა. 1900 წლისთვის მიხეილს უკვე მზად ჰქონდა ნაშრომი „ისტორია ქართველი კათოლიკეებისა ქართველთა შორის“.

დაიწყო წიგნის დაბეჭდვისთვის საჭირო სახსრების მოძიების რთული ეტაპი. დიდი ხნის მცდელობის შემდეგ წიგნის გამოცემა ქართველმა ქველმოქმედმა — სტეფანე ზუბალაშვილმა ითავა. 1902 წელს თბილისის სტამბაში რედაქტორ-კორექტორ პეტრე მირიანაშვილის თავდადებით წიგნმა მზის სინათლე იხილა.

მიხეილ თამარაშვილის ეს წიგნი მაშინვე იქცა მნიშვნელოვან მოვლენად ქართული საზოგადოებისთვის. მასში დასმული საკითხები შორს სცილდებოდა ქართველ კათოლიკეთა ისტორიას და სრულიად საქართველოს არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას აშუქებდა. სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ახალი დოკუმენტების ანალიზის გზით თამარაშვილმა სრულიად ორიგინალური და, ამავე დროს, დამაჯერებელი პასუხი გასცა მანამდე ბურუსით მოცულ მრავალ კითხვას.

თამარაშვილმა უტყუარ დოკუმენტებზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ რომის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესია ქრისტიანული სამყაროს გათიშვის (1054) შემდეგაც აგრძელებდა ურთიერთობას. მე-12-13 საუკუნეებშიც საქართველოს ეკლესიის სიგელ-გურჯებში უწინდებურად მოხსენიებულია მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებული ხუთი პატრიარქი: ანტიოქიის, რომის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა რომის ეკლესიასთან სრული გათიშულობის პირობებში. ამ შემთხვევაში ბერძნებივით მხოლოდ ოთხ პატრიარქს დავასახელებდით და რომის პატრიარქის სახსენებელს მათსავით მოვშლიდით, როგორც ეს მე-13 საუკუნის შემდეგ გავაკეთეთ კიდეცო.

თამარაშვილმა მოიძია და სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ქართველ მეფეთა მიმონერა რომის პაპებთან. ყვარყვარე ათაბაგისა და გიორგი მერვის წერილების გამოქვეყნებით მან ნათლად დაგვანახა მაშინდელი საქართველოს მესვეურთა უზარმაზარი ძალისხმევა თურქთა წინააღმდეგ დიდი კოალაციის შექმნისთვის. 1459 წელს ყვარყვარე ათაბაგის მიერ პაპთან გაგზავნილ წერილში კარგად ჩანს არა მარტო სამცხის მაშინდელი ხელისუფალის პოლიტიკური ორიენტაცია, არამედ მისი პოლიტიკური ალლო და შექმნილი რთული ვითარების ღრმა ანალიზის უნარიც. „...ჩემს წინაპართა მსგავსად ვეომები ურწმუნოთ. ...გასულ წლებში მეზობელ ქრისტიან, მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე. ახლა შევურიგდი ყველა ჩემს მეზობელ ქრისტიან მთავარს და გარდავწყვიტე მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ. მევე უნდა წავუძღვე 20 000 ცხენოსანს საომრად, რათა შეერთებულის ძალით შევებათ და ვსძლიოთ ოსმალთ. გპირდებით, რომ ერთის ზაფხულის განმავლობაში დავიპყრობთ ანატოლიასა და ყველა ქვეყნებს, რომელიც ოსმალს ამ მხარეს უჭირავს. მეორე მხარეს თქვენ დაგიტოვებთ. ორ ჯარს შუა მოქცეული ოსმალეთი დამარცხდება... უწყოდეთ, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდეცა რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გააარებებთ, რადგან ურჯულო ოსმალეთი მუდამდღე ძლიერდება და ველარც შევძლებთ შემდეგში გულმოდგინეთ შეერთებას“.

თამარაშვილმა ისიც დაასაბუთა, რომ ასეთი კოალიციის შექმნა ჩაიშალა სწორედ დასავლეთის სახელმწიფოთა მიზეზით.

ირან-თურქეთის ექსპანსიის დროს ყველაზე მეტად განაპირა მხარეებს — სამცხეს და კახეთს გაუჭირდათ. მე-17 საუკუნეში მანუჩარ ათაბაგმა და ალექსანდრე კახთა მეფემ თავიანთ სამფლობელოებში კათოლიკე მისიონერები მიიპატიჟეს, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ევროპაზე პოლიტიკური ორიენტაცია გრძელდებოდა.

თამარაშვილი დიდ ყურადღებას უთმობს ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის გაშუქებას, ასევე ფართოდ მიმოიხილავს თეიმურაზისა და ერეკლეს ხანას, ხაზგასმით აღნიშნავს მათ დასავლურ პოლიტიკურ ორიენტაციას.

თამარაშვილის წიგნი გამოცემისთანავე იქცა საერთო ქართულ მოვლენად. „გამოცემულმა თქვენს მიერ „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ ყოველი საქართველოს ყურე და კუთხე დაიარა და ყველგან აღფრთოვანებული ნათელი წაიღო და სიბნელეს სხივი მიაყენა და დასძრა და დაჰფანტა იჭვიანობა... გამოვიდნენ ასპარეზზედ თქვენი ჰაზრების დამცველნი“ ... წერდნენ ერთნი წიგნის გამოცემისთანავე. „შენი გამოცემული წიგნები, რომელნიც არიან დოკუმენტები საქართველოს ისტორიის გვაროვნობისა და ქართული ტიპიკონისა, მართლაც ძვირფასი და დაუფასებელი საუნჯენი არიან მამულის შვილებისათვის და თავგასული მტრებისთვის ლაგამის ამოსადებად... მართლა რომ შენი შრომა ძვირფასია ჩვენი საწყალი ქვეყნისთვის“ ... წერდნენ სხვანი კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრიდან 1906 წელს.

ილიას „ივერია“ კი 1902 წლის № 254-ში აღნიშნავდა: „ეს მარტო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა: და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე ქართლის ცხოვრებაა“.

მიხეილ თამარაშვილის წიგნს გამოეხმაურენ იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, თედო სახოკია, მიხეილ წერეთელი, ივანე გვარამაძე და სხვები. ყველა მათგანი აღნიშნავდა ავტორის მიერ გაწეულ ტიტანურ შრომას და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ფასდაუდებელი დოკუმენტების

განუზომლად დიდ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიის არაერთი ბურუსით მოცული მოვლენის ახსნის საქმეში.

უსახსრობის გამო მიხეილ თამარაშვილმა თავისი წიგნის მეორე ტომის გამოცემა ვერ შესძლო. მან ისლა მოახერხა, რომ ცალკე გამოყო საკითხების ნაწილი და ჩვენი ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ პოლემისტური წიგნის სახით დაბეჭდა.

1902 წელს იტალიაში იტალიურ ენაზე მხიტარისტთა კონგრეგაციის წევრმა ტერ-გაბრიელ ნახაპეტიანმა გამოსცა წიგნი „სომხის კათოლიკეები საქართველოში და საკითხი კათოლიკე სომეხთა და ქართველთა შორის“, რომელშიც ქართველთა მიმართ ცილისწამება იყო გადმონთხეული.

1904 წელს ისევ და ისევ სტეფანე ზუბალაშვილის ფინანსური მხარდაჭერით და პავლე მირიანაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის აქტიური მონაწილეობით გამოიცა მიხეილ თამარაშვილის წიგნი „პასუხი სომეხ მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)“.

ავტორი აღნიშნავდა: „აზრად არა გვაქვს პოლემიკა გავმართოთ საერთოდ სომხის მწერლებთან, გარნა უპასუხოთ არ გვინდა დავტოვოთ ეგოდენი უსაფუძვლო და ცრუ აზრები, რომელნიც კადნიერად გამოაქვეყნეს ქართველ კათოლიკეების წინააღმდეგ სომხურ გაზეთ „მშაკში“ 1897 და 1898 წლებში“. თამარაშვილი ხაზს უსვამს, რომ მისი პასუხები მხოლოდ „სომხის ზოგიერთ მწერალთ“ შეეხებათ, რომელთაც თავიანთი სინიდისის ფასად იცრუეს და ისტორიაში ჩაუხედავი, მდაბიო ხალხის მოტყუებას შეეცადნენ.

ნაშრომში სათანადო ასახვა ჰპოვა ქართული დამწერლობის წარმოშობის, საქართველოში სომეხთა შემოხიზვნისა და გადმოსახლების, კათოლიკე მისიონერთა საქართველოში მოღვაწეობის, ქართველ კათოლიკეებში სომხური რიტის გავრცელების და სხვა საკითხებმა.

„ნამკითხველები ჰაერში აფრინდნენ სიხარულით... ძლივს გამოვიდა ვინმე ასპარეზზედ, რომელმაც უნდა გააცნოს ქვეყნიერებას ჩვენი ქვეყნის ამბავი“, — წერდა ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ლაზარე გოზალიშვილი ამ წიგნის გამოსვლისთანავე.

1905 წლისთვის მიხეილ თამარაშვილმა ფრანგულ ენაზე მოამზადა ნაშრომი ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ, რომელსაც დაურთო

დოკუმენტური ტექსტები, გეოგრაფიული რუკები, სურათები და ა.შ. ასეთი ნაშრომის გამოცემა, ცხადია, გაცილებით ძვირი ჯდება.

თამარაშვილს ამჯერადაც ზუბალაშვილების იმედი ჰქონდა, მაგრამ 1904 წელს გარდაცვლილი სტეფანე ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა და ძმებმა აღარ ისურვეს მკვლევარის დახმარება. პირიქით, მას სტეფანესგან დანიშნული სუბსიდიაც მოუხსნეს, რის შემდეგაც თამარაშვილი სრულიად უსახსროდ დარჩა.

საჭირო გახდა აკაკი წერეთლის, ზაქარია ჭიჭინაძის, ცხადაძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა დიდი ძალისხმევა, რომ ზუბალაშვილებს კვლავ მონყალე თვალთ შეეხედათ რომში მყოფი მამულიშვილისთვის. მათ კვლავ აღუდგინეს დახმარება თამარაშვილს და წიგნის გამოცემა-შიც თანადგომა აღუთქვეს.

1910 წელს წიგნი ფრანგულ ენაზე გამოიცა.

საყოველთაო შეფასებით ამ წიგნის გამოცემა მოასწავებდა ახალი ეტაპის დაწყებას ქართველოლოგიის სფეროში. ევროპელთათვის ის ნამდვილ აღმოჩენად იქცა. თვით მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავდა, რომ „ადრე ჩემს მიერ გამოცემული წიგნები ამ წიგნთან მოსატანი და სახსენებელიც არ არიან“.

საქართველოში წიგნმა 1910 წლის ივნისში ჩამოაღწია. ლ. გოზალ-იშვილი თამარაშვილს სწერდა: თავადაზნაურთა საკრებულოში „... რა ნახეს წიგნი განცვიფრებაში მოვიდნენ... წიგნის სიღიადეზე და ავტორის მხნეობაზე... და უზენაესს უმადლოდნენ, რომ მოევიდნენ ქვეყანას ჩვენი კულტურის დასავლეთში გასაცნობად თქვენი მამობა. ვერ მოვახერხებ მათი სიხარულის გამოთქმას. დამპირდნენ, რომ ახლა მაინც შეგენევიან, რომ სინდისი გაისწორონ. მგონი 1000 მანეთამდე გაახლონ...“.

1911 წლის 5 თებერვალს სვიმონ ქვარიანი თამარაშვილს ქუთაისიდან რომში სწერდა: „ეს ერთი თვეა, რაც ჩამივარდა ხელში თქვენი ფრიად შესანიშნავი თხზულება ფრანგულ ენაზე... ნაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშენობით, საგულისხმო მასალა ფაქტებით და კარგი ფრანგული ენით... ამ საგანზე ჯერ მსგავსი არაფერი დაწერილა...“.

ხუთიოდე თვის განმავლობაში წიგნის გამოცემიდან ევროპაში ამის შესახებ 50-ზე მეტი რეცენზია დაინერა. წიგნს უმაღლესი შეფასება მისცა ვატიკანმაც.

„...სახელოვანმა ავტორმა მიხეილ თამარაშვილმა მოგვიძღვნა თავისი შესანიშნავი წიგნი ფრანგულ ენაზე. საუცხოო სტილით, სისწორით და გემოვნებით დაწერილი.. ეს თხზულება შესანიშნავია ძველი დროის საბუთების და მასალების საქართველოს ეკლესიის შესახებ ბრძნული კრიტიკით და თავისი ქვეყნის მტერთა მიმართ წყნარი ტონით.... შიგამოსჭვივის მხურვალე, მაგრამ შეგნებული პატრიოტიზმი ავტორისა, რომელიც ერთგვარი სისწორით აღნიშნავს თავისი ერის როგორც ბრწყინვალე საქმეებს, ისე შეცდომებსა და საშუალებებს, რითაც შეეძლო მას თავი დაეხსნა... მკითხველნი, რომელნიც შეიძენენ ამ დიდებულ თხზულებას, მიუძღვნიან მის ავტორს დიდ მადლობას... ისინი გულის ფანცქალით წაიკითხავენ ამ წიგნში საგმირო ისტორიას იმ ერისას, რომელმაც, მიუხედავად საშინელი დევნისა და ტანჯვა-წამებისა, შეინარჩუნა სიმამაცე, სულგრძელობა, სამართლიანობა და უმეტეს შემთხვევაში დარჩა თავისი ქრისტიანული ტრადიციების ერთგული“, — ნერდა ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ჟოზეფ პტი.

თამარაშვილის შრომებმა ერთგვარად შეაჯამეს უცხოეთში მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა პატრიოტული საქმიანობაც. მას კონტაქტები ჰქონდა დამყარებული მსოფლიოს თითქმის ყველა წიგნთსაცავთან და არქივთან, რომელშიც კი ქართული მასალების არსებობა იყო სავარაუდებელი. მან უკვე უტყუარად იცოდა, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ დოკუმენტები მრავლად მოიპოვებოდა პეტერბურგის, მოსკოვის, ლენინგრადის, პარიზის, კონსტანტინეპოლის, ტრაპიზონის, ბეირუთის, ქაიროს, ალექსანდრიის და სხვა ქალაქების წიგნთსაცავებსა და არქივებში.

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის მიხეილ თამარაშვილი დაუსწრებლად აირჩიეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად.

1911 წლის 2(15) სექტემბერს მიხეილ თამარაშვილი სოფელ სანტამარინელასთან ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე პროფესორ ავგუსტისთან ერთად სეირნობდა. ზღვა საოცრად წყნარი იყო. უბედურებას, თითქოს არაფერი მოასწავებდა. მოულოდნელად ამინდი აირია, ამოვარდნილმა ქარმა ზღვა ააღელვა. ამ დროს ყვირილი გაისმა. ვილაც

განწირული ხმით შველას ითხოვდა. ყველა ნაპირს მიანყდა, მაგრამ ზღვაში შესვლას ვერავინ ბედავდა.

... ამ დროს შეგროვილ ხალხს ორი ვაჟკაცი გამოეყო და აქოჩრილ ტალღებს შეება. ერთი მათგანი მიხეილ თამარაშვილი იყო, მეორე — მისი მეგობარი პროფესორი.

მაშველებმა მსხვერპლის — ნავების დარაჯის გადარჩენა შეძლეს, მაგრამ... თვითონ ნაპირს ველარ მიაღწიეს... მიხეილი ამ დროს მხოლოდ 53 წლის იყო.

ასე მოულოდნელად ტრაგიკულად და, ამავე დროს, გმირულად შეწყდა სიცოცხლე ადამიანისა, რომელსაც კიდევ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო თავისი სამშობლოსთვის.

რომში მიხეილ თამარაშვილი დიდი პატივით დაკრძალეს. იტალიური პრესა აღნიშნავდა, რომ ამ კაცში ბუნებრივად იყო შეთვისებული თავისი ერისთვის დამახასიათებელი ერთგულება და კაცთმოყვარეობისთვის გმირული თავგანწირვაო. იტალიის საზოგადოებამ გადაწყვიტა თამარაშვილისთვის ძეგლი დაედგა.

ამან ქართველი ინტელიგენცია გამოაფხიზლა. დაინყო მსჯელობა თამარაშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებაზე.

სამწუხაროდ, მაშინ ქართველმა საზოგადოებამ ვერ შესძლო სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა.

1978 წელს ქართველმა ხალხმა მაინც აღადგინა სამართლიანობა. მიხეილ თამარაშვილის ნეშტი ქართულ მიწაზე გადმოსვენეს. სამშობლოსთვის დამაშვრალი მამულიშვილი დიდუბის პანთეონში განისვენებს.



პეტრე ხარისჭირაშვილი

პეტრე ხარისჭირაშვილი ქართველ კათოლიკეთა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. იგი ახალციხეში 1804 ან 1805 წელს უნდა იყოს დაბადებული. ამ დროს მესხეთი ოსმალებს ეჭირათ, მესხთა ერთი ნაწილი მაჰმადის რჯულზე იყო მოქცეული და უკვე „თათრობდა“, მეორე ნაწილს კათოლიკობა მიეღო და სომეხ კათოლიკეთა მძლავრი ნწების ქვეშ სომხდებოდა. მესხთა მხოლოდ მცირე ნაწილს უდიდესი ძალისხმევით ფასად მოეხერხებინა მართლმადიდებლობის შენარჩუნება. ქართველებად მხოლოდ ეს უკანასკნელნი იწოდებოდნენ. ქართველთა გასომხების საქმე მხოლოდ მესხეთში არ იდგა. „...გასომხებული ქართველებით სავსეა თბილისი და სხვა ადგილები“, — წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.

პეტრემ დაწყებითი განათლება ახალციხის წმინდა ნათლისმცემლის ეკლესიის სამრევლო სკოლაში მიიღო. ახალციხის სკოლებში მაშინ ქართველ კათოლიკეთა ენა სომხური იყო. ქართულს მხოლოდ ოჯახში ასწავლიდნენ.

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ პეტრეს მშობლებმა შვილი ალექსანდრეპოლის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. აქ სხვა ენებთან ერთად ქართული ენაც ისწავლებოდა. სემინარიის დამთავრების შემდეგ პეტრე რომის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შევიდა და „საღმრთო-სამეტყველო“ განხრით გააგრძელა სწავლა. იქ მან სრულყოფილად შეისწავლა ფრანგული, იტალიური, გერმანული, ბერძნული, პოლონური, თურქული ენები.

1842 წელს პეტრე ხარისჭირაშვილი მშობლიურ ახალციხეში დაბრუნდა და მაშინვე არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანის თანაშემწედ დაინიშნა.

სამშობლოში მომავალ პეტრე ხარისჭირაშვილს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა ქართველ კათოლიკეთა გასომხების პოლიტიკისთვის. „გვაროვნობით ჩვენ სომეხ კათოლიკენი არა ვართ, ჩვენ გვაქვს ჩვენი ქართული ენა, წიგნები, სამშობლო ქვეყანა და მაშასადამე ჩვენს ეკლესიაშიც ჩვენს ენაზე უნდა იქმნეს წირვა-ლოცვა როგორ შეიძლება კაცმა ღმერთი ადიდოს იმ ენით, რომელიც მას არ ესმის. რიგი არ არის, რომ თავის ენაზე ვინმემ კაცს ღვთის დიდება დაუშალოს“, ასეთი განწყობით დაბრუნდა ის ახალციხეში. ერთ-ერთ მაშინდელ წერილში ხარისჭირაშვილი წერდა კიდევ: „გმადლობ ღმერთო, რომ ამიხილე თვალები, შენ მამცნიე ჩემი სამშობლო ენა, მწიგნობრობა, მიმახვედრე მის ისტორიას, სახელწოდებას, მის დღევანდელს მდგომარეობას, მის წინანმდელს დავრდომილობას, ღვთისა და ქრისტიანობის დიდმა აზრებმა განავრცოს ეს აზრები ჩემს თანამემამულეებში და დაიფაროს იგინი თავიანთი სამშობლო ქვეყნით, ენით, მწიგნობრობით და გვარტომობით“.

პეტრემ მალე აიყოლია მთელი მესხეთის ქართველობა. მას დარწმუნებისა და მქადაგებლობის იშვიათი ნიჭი გააჩნდა. „იგი იყო სიტყვა მჭევრი და ენით რიტორი“, — ამბობდნენ მასზე თანამედროვენი.

პეტრე ხარისჭირაშვილი კანონს ემორჩილებოდა და სომხურად წირავდა, მაგრამ ქადაგებას ყოველთვის ქართულად წარმართავდა. მან შეძლო მრევლში ზნეობის მკვეთრად ამალღება, წესად დანერგა ღარიბი ქალების უმზითვოდ გათხოვება, მთელ მრევლს ასწავლა წერა-კითხვა.

თავისი მაღალი ზნეობის, მტკიცე ქართული პატრიოტული პოზიციის გამო პეტრეს ავტორიტეტი ქართველ კათოლიკეთა შორის დღითიდღე იზრდებოდა. სამაგიეროდ მან სომეხ კათოლიკეთა სიძულვილი დაიმსახურა. პეტრე მედგრად იბრძოდა ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობის დამტკიცებისთვის. „მეტი რალა ნიშნებია, საჭირო! არ კმარა რაც ნიშნები გვაქვს, ჩვენმა მრევლმა სომხური ენა არ იცის, სადაც ნამდვილი სომხის გვარის კათოლიკენი არიან, მე იმათზე არ მოგახსენებთ. მე ძლიერ მსურს, რომ სომეხი სომხად დარჩეს და ქართველი — ქართველად“, — წერდა ის.

სომხების პასუხი კი ასეთი იყო: რუსის მთავრობა ქარველებად მხოლოდ მართლმადიდებლებს სცნობს, ამიტომ ჩვენც ასე უნდა მოვ-

იქცეთ. კათოლიკენი ყველანი სომხები არიანო.

სომეხ კათოლიკეთა კრებამ დაადგინა, რომ ახალციხეში სომხური სემინარია გახსნილიყო. ამ იდეას გასომხებული ქართველი პავლე შაჰყულიანიც მიემხრო. ამით აღშფოთებულმა პეტრემ მას მისწერა: „როგორც შენ გაყიდე შენი გვარი და სამშობლო, ესევე გინდა სხვასაც დაჰმართო? შენ გინდა ქართველი კათოლიკენი სომეხთ შეუერთო? ეს არასდროს არ იქნება. შენ ამის გამო შეგაჩვენებს შთამომავლობა“.

შაჰყულიანი კი ამ დროისთვის უიმედოდ გასომხებული გახლდათ. ამიტომაც განაცხადა: „მეჩვენებულ იქნას ის პირი, ვინც თავის თავს ქართველი უწოდოსო“.

სომეხ კათოლიკეებთან პეტრეს დაპირისპირებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მისი შაჰყულიანთან მუშაობა შეუძლებელი შეიქცა. ახალციხეში ჩამოსვლიდან უკვე ერთი წლისთავზე ხარისჭირაშვილი ხიზაბავრაში გააძევეს. პეტრე შესანიშნავი გარეგნობის წარმოსადეგი მამაკაცი იყო. ახალციხეში მას ორი მშვენიერი მანდილოსანიც ეტროფოდა, მაგრამ პეტრეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ღვთის სამსახური.

ხიზაბავრადან ხარისჭირაშვილი ვალეში გადავიდა. ორივეგან — ხიზაბავრაშიც და ვალეშიც პეტრე გლეხკაცობას ნამდვილ მფარველად მოეწვინა. გლეხებს ის უყვარდათ სიკეთისთვის, სიმართლისთვის, ღარიბ-ღატაკთა მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის.

1856 წელს პეტრე ხარისჭირაშვილი საზღვარგარეთ წავიდა და ვენეციაში სომეხ მხითარისტების ძმობას შეეკედლა. აქ მან ქართული სტამბა დააარსა და ივანე მამულაშვილთან ერთად მის მიერ თარგმნილი წიგნი გამოაქვეყნა. მასში ორი შრომა სომხურიდანაც იყო თარგმნილი (ორივე შრომის ავტორები გასომხებული ქართველები იყვნენ). ამან პეტრეს სომხების კეთილგანწყობა მოაპოვებინა, რამაც საგამომცემლო საქმიანობის გაფართოების საშუალება მისცა. ვენეციაში მის მიერ გამოცემული წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „იგავნი იეზუბოს ფილოსოფოსისანნი“. წიგნში სულ 95 იგავია შესული. ეს არის ლათინურიდან შესანიშნავი ქართულით ნათარგმნი იგავები.

თავისი დაულალავი საქმიანობით პეტრემ ვატიკანის კარდინალთა ყურადღება და კეთილგანწყობაც დაიმსახურა. მას ნება დართეს კონსტანტინეპოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაცია დაეარსებინა.

ნებართვებითა და ფირმანებით აღჭურვილი ხარისჭირაშვილი სტამბოლში ჩავიდა, მაშინვე ქართველთა ძმობა დააარსა და საეკლესიო მსახურებას ქართულად შეუდგა. აქვე მოქმედებდა ქართველ მონაზონთა მონასტერი და ქართული კათოლიკური სკოლაც.

სასწავლებელში პირველ წელსვე პეტრემ 100 ყმაწვილზე მეტს მოუყარა თავი. მათი დიდი ნაწილი სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად ჩაყვანილი და პეტრეს მიერ გამოსყიდული გურული ყმაწვილები, ნაწილი კი საქართველოდან სპეციალურად სასწავლებლად შერჩეული ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ.

სტამბოლის ფერიქოვის უბანში დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა ამ ცენტრში კათოლიკურ წირვას სამი სარწმუნოების მიმდევარი ქართველნი — კათოლიკენი, მართლმადიდებლები და მაჰმადიანნი ესწრებოდნენ. ამით თითქოს ფრთა ესხმოდა ეროვნული კონსოლიდაციის ლოზუნგს. დომინიკე მულაშაშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „მე ამაში ზეგარდმო მადლსა ვხედავ და ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შვილი ქართველთ გვაროვნებისა ისევ ერთ ხეზე ყოფილა დამყნობილი და თავის ფესვებს არ მოშორებია“.

სწორედ ქართული ძირები, ქართული ფესვები იზიდავდა ერთმანეთისკენ განსხვავებული აღმსარებლობის ქართველობას.

მაღე ხარისჭირაშვილმა თავის ცენტრში კიდევ ერთი სკოლაც გახსნა. ამ სკოლების შესახებ ცნობები ხშირად იბეჭდებოდა რომის გაზეთებში. მათ შესახებ წერდა ფრანგული გაზეთი „ინდეპენდანტ ბელგიე“-ც.

1870 წელს პეტრემ სტამბა სტამბოლშიც დააარსა და გაათმაგებული ენერგიით შეუდგა ქართული წიგნების გამოცემას. მის მიერ გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია: „გეოგრაფია“, „გზა ცხოვრებისა“, „გვირგვინამებულთა“, „ყვავილის კონა ყრმათა“, „წინამძღვართ ზეცისა“, „მოკლე რიტორიკა“, „მოკლე ფილოსოფია“, „სიბრძნე კაცობრივი“, „მოკლე ქართული ღრამატიკა“, „საქრისტიანო მოძღვრება“ და სხვა.

ამ წიგნების ნაწილი ხარისჭირაშვილმა უფასოდ გაავრცელა ხალხში.

ხარისჭირაშვილი ცდილობდა წიგნები კარგი ქართულით დაებეჭდა. თავისი სტამბის თანამშრომლებს ის ნიმუშად გაზეთ „დროების“

ქართულს უსახავდა და მოითხოვდა, რომ მათი თარგმანები ამ დონეზე ყოფილიყო შესრულებული. ცუდად თარგმნილი ნიგნები არ იყიდება და ჩვენც ზარალში ვვარდებითო, უხსნიდა ის მათ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ წლებში ხარისჭირამ-ვილის მიერ გამოცემული ნიგნი „ყვავილების კონა“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ნიგნში დაბეჭდილი ლექსები საეკლესიო წრეებშია დანერილი. აი, ერთ-ერთი მათგანი:

„მიყვარს ვენახი ხევანი,
ხშირი სმა ხილის ძლევანი;
ყურძნისა მწიფე მტევანი,
ტკბილის სმა, ღვინის ლევანი,
გაშლილა სუფრა დიშისა
დრო არის ან ნაწიშისა,
ძმაო რამ გარდაგიშისა?
ან დაჯე ან გადი მისსა.
მოყვრისა ჯაჭვით რთულითა
დაბმულხარ ათვეც კრულითა
რიგდება ღვინო კულითა
დალოცე ძმანი გულითა
ვსვათ სადღეგრძელო ღვინითა,
მათ კათხით, ჩვენ კი მინითა.
ვიხაროთ ტკბილის ღვინითა,
გავბასროთ მტერი ჟინითა...“

პეტრეს მიერ კონსტანტინეპოლში დაარსებული ქართველ კათოლიკეთა ძმობა ისე გაძლიერდა, რომ 70-იან წლებში მან საფრანგეთის ქალაქ მონთობანშიც დააფუძნა ასეთივე ძმობა. დაიწყო ზრუნვა ახალი ძმობის სტამბის შექმნისთვის.

70-იანი წლებიდან ფერიქოვის ორწლიანი სასწავლებელი სამწლიანად გადაკეთდა. ეს სემინარიის გახსნის მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იყო. სასწავლებელში ისწავლებოდა ისეთი საგნები, როგორცაა ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა

და ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, სამედიცინო საქმე და სხვ. დიდი ყურადღება ეთმობოდა ფრანგულ და ლათინურ ენებს.

პეტრემ უნარიანი ხელმძღვანელობით შეძლო კომერციული საქმიანობაც აენყო. ძმობასთან მან სავაჭრო ამხანაგობა-ქარვასლა დააარსა. შემოსავალი საერთო ფონდში ირიცხებოდა.

1900 წლისთვის ამხანაგობის მფლობელობაში უკვე 5 დუქანი და რამდენიმე სავაჭრო ობიექტი იყო, რომელთა წლიური შემოსავალი 4 ათას მანეთზე მეტს შეადგენდა. ამხანაგობას იმავე წელს ბანკში დაბანდებული ჰქონდა 45 ათასი მანეთი. ძმობამ მოაწყო ძროხების ფერმაც, რომელშიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ.

როგორც უკვე ითქვა, კომერციული საქმიანობიდან შემოსული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლებში მივლინებას, ნაწილი საგამომცემლო საქმიანობას, ნაწილი კი ქველმოქმედებას ხმარდებოდა.

პეტრე ხარისჭირაშვილი ბევრს ზრუნავდა ქართველი მაჰმადიანების ქრისტიანულ რჯულზე მოქცევისთვისაც. ამ მცდელობის შედეგი იყო, რომ მის სკოლას ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა მიაშურა. 1896 წელს ამ სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე მელვინიშვილი ივანე გვარამაძეს სწერდა: „მაქვს ვედრება თქვენდამი... თუ რომ შეიძლება, თქვენგანით, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი შეიძლოთ... და ცოტაოდენი ნიგნებისა ორ-ორი ეგზემპლარი მომიძებნოთ, რადგან ქართველ თათრებმა ზალა წაიღეს და ზოგიც მაიპანი კიდევაც გაკვეთილს იღებენ ჩემგან და ნიგნების სიმცირემ მეტისმეტად შეწუხება მომაყენა“.

ბევრი ქართველი მაჰმადიანი იქამდე დაუახლოვდა „ქართველთა ძმობას“, რომ ქრისტიანულ ქადაგებაზეც კი დაინყო სიარული. არც არაფერი იყო გასაკვირი, რომ სამშობლოდან შორს გადაკარგულ ქართველ მაჰმადიანებს თავიანთი თვისტომებისკენ მიუწვევდათ გული.

სიცოცხლის ბოლოს პეტრე ხარისჭირაშვილი მონასტერში განმარტოვდა. ჯანმრთელობაშერყეულს აპათია მიეძალა. კონსტანტინეპოლში მას ამ დროს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე ესტუმრა. პეტრემ ჯერ სტუმრის თვალწინ მწარედ იტირა თურმე, შემდეგ კი მას დანვრილებით გამოკითხა საქართველოს ამბები. „ძალიან გულგატეხილი ყოფილა ... ნამეტურ იმაზე, რომ ამდენი ქართველი მაჰ-

მადიანი უპატრონოთ არის დაშთენილი, ამოდენა ხალხი უნდა მოეგ-
ლიჯოს საქართველოს, ქართულს ენას და გვარტომობასო, რადგანაც
დღეის შემდეგ ქართველობა ამისთვის ვეღარ მოიცილისო“, — წერდ-
ნენ მოგვიანებით მისი მოწაფეები.

სიკვდილის წინ პეტრემ თავისთან იხმო მოწაფე-მოძღვარნი და
საქართველოს სიყვარული, მისდამი უანგარო სამსახური, ქართული
ენისადმი ერთგულება უანდერძა.

სამშობლოსთვის დამაშვრალი პეტრე ხარისჭირაშვილი 1890 წელს
აღესრულა.



კონსტანტინე გვარამია

მესხეთის გამოჩენილ პიროვნებებს შორის ღირსეული ადგილი უკავია ივანე გვარამიას შვილს — კონსტანტინე გვარამიას. მას, როგორც განმანათლებელს, დიდი დამსახურება მიუძღვის ჯერ თურქი დამპყრობლების, შემდეგ კი რუსი კოლონიზატორების მიერ დაბეჩავებული ადგილობრივი მოსახლეობის შეგნებაში ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება-განმტკიცებაში, ასევე დიდია მისი წვლილი სამცხე-ჯავახეთში ქართული კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე გვარამიას მოღვაწეობას მის სიცოცხლეშივე მაღალ შეფასებას აძლევდნენ, იგი მაინც არ ყოფილა განებივრებული ყურადღებით.

კონსტანტინე გვარამიას მდიდარი მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში, ხოლო ნაწილი გაბნეულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა და შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. ნაწილი გამოქვეყნებულია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში დაძაბული სიტუაცია იყო შექმნილი. მეტად მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა იყო სამცხე-ჯავახეთშიც. ადგილი ჰქონდა ერთი მხრივ ქართველ კათოლიკეთა გასომხებას, ხოლო მეორე მხრივ არსებობდა მართმადიდებლური მოსახლეობის გარუხების საფრთხე. 1881 წლის 13 ოქტომბრისა და 1886 წლის ბრძანებებით ოფიციალურად აიკრძალა ქართული ენის გამოყენება. ასეთ ვითარებაში კონსტანტინე გვარამიამ ეპოქის მოთხოვნის შესაბამისად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. სამოღვაწეო ასპარეზზე ის XIX ს-ის 80-იან წლებში გამოვიდა. მოღვაწეობა კორე-

სპონდენტობით დაიწყო. 1884 წ. თავისი პირველი წერილი მოათავსა გაზეთ "დროებაში", ხოლო 90-იანი წ-დან ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთის კორესპონდენტი იყო, სადაც აქვეყნებდა წერილებს შემდეგი ფსევდონიმებით: "მესხი კ. გვარამაძე", "მოკეთე", "ქართველი კათოლიკე", "აპრაქიტა", "კუნაპატი", "შხამიანი ისარი", "ქარცეცხლი", "გაგურულებული მესხი", "კ. გვარამაძე", "ძველი რევოლუციონელი", "მ.კ.გ.", "ძველი მესხი". მან თავი მოუყარა როგორც თავის, ისე მამამისის — ივ. გვარამაძის კორესპონდენციებს, რომლებიც ხელნაწერის სახით ინახება მის არქივში.

კონსტანტინე გვარამაძის მოღვაწეობის ძირითად ასპარეზს განათლების სფერო წარმოადგენდა: 1890-იანი წლებიდან ვიდრე 1924 წლამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მასწავლებლობა მან დაიწყო ქ. ართვინში, შემდეგ მუშაობა გურიაში განაგრძო, 1904 წელს იგი რაბათში, 1907 წ. — სოფ. ხიზაბავრაში მასწავლებლობს, 1910 წ-დან კი ახალციხის პროგიმნაზიაში გადავიდა ქართული ენის მასწავლებლად.

მას, როგორც პრაქტიკოს მასწავლებელს, საკუთარი შეხედულებანი გააჩნდა სწავლების, განათლებისა და აღზრდის საკითხებზე, მასწავლებლის პროფესიაზე. მოითხოვდა, რომ მასწავლებელი არ დაკმაყოფილებულიყო თავისი ვიწრო სპეციალობით. მისი აზრით, მასწავლებელს არა მარტო მოსწავლეთა აღზრდა-განათლება, არამედ მთელი ხალხის განმანათლებლობაც ევალებოდა: "მასწავლებელი სკოლის გარეთაც უნდა ტრიალებდეს, ხალხში განათლებას ჰყენდეს, . . . მისცეს ხალხს სამეურნეო რჩევა-დარიგება, იბრძოდეს სოფელში სამკითხველოს, სცენის და სხვა კულტურულ დაწესებულებათა გასახსნელად." შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მისი ერთგვარი წესდება, რომლითაც ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ხელმძღვანელობდა.

კონსტანტინე გვარამაძე ქართველი ხალხის დანინაურებაში დიდ მნიშვნელობას განათლებას ანიჭებდა. ამიტომ, ზრუნავდა სკოლების დაფუძნებაზე. კერძოდ, მისი ინიციატივით, 1912 წ. დაწყებითი უფასო სკოლა დაფუძნდა სოფელ არალში, უფრო ადრე კი — ქობულეთსა და ქ. ბათუმის ე.წ. გოროდოკში.

მოძიებული მასალებით დასტურდება, რომ კოტე გვარამაძეს რაბათში დაუარსებია სტამბა. როგორც თვითონ მიუთითებს, 1905 წ. რეგ-

ოლუციური მოძრაობების დროს პროკლამაციების დასაბეჭდად, მისი ინიციატივით შეუსყიდიათ არალეგალური ლიტერატურის საბეჭდი, რომელიც შემდგომ გონივრულად იქნა გამოყენებული ქართული საქმის საკეთებლად. მის შესახებ წერდნენ: "ზ. ჭიჭინაძის მსგავსად თვითონვე ბეჭდავს წიგნებს, დადის სოფელ-სოფელ ხალხში აღვიძებს სწავლა-ცოდნის წყურვილს და ავრცელებს იაფფასიან პოპულარულ გამოცემებს, რომელთაც ხშირად უფასოდაც ურიგებს გლეხის შვილებს." მის ბროშურებს ასეთი წარწერა ჰქონდა: "ფასი 5 კაპიკი სოფლად და მასწავლებელთ 3 კაპ. დაეთმობათ ვინც 50 ცალს იყიდის დასარიგებლად." კ. გვარამაძის სახელს უკავშირდება 1912 წ. რაბათში ყოფილი წიგნების მაღაზიის დაარსება შეღავათიან ფასებში ვაჭრობით. ამავე დროს, მესხეთსა და აჭარაში ეწეოდა წიგნების პოპულარიზაციას და გავრცელებას.

კონსტანტინე გვარამაძის საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ იგი იყო რაბათში თეატრალური სცენის დამფუძნებელი. მას კარგად ესმოდა თეატრის დანიშნულება და მისი არსებობის მნიშვნელობა სამცხე-ჯავახეთში, მისი როლი ეროვნული კულტურის შემდგომ განვითარებაში: "წარმოდგენა — გზა და ხიდია საუკეთესო ცხოვრებისაკენ მიმართული უკეთ რო ვთქვათ სარკეა ცხოვრებისა, იგი ზედმინეწით ახასიათებს წარსულის ისტორიას და აწმყო თანამედროვე ცხოვრებას, რასაც უნდა ადევნებდეს თვალყურს ყოველი შეგნებული ადამიანი." მესხი მოღვაწის დამსახურება უშუალოდ იმაში მდგომარეობს, რომ მისი თაოსნობით 1905 წ. რაბათში ჩამოყალიბდა მეორე თეატრალური დასი. მისი საარქივო მასალები საშუალებას იძლევა სრული წარმოდგენა შევიქმნათ ქ. ახალციხეში თეატრალური დასების საქმიანობაზე. იგი მესხეთის თეატრის მემკვიდრედ წარმოსდგება, რამდენადაც გვანჯდის უტყუარ ცნობებს როგორც მსახიობთა შესახებ, ასევე აქ წარმოდგენილ სპექტაკლებზე. მასალებიდან ჩანს, რომ მას დიდი სურვილი ჰქონდა ახალციხის თეატრალური დასების გაერთიანებისა. უმთავრესი კი ის იყო, რომ წარმოდგენებიდან შემოსული თანხები ხმარდებოდა განათლების კერებს.

კონსტანტინე გვარამაძის უდიდესი დამსახურებაა ქ. ახალციხეში ჯერ სამაზრო და შემდეგ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება. მისი ინიციატივით 1923 წელს ქ. ახალციხეში დაარსდა სამაზრო

მუზეუმი, რომლის პირველ გამგედ დანიშნულ იქნა ღვინიაშვილი, ხოლო 1924 წლიდან — კონსტანტინე გვარამაძე, მაგრამ დასახელებულმა მუზეუმმა უბინაობისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო დიდხანს ვერ იარსება, ხოლო 1937 წ. მისი ინიციატივით დაფუძნებულ იქნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კონსტანტინე გვარამაძე წერდა: „დანიშნულ ვიქენი მუზეუმის მეცნიერ-მუშაკათ ვინაიდან დირექტორობაზე უარი განვაცხადე ხნიერების გამო. რადგან არ შემეძლო ადმინისტრატორობა 69 წლის ბერიკაცსო.“ აღსანიშნავია, რომ დასახელებული მუზეუმი აღმოცენდა ივ. გვარამაძის საოჯახო მუზეუმისა (რომელიც მემკვიდრეობით მიიღო კონსტანტინე გვარამაძემ) და გაუქმებული საეკლესიო განძის საფუძველზე. ამას ასაბუთებს 1937 წ-ის 10 ივნისს შედგენილი მის არქივში დაცული ოქმი. თბილისიდან მოვლინებული კომისიის (თავმჯდომარე-პ. ინგოროყვა, წევრები — გ. ბოჭორიძე, ალ. ბარამიძე) მიერ კონსტანტინე გვარამაძისაგან შექმნილ იქნა 15000 მანეთად მისი და ივ. გვარამაძის საარქივო მასალები.

კონსტანტინე გვარამაძის სახელს უკავშირდება ქ. ახალციხის არქივის დაფუძნებაც 1924 წელს. იგი იყო კულტურის, ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებული. მან მოინახულა სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ძეგლები და შეადგინა „მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ძეგლთა ცნობარი“.

დიდა კონსტანტინე გვარამაძის წვლილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ახალციხის ფილიალის დაარსების საქმეში — 1912 წ. 18.07, რომლის მდივნის მოადგილედ თვითონ იყო, ხოლო თავმჯდომარე — დ. ხახუტაშვილი.

კონსტანტინე გვარამაძე გასული საუკუნის 90-იან წლებიდან სიკვდილამდე ეწეოდა ნაყოფიერ ფოლკლორისტულ მოღვაწეობას. რის საფუძველზეც განადგურებას გადაურჩა მრავალი მასალა, რომელიც ესეოდენ ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე გვარამაძეს, ზეპირსიტყვიერების შეკრება-მოძიება ინტელიგენციის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა.

კონსტანტინე გვარამაძე ქართველი ხალხის თვითგანვითარების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლების გავრცელებას. ამიტომაც ზრუნავდა ბიბლიოთეკების დაფუძნებისათვის. კერძოდ, მის

სახელთან არის დაკავშირებული ოზურგეთის ბიბლიოთეკის დაარსება — 1891 წელს. რომელსაც საფუძვლად დაედო მის მიერ სოფელ მაკვანეთში გამართული წარმოდგენის შემოსავალი — 11 მან. 50 კაპ. მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ ხიზაბავრის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დამფუძნებაშიც. თავისი კორესპონდენციით ქართველ საზოგადოებას ამცნო ახალი ბიბლიოთეკის დაარსება და გამომცემლებს მიმართა თხოვნით, რომ თავინთი გამოცემები შეენიროთ ხიზაბავრისათვის, რომელთაც „ნიგნის სიყვარული დიდი აქვთ და ხელმოკლეობა საშუალებას არ აძლევს“.

კონსტანტინე გვარამაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მარტო ზემოთ აღნიშნულით არ ამოიწურება. მის სახელს უკავშირდება მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის შეკრება (რომლის გაცნობის გარეშე შეუძლებელი იქნება სამცხე-ჯავახეთის ფუნდამენტური ეთნოგრაფიული გამოკვლევა), „მოკეთის“ სახელწოდებით კოპერატივების დაარსება სოფელ ხიზაბავრასა და ახალციხეში (შესაბამისად 1904-1915 წლებში), უფასო ქსენონის დაფუძნება რაბათში — 1906 წელს. კონსტანტინე გვარამაძე იყო ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი მესხი განმანათლებლის — ივ. გვარამაძის, 1905-1906 წლებში ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას. დიდ მზრუნველობას უწევდა ახალციხის და სოფელ უდეს ობოლ ბავშვთა თავშესაფარს, იგი არის ავტორი სხვადასხვა შინაარსის მრავალი ნიგნისა და ნაშრომის.

თუ შევაჯამებთ მის საქმიანობას, კონსტანტინე გვარამაძე წარმოსდგება, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე; ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალ-პუბლიცისტი, მასწავლებელი, ხალხური სიტყვიერების შემკრები.

კონსტანტინე გვარამაძის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამცხე-ჯავახეთისთვის. მან თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში. ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება-დაცვაში.

კონსტანტინე გვარამაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო მესხეთისთვის. ქართველმა ინტელიგენციამ ეს ფაქტი „მესხეთის დაცლად“ აღიქვა.



ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილი ყველაზე დიდი ქართველი ისტორიკოსია. ვახუშტი ბაგრატიონი ჯავახიშვილების გვარს ქართველ დიდებულთა შორის ასახელებს. მათი წინაპარი ჯავახეთიდან იყვნენ — თორელები. 1338 წელს გიორგი ბრწყინვალეს მიერ გაცემულ წყალობის წიგნში მოხსენიებულია თორელი ჯავახიშვილი ივანე. XV საუკუნიდან თორელები აღარ იხსენიებიან, თუმცა თორელთა საგვარეულო სახელი - გამრეკელი ჯავახიშვილების გვარში შემდგომ საუკუნეებშიც გვხვდება. XIV საუკუნეში თორელები თორელ-ჯავახიშვილებად იწერებიან, XV საუკუნიდან კი ჯავახიშვილებად.

ჯავახიშვილების წინაპრები ჯერ კიდევ XII საუკუნეში გადმოსახლებულან ქართლში, თემის ხეობაში, მათ შორის, სოფელ ხოვლეში, რომელიც 1259 წელს უზარმაზარ თანხად შეუესყიდა კახა თორელს და რკონის ღვთისმშობლის მონასტრისთვის შეუწირავს.

ივანე ჯავახიშვილი 1876 წლის 11 აპრილს პედაგოგ ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახში დაბადებულა. ივანეს დედა სოფიოც სამცხელი თავადების ძირძველი გვარის - ვახვახიშვილების წარმომადგენელია. XIII საუკუნის ბოლოს ვახვახიშვილები კახეთს გადმოსულან და თელავს დასახლებულან.

თანამდროვენი ასე აღგვიწერენ ივანეს მშობლებს: მამა — ალექსანდრე, ძლიერი ინტელექტის, მტკიცე ნებისყოფის, ტანდაბალი, მაგრამ მკვრივი აგებულების იყო. ახასიათებდა პირდაპირობა, ხასიათის სისპეტაკე, თავაზიანობა, ბეჯითობა და თავმდაბლობა.

დედა - სოფიო, მალალი, ლამაზი, ნაზი, თავმდაბალი და დარბაისელი მანდილოსანი, შესანიშნავი მჭერმეტყველი და გარშემო მყოფთა

სულის მესაიდუმლე იყო.

დედ-მამას ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი ბუნებრივი ზრდილობა, ღირსების მაღალი განცდა და თავმდაბლობა. მათი თავადური ოჯახისთვის მიუღებელი იყო გადაჭარბებული პურობა, ფუჭი შვება-განცხრომა, ზედმეტი სუფრიანობა და ღრეობა.

ასეთ ზნემაღალ გარემოში ყალიბდებოდა მომავალი დიდი მეცნიერი, პატრიოტი, პიროვნება, ივანე ჯავახიშვილი.

1885 წელს ივანე ჯავახიშვილი ჩაირიცხა თბილისის გიმნაზიის მეორე კლასში. ამ დროს აქ მკაცრი რუსიფიკატორული რეჟიმი იყო გამეფებული. მშობლიური ენა სკოლებში სასტიკად იდევენებოდა. „გიმნაზია ვანოს არ მოსწონდა, სწავლობდა კი კარგად. გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა სულს უხუთავდა ქართველ შევნებულ მონაფეობას“, — იგონებს ივანე ჯავახიშვილის სიყრმის მეგობარი ივანე ნიჟარაძე.

გიმნაზიაში სწავლის დროს ივანეს ინტერესი ისტორიისადმი განსაკუთრებით გამოიკვეთა. 1895 წელს ივანე ჯავახიშვილმა სიმნიფის ატესტატი მიიღო და მაშინვე პეტერბურგს მიაშურა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე ჩაირიცხა, სადაც სპეციალობად საქართველოს და სომხეთის ისტორია აირჩია.

პეტერბურგის უნივერსიტეტი ამ დროს აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. ჯავახიშვილის მასწავლებლები იყვნენ თვალსაჩინო მეცნიერები ნ. მარი, ალ. ცაგარელი, ვ. ჟუკოვსკი, ნ. ვისელოვსკი, ს. პლატონოვი, ვ. როზენი და სხვანი.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ივანე ჯავახიშვილმა მეცნიერული მუშაობის დიდი ნიჭი, უნარი და ალღო გამოამჟღავნა. 1897 წელს მან გამოსაცემად ჩააბარა პირველი სამეცნიერო ნაშრომი „სიბრძნე ბალავარისა“ (თარგმანი), რომელიც 1899 წელს გამოიცა.

უნივერსიტეტის დამთავრებისას ივანე ჯავახიშვილი იმდენად იყო დაუფლებული სომხურ, ლათინურ, ბერძნულ, სპარსულ და სირიულ ენებს, რომ ამ ენებზე არსებული საისტორიო წყაროებით თავისუფლად სარგებლობა შეეძლო. მან ასევე კარგად იცოდა რუსული და ევროპული ენებიც.

ნიკო მარის მოთხოვნით უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1899 წელს ივანე ჯავახიშვილი ორი წლით საპროფესოროდ მოსამზადებლად კათედრაზე დატოვა. 1900 წელს ივანემ ჩააბარა უნივერსიტეტში სამაგისტრო გამოცდები, ხოლო 1907 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე „ძველი სომხეთის და საქართველოს სახელმწიფო წყობილება“.

სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ივანე ჯავახიშვილი საზღვარგარეთ მიავლინეს. ის ჯერ გერმანიაში იყო, 1902 წელს კი ნიკო მართან ერთად სინას მთაზე ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა.

პეტერბურგში დაბრუნებულ ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტში პრიატ-დოცენტის თანამდებობა და საქართველოს და სომხეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე ლექციების წაკითხვა შესთავაზეს.

სამეცნიერო ასპარეზზე ივანე ჯავახიშვილის გამოსვლის დროისთვის საქართველოს ისტორია, როგორც მეცნიერება, ფაქტიურად არ არსებობდა. ამიტომ ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებისთანავე მიზნად დაისახა სრულიად გამიზნული და გეგმაზომიერი მუშაობა ქართული ისტორიული მეცნიერების შესაქმნელად, რადგან სხვა კულტურული კერა, სადაც ასეთი მუშაობის წარმართვა მოხერხდებოდა, ჯერ არ არსებობდა.

1917 წლამდე ვიდრე ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობდა მან 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა: ორი გერმანულ ენაზე, 22 რუსულ ენაზე და 16 ქართულ ენაზე. ამათგან კაპიტალურ ნაშრომებს მხოლოდ ქართულად გამოქვეყნებული შრომები შეადგენდნენ. და ეს არ იყო შემთხვევითი. ჯავახიშვილი ხომ ახალ ქართულ ისტორიოგრაფიას უყრიდა საფუძველს, ქმნიდა იმის პირობას, რომ ამიერიდან ქართული მენციერების განვითარების ცენტრს საქართველოში გადმოენაცვლა.

1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილმა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე ჩამოაყალიბა. ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით იგი წერდა: „...თითქმის სრულებით მარტივი და სრულებით უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად, მოხსენებები იწერებოდა ქართულად... კამათი, მსჯელობა ქართულად

სწარმოებდა და ვარჯიშობა დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ...“ ჯავახიშვილის მთელი საქმიანობა, იქნებოდა ეს სტუდენტური შრომების კრებულის ქართულ ენაზე გამოცემა, ქართველ სტუდენტთა მიერ შედგენილი „ანკეტის“ დაგზავნა თუ სხვა რამ, მიმართული იყო ერთი უმთავრესი მიზნისკენ - ქართული უნივერსიტეტის დაარსებისკენ. ზაფხულობით ივანე სამშობლოში ჩამოდიოდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. ეს ლექციები მსმენელი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა, მათ დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

1913-14 წლებში ივანე ჯავახიშვილმა გამოსცა თავისი შრომის - „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ორი ტომი. ეს იყო დიდი მოვლენა ქართული ისტორიოგრაფიაში. ფაქტიურად ამ შრომის გამოქვეყნებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მეცნიერულ ისტორიას. სწორედ ასე აღიქვა ეს მოვლენა ქართულმა საზოგადოებამ. ამიტომაც იყო, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წერილი მისწერა ივანე ჯავახიშვილს: ჩვენ კონკურსი გამოვაცხადეთ საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომის გამოსავლენად. გთხოვთ თქვენი ნაშრომი წარმოადგინოთ კონკურსში მონაწილეობისთვის. ეჭვი არ არის, რომ თქვენი „ქართველი ერის ისტორია“ უთუოდ გამარჯვებული შეიქნებაო.

ივანე ჯავახიშვილის პასუხი ამ თხოვნაზე საოცარი თავმდაბლობის და მაღალი ზნეობის იშვიათი ნიმუშია. მადლობას გიძღვნით მოწვევისთვის, მაგრამ იძულებული ვარ უარი გითხრათ თქვენს თხოვნაზე ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი მე ჩემი პრივატ-დოცენტობა საშუალებას მაძლევს იმდენი სახსარი მქონდეს, რომ მუშაობაში ხელი არ შემეშალოს, მეორეც, კონკურსში გამარჯვება და სახელი ახალგაზრდა მეცნიერებს უფრო სჭირდებათ, ზნეობრივი არ იქნება ჩემი მხრივ მათთვის გზის გადაღობვაო.

ცარიზმის დამხობის შემდეგ იმპერიაში შექმნილი ვითარება ხელსაყრელ მომენტს ქმნიდა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისთვის. ივანემ უტყუარი ალლოთი იგრძნო, რომ დროის დაკარგვა აღარ შეიძლება. რევოლუციიდან უკვე მეორე დღეს - 28 თებერვალს ივანე აკაკი შანიძეს და შალვა ნუცუბიძეს ეტყვის: დაყოვნება დაუშვებელია, ხვალვე, ანუ 1 მარტს უნდა შევიკრიბოთ და ქართული უმაღლესი სკო-

ლის საკითხი განვიხილოთ. ივანე ჯავახიშვილის ბინაზე ეს შეხვედრა მართლაც 1 მარტს შედგა. შემდეგში, 1938 წელს ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ჩვენ მაშინ ვერ ვგრძნობდით, რომ „ისტორიულ საქმეს ვაკეთებდით“. ეს რომ ასე იყო, ისიც ადასტურებს, რომ „ოქმიც კი არ შეგვიდგენიაო“.

ფაქტი კი ფაქტად რჩება. სწორედ ამ კრებაზე ჩაეყარა საფუძველი კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საქმეს.

უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების 1917 წლის 3 და 8 ოქტომბრის საერთო კრებების შემდეგ მთელ საქართველოში აზვირთდა სახალხო ენერგია უნივერსიტეტისთვის ფულადი სახსრების შესაგროვებლად. უნივერსიტეტისთვის ფულადი შემოწირულობები შემოდიოდა საქართველოს ყოველი კუთხიდან. ცნობამ უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე უდიდესი სიხარული გამოიწვია საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებშიც. შემოწირულობები შემოდიოდა მოსკოვში, ხარბინში, ტაშკენტში, ერევანში მცხოვრები ქართველებიდანაც. ოვანეს თუმანიანის პირით სომეხი ხალხის საუკეთესო შვილები მიესალმებოდნენ ქართული უნივერსიტეტის გახსნას. ოვანეს თუმანიანისადმი გაგზავნილ კოტე აფხაზის ხელმოწერილ საპასუხო წერილში ნათქვამი იყო: „თქვენს ღრმად მგრძნობიარე სიტყვებში, როგორც თავისი სამშობლოს საუკეთესო შვილისა და მისი ფიქრებისა და გრძნობების ნიჭიერად გამომხატველისა, ჩვენ ვხედავთ ალერსსა და მისალმებას მთელი სომეხი ხალხისას“.

დაიწყო ლატარეის გათამაშებაც, რომლის შემოსავალი მთლიანად უნივერსიტეტის ფონდში ირიცხებოდა.

9 ოქტომბერს უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებამ და საფინანსო კომისიამ ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილს და ანდრია რაზმაძეს დაავალა ქართული უნივერსიტეტის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა. მალე ივანე ჯავახიშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა (ანდრია რაზმაძე ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში იმყოფებოდა) წარმოადგინეს ქართველ მეცნიერთა სია: ს. ავალიანი, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი, იუს. აბულაძე, ე. თაყაიშვილი, მ. წერეთელი... მეცნიერთა ეს თანავარსკვლავედი მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტს დაამშვენებდა.

და მაშინ, როცა ყველაფერი მზად იყო, უნივერსიტეტის შექმნისთვის მოსამზადებელი დამხმარე საზოგადოების 1917 წლის 6 დეკემბრის სხდომამ უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრამდე გადადო.

ეს ივანე ჯავახიშვილის პირველი სერიოზული მარცხი იყო. წარუმატებლობამ ივანე შეკუმშულ ენერგიად აქცია. „არაფერია, უნივერსიტეტს მაინც გახსნით“ - თქა მან. იგი ფრთხილად, მაგრამ გაბედულად მოქმედებდა. მის ირგვლივ მეცნიერ-პატრიოტთა მცირე ჯგუფი შეიკრიბა. უზარმაზარი ფინანსური, ეკონომიკური, ობიექტური თუ სუბიექტური დაბრკოლებების დაძლევის შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა და მისმა გუნდმა მიზანს მიაღწია.

1918 წლის 13 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველმა სხდომამ განიხილა უნივერსიტეტის რექტორის არჩევის საკითხი. ყველას აზრი ერთმნიშვნელოვანი იყო: ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი უნდა ყოფილიყო ქართული მეცნიერების რაინდი ივანე ჯავახიშვილი. მაგრამ ივანე სიტყვას ითხოვს და ამბობს: „პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია, რუსეთშიაც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს...“

1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს) ქართული უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა. ივანე ჯავახიშვილმა და მის გარშემო შემოკრებილმა ქართველ პატრიოტ-მეცნიერთა მცირე ჯგუფმა ხელიდან არ გაუშვა ისტორიის მიერ ბოძებული სულ მცირე შანსი. კავკასიაში პირველმა უნივერსიტეტმა ფუნქციონირება დაიწყო. რექტორად არჩეულ იქნა პეტრე მელიქიშვილი. უნივერსიტეტში არსებულ ერთადერთ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს.

1918 წლის 23 იანვარს, სამი დღით ადრე უნივერსიტეტის გახსნამდე მოსე ჯანაშვილი გაზეთ „საქართველოში“ წერდა: „...ახდა გულის წადილი, ამწვანდება ეროვნული მეცნიერების ნიადაგი... ივანე ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დაძლია და ახალი ლამპარი აგვინთო... კანდელის ამნთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაჟა!“.

ივანე ჯავახიშვილი ამ დროს 42 წლის იყო.

ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი მაღალი მეცნიერული ღირსებითა და კომპეტენტურობით წარმართავდა უნივერსიტეტის საბჭოსა და გამგეობის მუშაობას. ეს მუშაობა უაღრესად ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. მელიქიშვილი ემყარებოდა პრინციპს, რომ რექტორი უნივერსიტეტის თანასწორ პროფესორთა შორის ერთ-ერთია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის რექტორის მოვალეობას უსასყიდლოდ ასრულებდა, მაგრამ ერთ თუ ორ პროფესორთან სიტყვიერი ინციდენტი შეემთხვა, რომლის შემდეგაც ამ მაღალი ზნეობისა და პიროვნული ღირსების მქონე მეცნიერმა აღარ ისურვა თანამდებობაზე დარჩენა.

1919 წლის 12 ოქტომბერს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დააკმაყოფილა პეტრე მელიქიშვილის თხოვნა რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ამის შემდეგ მთელი ორი თვის განმავლობაში რექტორის თანამდებობა ვაკანტური იყო. ივანე ჯავახიშვილი არა თუ რექტორობას არ თანხმებოდა, არამედ დეკანობიდანაც გათავისუფლებას ითხოვდა. 1919 წლის 17 დეკემბრის პროფესორთა საბჭოს სხდომას ივანე არ დაესწრო, საბჭოს თავმჯდომარის სახელზე კი წერილი დატოვა: „ბატონო თავმჯდომარე! თუ ვინიცობაა პროფესორთა საბჭოს კრებაზე ჩემი კანდიდატურა წამოყენებულ იქმნა უნივერსიტეტის რექტორობის თანამდებობაზე არჩევის დროს, გთხოვთ ჩემი წერილობითი განცხადებით აუწყოთ საბჭოს, რომ მე უარს ვამბობ, მეტისმეტი დაღლილობის გამო, კანდიდატურაზე და თანაც გთხოვთ იმ პირთა სიითგან, რომელთაც რექტორობაზე კენჭი ეყრებათ, ჩემი გვარი ამოშალოთ“.

დღევანდელი გადასახედიდან ცოტა არ იყოს უცნაურად გვეჩვენება ასეთი საქციელი. გიჭირს დაიჯერო, რომ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხით კი არ იბრძოდნენ საპატიო თანამდებობის დასაკავებლად, არამედ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ შეთავაზებას...

დიახ, ივანე ჯავახიშვილი სულ სხვა ზნეობის, სულ სხვა პრინციპების პიროვნება გახლდათ. 17 დეკემბრის სხდომამ ივანე ჯავახიშვილი ერთხმად აირჩია რექტორად. სხდომაზე სხვა კანდიდატურა არც განხილულა.

ძნელი იყო რექტორობის დაწყება იმ დროს, როცა რექტორს აკადემიურ საკითხებთან ერთად პროფესორთა შიმშილისგან გადარჩენის პრობლემები უნდა მოეგვარებინა. უმძიმეს პირობებში სწავლობდა სტუდენტობაც.

ივანე ჯავახიშვილი ჩვეული შეუპოვრობით შეუდგა საქმეს. რექტორის თანამდებობაზე ის 1926 წლამდე დარჩა.

1919-1925 წლებში, უნივერსიტეტის რექტორობის პარალელურად, ჯავახიშვილი იყო საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეც, უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დამაარსებელი და მისი პირველი გამგეც. ის ზრდის თავის სამეცნიერო და პედაგოგიურ დატვირთვას. იწყებს ახალ-ახალი სპეცკურსების კითხვას. 1931 წელს იგი დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგედ. 1936 წელს ჯავახიშვილი მიიწვიეს კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტად.

ქართული მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისთვის 1939 წელს ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში არ განხორციელებულა არც ერთი ეროვნული მასშტაბის კულტურული ღონისძიება, რომლის ინიციატორი ან აქტიური მონაწილე ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილიყო. თავისი პრინციპული პატრიოტული პოზიციისთვის დიდი მეცნიერი არაერთხელ გამხდარა საბჭოთა ხელისუფლების მხრივ მკაცრი კრიტიკის ობიექტი, თუმცა ივანე ჯავახიშვილის უზარმაზარი ავტორიტეტის და მისდამი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გამო ხელისუფლება ჯავახიშვილთან დამოკიდებულებაში სიფრთხილის გამოჩენას არჩევდა.

ივანე ჯავახიშვილმა მეტად ღრმა კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში. არ დარჩენილა ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების არცერთი დარგი, რომელშიც ჯავახიშვილს ფუძემდებლური შრომები არ შეექმნა.

ივანე ჯავახიშვილმა პირველმა შეაფასა ქართული ისტორიული წყაროები, მან დაასაბუთა, რომ „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს ნახევრად ოფიციალურ კრებულს, რომლის ატორები მაშინდელი ხელისუფლების ინტერესებს გამოხატავდნენ. მან აღმოაჩინა და პირველ-

მა შეაფასა მანამდე უცნობი უამრავი ისტორიული წყარო, მანვე შექმნა ქართული წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლური ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ (ოთხ წიგნად). ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო სომხურ ისტორიოგრაფიასაც. მან საფუძვლიანად შეისწავლა ძველი სომხური მწერლობა და სრულიად ახლებურად გააშუქა მრავალი საკითხი.

ივანე ჯავახიშვილის უპირველესი ნაშრომი მაინც მისი „ქართველი ერის ისტორიაა“. მეცნიერის სიცოცხლეში მოესწრო ამ ნაშრომის მხოლოდ ორი პირველი წიგნის გამოცემა. დანარჩენი სამი წიგნი ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. ამ ნაშრომებში სრულიად ახლებურად არის გამოკვლეული საქართველოს პოლიტიკური ისტორია, სოციალური ურთიერთობის ფორმები, ქართველი ხალხის ვინაობისა და მიგრაციის საკითხები, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები, მატერიალური და სულიერი კულტურა, იდეოლოგია, სარწმუნოება. ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება, აგრეთვე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემების ფართო მასშტაბით კვლევაც. ქართველ მეცნიერთაგან ჯავახიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა არქეოლოგიური მემკვიდრეობა მეცნიერულ კვლევაში.

ივანე ჯავახიშვილმა სამი წიგნი მიუძღვნა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლასაც. მან ფუნდამენტურად გამოიკვლია საქართველოს სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა, ქალაქური მეურნეობა, სახელმწიფო ფინანსები და ა.შ.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული სამართლის ისტორიის შესწავლასაც. მან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლას, როგორცაა მეფის უფლებების ისტორია, საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობა, ვაზირთა უფლება-მოვალეობანი და სხვ. მისი კაპიტალური ნაშრომის - „ქართული სამართლის ისტორიის“ გარეშე დღეს შეუძლებელია საქართველოს ისტორიის პოლიტიკურ-სამართლებრივ ლაბირინთებში გზის გაკვლევა.

ივანე ჯავახიშვილმა ფუძემდებლური ნაშრომები მიუძღვნა ქართული ენის უძველესი აგებულებისა და ნათესაობის საკითხების დამუშავებასაც. მან პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების იბერიულ-კასკასიურ ენებთან როგორც სტრუქტურული, ისე მასალობრივი

ერთიანობა, რითაც ნიადაგი მოუმზადა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანი მონოგრაფია გამოაქვეყნა ჯავახიშვილმა ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებზეც. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეშიც. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და თანაავტორობით გამოიცა სასკოლო სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში, რომელსაც 1947 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაშიც.

ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე წლობით მუხლჩაუხრელმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეარყია ივანე ჯავახიშვილის ჯანმრთელობა. ამის მიუხედავად პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა მასში ყოველთვის სძლედა მწვავე ფიზიკურ ტკივილს, გადალლითა და გადაქანცვით გამონვეულ ორგანიზმის დაძაბულობას. დიდი მეცნიერი კვლავაც ჩვეულ რიტმში აგრძელებდა თავის ტიტანურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და ორგანიზატორულ საქმიანობას.

1940 წლის 18 ნოემბერს, ორშაბათს, საღამოს 8 საათზე, თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში დანიშნული იყო აკად. ივანე ჯავახიშვილის ლექცია თემაზე: „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“.

როგორც ყოველთვის, დარბაზი ხალხით იყო სავსე. შეკრებილი საზოგადოება უდიდესი გულისყურით უსმენდა სახელოვან მამულიშვილს და მეცნიერს. ლექციის დაწყებიდან საათი და 15 წუთი იყო გასული. ივანე ჯავახიშვილი ჟამთაღმწერლის თხზულებიდან ამონარიდს კითხულობდა. მოულოდნელად მას სიტყვა შუაზე გაუწყდა. ყველამ დაინახა, როგორ უცნაურად გადააქნია თავი საყვარელმა მეცნიერმა და შემდეგ მაგიდას უხერხულად დაეყრდნო...

სცენაზე პირველი აკაკი შანიძე აიჭრა... 9 საათსა და 40 წუთზე ივანე ჯავახიშვილი სცენიდან გაიყვანეს. შეძრწუნებული ხალხი არ იმლებდა, ის ექიმებისგან ცნობას ელის...

ექიმებმა სიკვდილის წინაშე თავისი უძღურება აღიარეს...


სანთელივით წმინდად დაინვა მშობელი ხალხისთვის ბოლომდე გახარჯული მამულიშვილი.

ოთხ დღეს ეთხოვებოდა მშობელი ხალხი თავის საამაყო შვილს.

1940 წლის 21 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის ნეშტი მის მიერ დაარსებული ქართული უნივერსიტეტის მიწამ მიიბარა.

იაკობ ნიკოლაძე 1940 წელს წერდა: ივანე ჯავახიშვილის უკიდურესი თავმდაბლობა იყო მიზეზი იმისა, რომ ერთხელაც ვერ მოვახერხე მარმარილოში გამომეძერწა მისი წმინდანური სახე. „მიუხედავად ჩემი ყველა ცდისა, მე ვერ შევძელი მისი სკულპტურული პორტრეტი გამომეძერწა. ჩემს ყველა თხოვნაზე ის ერთნაირად პასუხობდა: „მე ძალიან დაკავებული ვარ, არაა საჭირო!“. მაგრამ იმავე დროს, როცა საჭირო იყო დახმარება, ივანე ჯავახიშვილი დაუზარელად აღმომიჩენდა, ყოველთვის გამოყოფდა დროს ამისთვის“.

იაკობ ნიკოლაძემ მხოლოდ 1946 წელს გამოძერწა ივანე ჯავახიშვილის პორტრეტი.



პეტრე მელიქიშვილი

გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი პირველი რექტორი, პეტრე მელიქიშვილი წარმოშობით სამცხიდან იყო. „მელიქიშვილის გვარი ორი იყო საქართველოში. ერთი საქართველოს სომხითის ხელისუფლების მელიქისაგან იყო წარმომდგარი, ამ გვარის წევრნი თავადები იყვნენ. მეორე სამცხიდან, ქართველი კათოლიკების გვარი იყო. პეტრეს მამა ახალციხიდან იყო ტფილისში ჩამოსული... პეტრეს მამა გრიგორი და მისი ძმა სტეფანე იმ ქართველ პატრიოტთა პატარა ჯგუფს ეკუთვნოდნენ, რომელთაც დააარსეს პირველი კერძო სტამბა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად. ეს მამინ დიდი პატრიოტული საქმე იყო“, — წერდა ექვთიმე თაყაიშვილი.

პეტრე 1850 წელს თბილისში დაბადებულა. 1868 წელს იგი წარჩინებით ამთავრებს თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიას და სწავლის გასაგრძელებლად ოდესის უნივერსიტეტში აბარებს გამოცდებს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება საზღვარგარეთ, იქიდან მალევე ბრუნდება და ოდესის უნივერსიტეტში იწყებს მუშაობას ლაბორანტად. 1881 წელს იცავს სამაგისტრო დისერტაციას, რის შემდეგაც კვლავ საზღვარგარეთ მიემგზავრება და პარიზში ისმენს ცნობილ მეცნიერთა ლექციებს. აქედან იგი გერმანიაში, მიუნხენში ჩადის და სახელგანთქმულ მეცნიერთან — ბაუერთან იწყებს მუშაობას. 1884 წელს პეტრე მელიქიშვილი სათანადო ცოდნით ალჟურვილი ბრუნდება ოდესაში, სადაც უკვე დაბრუნებიდან მეორე წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას. მალე ის უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი ხდება. რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ქართულ

ენებზე გამოცემულმა 80-ზე მეტმა ნაშრომმა პეტრე მელიქიშვილს მსოფლიო სახელი მოუტანა. მას აფასებენ და პატივს სცემდნენ ევროპის ცნობილი უნივერსიტეტების მეცნიერები. პეტრეს ერთ-ერთმა შრომამ ლომონოსოვის დიდი პრემია დაიმსახურა. ქიმიის დარგში გამოქვეყნებული ფუძემდებლური შრომებისთვის პეტრე მელიქიშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტადაც აირჩიეს.

პეტრე მელიქიშვილს პირადი მეგობრობა აკავშირებდა მსოფლიო სახელის მქონე ბევრ ევროპელ მეცნიერთან. ერთ-ერთი მათგანი იყო პროფესორი შუხარდი, ცნობილი ლინგვისტი, ქართული და ბასკური ენების მკვლევარი, რომელიც ნახევრად ხუმრობით ურჩევდა მელიქიშვილს თავი დაენებებინა ქიმიისთვის და უმდიდრესი ქართული ენის და მისი კილოკავების კვლევისთვის მიეყო ხელი. „აბა მე რა ქართულის მცოდნე ვარ, მაგრამ მან მაიძულა დამეწყო მასთან მეცადინეობა და მივხმარებოდი ქართული ენის შესწავლაში“, — იგონებდა შემდეგ პეტრე მელიქიშვილი.

შემდეგში პროფესორმა შუხარდმა გამოსცა წიგნი, რომელსაც ასეთი წარწერა წაუძღვარა: „ნიშნად მადლობისა ვუძღვნი ჩემს საყვარელ მეგობარს პროფესორ პ. მელიქიშვილს“.

ქართველი მეცნიერის დიდი მეგობარი იყო აკადემიკოსი კონდაკოვიც. სწორედ კონდაკოვმა ჩაუყარა საფუძველი ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების შესწავლას. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ აკადემიკოსი საზღვარგარეთ წავიდა და სიცოცხლის ბოლომდე პრადის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, რის გამოც პეტრემ ვერ მოახერხა სახელოვანი მეცნიერის თბილისის უნივერსიტეტში მონგვევა.

პეტრე მელიქიშვილის მთავარი დამსახურება მშობელი ხალხის წინაშე მანაც თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებაში მისი აქტიური მონაწილეობაა. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს: „მოვიწვიეთ პირველი ორგანიზაციული კრება უნივერსიტეტის საზოგადოებისა, ...კრებას დაესწრო პ. მელიქიშვილიც.... პეტრე ავირჩიეთ საპატიო თავმჯდომარედ...“ დიახ, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელ მეცნიერთა შორის არ არსებობდა მსოფლიო სახელის მქონე მეორე ისეთი მეცნიერი, როგორც პეტრე მელიქიშვილი იყო. ასეთი სახელი კი ახლად ფეხადგმულ ქარული ცოდნის ტაძარს ჰაერივით სჭირდებოდა. ამიტო-

მაც იყო, რომ ქართული უნივერსიტეტის ქეშმარიტმა რაინდმა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე პეტრე მელიქიშვილის კანდიდატურა დაასახელა. დიდი მეცნიერი და მამულიშვილი არ ცდებოდა. ევროპის სამეცნიერო წრეებში ქართული უნივერსიტეტის გახსნას თავიდან ეჭვის თვალით უყურებდნენ, რადგან რუსეთის ამ მივარდნილ კოლონიაში უნივერსიტეტისთვის საჭირო კადრების არსებობა არა სჯეროდათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპელი მეცნიერები გაიგებდნენ, რომ თბილისის უნივერსიტეტის რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, ისინი ხელებს შლიდნენ და ამბობდნენ: თუ ბატონი მელიქიშვილი ქართველია, მაშინ ამ ხალხს სამეცნიერო კადრების მხრივ ყველაფერი რიგზე ჰქონიაო.

თვითონ პეტრე თვლიდა, რომ ის ნაკლებად იცნობდა ქართულ საზოგადოებას, რის გამოც მისი რექტორობა არ შეიძლებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1918 წლის 13 იანვარს უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე ის ერთხმად აირჩიეს, ჩვეული პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

პეტრე მელიქიშვილს სავსებით შეგნებული ჰქონდა თავისი როლი. მასსა და ივანე ჯავახიშვილს შორის თავიდანვე განანილდა ფუნქციები. „ფაქტიური რექტორი ჯავახიშვილი იყო. ის იღებდა სტუდენტებს, მსმენელებს, საზოგადოების წევრებს... და სხვ.... პეტრე მელიქიშვილიც დატვირთული იყო. ის იყო ხელმძღვანელი და მომწყობი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა, მას წილად ხვდა სხვადასხვა ლაბორატორიების ჩაბარება, მათი მოწყობა და ამუშავება, მთავრობასთან და უცხოელების წარმომადგენლებთან შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტის საქმეების გამო და სხვა... მხცოვანი პეტრე მელიქიშვილი სამშობლოს გათავისუფლებამ და უნივერსიტეტის დაარსებამ თითქოს გაახალგაზრდავა, ჩვენთვის საოცარი იყო, როგორ შერჩა მას, უკვე მოხუცებულს, ასეთი ენერჯია ფიზიკური და ფსიქიური, საქმიანობა და დაუღალაობა. სოლოლაკის ქუჩიდან ფეხით მოდიოდა უნივერსიტეტში. საქმეები აუარებელი იყო. საბჭოს სხდომები ზოგჯერ ღამის ორ საათამდის გრძელდებოდა. ამის შემდეგ ის ფეხითვე მიდიოდა სახლში, დილას თავის დროზე ისევ უნივერსიტეტში იყო. საკვირველი და მასთან სასიამოვნო კიდევ ის იყო ჩვენთვის, რომ კაცი, რომელიც თავისუფლად საუბარს ძლივს ახერხებდა ქართულ ენაზედ, იმდენად

დახელოვნდა ამ ენაში, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ქართულად კითხულობდა ლექციებს... ამიერიდან მან ქართულად დაიწყო თავისი გამოკვლევების წერა და მოხსენებების კითხვა“, — აღნიშნავდა ექვთიმე თაყაიშვილი.

უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას პეტრე მელიქიშვილი უსასყიდლოდ ასრულებდა. ის თვლიდა, რომ უნივერსიტეტის ფინანსური სიძნელეების ფონზე არ იყო საკუთარ კომფორტზე ზრუნვის დრო. პეტრე ძალზე მომთხოვნი იყო პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ. ასეთივე მოთხოვნებს უყენებდა ის თავის კოლეგებს და სტუდენტებსაც. ზერელე, ფუქსავატი სტუდენტი მასთან ფონს ვერ გავიდოდა. სამაგიეროდ ბეჯითი და შრომისმოყვარე სტუდენტისთვის ის ყველაფერი იყო — საიმედო მრჩეველი, მეგობარი, მშობელი. მელიქიშვილის აღზრდილთა შორის შეიძლება დავასახელოთ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორც იყვნენ ბელინსკი (მოსკოვის უნივერსიტეტი), პეტრენკო (ოდესა), ბეზრედკო (პარიზი), პისარჟევსკი (ეკატერინოსლავი) და სხვა.

მინდობილი საქმისადმი მელიქიშვილის დამოკიდებულების ნათელი მაგალითია ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი შემდეგნაირად გადმოვცემს: „ერთხელ პეტრემ ნაღვლიანად მითხრა, დღეს გამოცდა მქონდა სტუდენტებისა, ზოგმა ჯეროვნად გამოაჩინა ცოდნა, ზოგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, ერთმა სულ არაფერი არ იცოდა და კიდევ პრეტენზია გააცხადა,... და ასეთი ლაპარაკი დამიწყო: „ეხლა ისეთი დრო არის, რომ შელავათით უნდა მოგვეპყრო. მე დიდად დაებრკოლდები, რომ სემესტრი არ ჩამეთვალოს“. მე ვუთხარი: დიახ, ეხლა ისეთი დროა, რომ ყველა კარგად უნდა აღვიჭურვოთ ცოდნით, თორემ მაგეთი უვიცობით, შენ რომ მოდიხარ, სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ-მეთქი“.

ერთხელ ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა პეტრეს უთხრა, რომ ქართველებისთვის აჯობებდა უნივერსიტეტი რუსულ ენაზე გაეხსნათ, რადგან ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურის დიდი ნაკლებობაა, მეცნიერება კი ინტერნაციონალურია თავისი ბუნებით და სულ ერთია რომელ ენაზე შეითვისებ მას“. მელიქიშვილის პასუხი ასეთი იყო: დიახ, მეცნიერება ინტერნაციონალურია, ამიტომ ყველა ხალხმა ის მშობლიურ ენაზე უნდა შეითვისოსო.

პეტრე მელიქიშვილს უდავო ღირსებებთან — უანგარობასთან, პატიოსნებასთან, პასუხისმგებლობის უაღრესად მაღალ გრძნობასთან, პრინციპულობასთან ერთად ერთი თვისებაც ჰქონდა: იგი მეტისმეტად ფიცხი იყო. კამათისას თავის დაჭერა უჭირდა. აი რას ამბობს ამის თაობაზე ექვთიმე თაყაიშვილი: „პეტრე უცოლშვილო კაცი იყო, გატაცებული თავისი სპეციალობით და სამეცნიერო მუშაობით... მას ჰქონდა საქმე მათემატიკურად ჩამოყალიბებულ ფორმულებთან, რომლებსაც ვერც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც ვერაფერს მიუმატებ. ამიტომ ის ჩვენებურ გაუთავებელ დისკუსიას და შეხლა-შემოხლას ვერ იტანდა, მონინააღმდეგის აზრს დამშვიდებით ვერ ისმენდა, მეტადრე თუ ეს აზრი, მისი შეხედულებით, გულწრფელი არ იყო“.

ერთხელ უნივერსიტეტის საპროფესორო ოთახში პეტრე მელიქიშვილს ერთ თუ ორ კოლეგასთან კამათი მოსვლია, მოთმინებიდან გამოსულიყო და, ცოტა არ იყოს, ზედმეტი უკადრებია მათთვის. გულმოსულს ისიც განუცხადებია — უნივერსიტეტის რექტორობასაც და პროფესორობასაც თავს ვანებებო და იქაურობას გასცლოდა. „...ეს ამბავი ივ. ჯავახიშვილმა გადმომცა, — იხსენებს ექვთიმე თაყაიშვილი, — მთხოვა წავსულიყავი პეტრესთან და ეს საქმე როგორმე მომეგვარებია. თუ მაინცდამაინც რექტორობას თავს დაანებებდა, პროფესორობა განევრძო. მე ერთი-ორი დღე დავაცადე, რომ პეტრე ცოტა დამშვიდებულიყო, მერე მივედი ბინაზე მასთან. იამა ჩემი მისვლა. თვითონ მიაბო ყველაფერი, ინციდენტის გამო... მე ვუთხარი... ვერ შევრიგებოვარ იმ გადაწყვეტილებას რომელიც თქვენ მიგილიათ... რა შუაშია უნივერსიტეტი... ჩემმა გულწრფელმა ლაპარაკმა მის ნაზ გულზე იქონია გავლენა, ტირილი მოუვიდა, გული ამოესკვნა, ასე რომ იძულებული ვიყავი წყალი მიმეწოდებინა... ცხადი იყო პეტრე თავის თავს უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებდა, ვიდრე სხვას. გრძნობდა, რომ არ უნდა დაეშვა არასაკადრისი სიტყვები, რომელთა შემდეგაც მას უხერხულად მიაჩნდა უნივერსიტეტში დარჩენა. კოლეგების რცხვენოდა. პეტრე დამეთანხმა, რომ მისი წასვლა უნივერსიტეტს ავნებდა. პროფესორად დარჩენაზე თანხმობა გამოაცხადა, ხოლო რექტორობაზე უარი თქვა“.

თავისი სოლიდური ასაკის მიუხედავად პეტრე მელიქიშვილი კვლავაც მისთვის ჩვეული მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და

ენერგიულობით განაგრძობდა შემოქმედებით სამეცნიერო მუშაობას და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მოულოდნელად მას რაღაც შემთხვევითი ქრილობა გაუმიზეზდა, რასაც ფატალური შედეგი მოჰყვა. 1927 წელს ღვანლმოსილი მეცნიერი და მამულიშვილი მშობლიური უნივერსიტეტის მინას მიაბარეს.

პეტრე მელიქიშვილი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ის ბედნიერი იყო იმით, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში მაინც გამოადგა სამშობლოს და გახდა იმ ერთი ბურჟუაგანი, რომელზედაც დაემყარა ჩვენი ქართული უნივერსიტეტი.



დავით ზუბალაშვილი

ზუბალაშვილები


„ ... ჩვენ რომ ღმერთი გვაძლევს, ჩვენც ხელგაშლით უნდა ვიყოთ, რომ ხალხს სარგებლობა მოვუტანოთ, თორემ, ზედ რომ კრუხებივით დავასხდეთ, ბევრს ვერაფერს გამოვჩვენებთ: ჩვენთვისაც დაკარგული იქნება და ხალხისთვისაც.“

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

XVIII-XIX ს.ს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ზუბალაშვილთა გვარის წარმომადგენლებს. განსაკუთრებული ნიჭი და ალლო ზუბალაშვილებმა იმ სფეროში გამოავლინეს, რომელიც ყოველ დროსა და ეპოქაში წარმომადგენდა როგორც სახელმწიფოს, ისე ერის ხერხემალს. ეს საქმე კომერცია იყო. მეტად წარმატებული კომერციული საქმიანობის წყალობით მათ შეძლეს მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ თავიანთი ქვეყნის როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის განვითარების საქმეში.

ზუბალაშვილები წარმოშობით მესხეთიდან არიან, ისტორიულ საბუთებში ცნობები ამ გვარის შესახებ XVIII ს-დან ჩნდება, როგორც ჩანს, ისინი სოფ. აწყურში მოსახლეობდნენ.

1581 წლის ხელშეკრულებით საფრანგეთი აღიარებულ იქნა თურქეთის იმპერიაში მცხოვრები და მოვაჭრე ყველა ქრისტიანის მფარველად. თვით გენუელებს, ინგლისელებს, ესპანელებს, პორტუგალიელებსა და სიცილიელებს მხოლოდ ფრანგული აღმით შეეძლოთ ზღვაოსნობა და ვაჭრობა თურქეთის წყლებში. ამის გამო თურქეთის სამფლობელოებში მცხოვრები ქრისტიანები, განსაკუთრებით კი ქალაქის მაცხოვრებლები, მასობრივად ღებულობდნენ კათოლიკობას. მათ



*კონსტანტინე
ზუბალაშვილი*

შორის იყვნენ ზუბალაშვილთა წინაპრები და მესხეთის ქართველობის ის ნაწილი, რომელმაც არ მიიღო მაჰმადიანობა.

როგორც ჩანს, „ზუბალაშვილის“ თავდაპირველი ფორმა იყო „ზუბაშვილი“, მცირეოდენი ცვლილების შეტანა ამ გვარში კათოლიკური სარწმუნეობის მიღებით აიხსნება.

ამ ორი გვარის ერთი ძირიდან წარმომავლობას მონიშნავს შემდეგი ფაქტიც: მეფე თეიმურაზ II და ერეკლე II კარზე ცხოვრობდა წარჩინებული მწიგნობარი რომანოზ ზუბალაშვილი, რომელიც თბილისის ქართულ სტამბას განაგებდა; მისი გამგეობლობის დროს სტამბამ რამდენიმე ქართული წიგნი დაბეჭდა, რომელთა ფურცლებზეც რომანოზი ხან ზუბაშვილად მოიხსენიება, ხანაც ზუბალაშვილად.

კათოლიკური სარწმუნეობის მიღებამ გარკვეულ წილად შეუწყობ ხელი ზუბალაშვილების წარმატებას ვაჭრობის სფეროში.. ისინი მოგზაურობდნენ სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში და ევროპის ქვეყნებში, საიდანაც შემოქონდათ სხვადასხვა საქონელი და საქართველოში ვაჭრობასა და ალებ-მიცემას ავრცელებდნენ.

სავაჭრო საქმეების გამო ზუბალაშვილთა გვარის წარმომადგენლები ახალციხიდან საცხოვრებლად გადასულან გორში, ქუთაისში, ცხინვალში და თბილისში; სადაც მალე დაწინაურდნენ ქონებით და ხელი მიყვეს ქველმოქმედებას. როგორც კათოლიკენი ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ყველა კათოლიკურ ეკლესიას საქართველოში და მატერიარულად ეხმარებოდნენ მათ. ზუბალაშვილებს განსაკუთრებული პატივი და სიყვარული ჰქონდათ მოპოვებული საქართველოს სამეფო კარზე. „მეფიდან დაწყებული უმდაბლესამდე მათ ყველა იცნობდა და პატივს სცემდა.“

სავაჭრო საქმეების გამო ზუბალაშვილთა გვარის წარმომადგენლები ახალციხიდან საცხოვრებლად გადასულან გორში, ქუთაისში, ცხინვალში და თბილისში; სადაც მალე დაწინაურდნენ ქონებით და ხელი მიყვეს ქველმოქმედებას. როგორც კათოლიკენი ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ყველა კათოლიკურ ეკლესიას საქართველოში და მატერიარულად ეხმარებოდნენ მათ. ზუბალაშვილებს განსაკუთრებული პატივი და სიყვარული ჰქონდათ მოპოვებული საქართველოს სამეფო კარზე. „მეფიდან დაწყებული უმდაბლესამდე მათ ყველა იცნობდა და პატივს სცემდა.“

1795 წელს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ გორისა და ქუთაისის ზუბალაშვილებმა დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის გაჭირვებულ მაცხოვრებლებს, რომელთაც სახლ-კარი დაექცათ და დაენვათ,

მაშინდელი ქველმოქმედებით ზუბალაშვილებმა თბილისში დიდად გაითქვეს სახელი.

უხვი შენირულობის გამო მეფე ერეკლე ზუბალაშვილებს აზნაურისშვილობას შეპირდა, თუმცა მათ ეს არ ინდომეს, ვინაიდან გაცილებით უფრო მიღებულნი და პატივცემულნი იყვნენ მეფის კარზე, ვიდრე რომელიმე აზნაურიშვილი.

ზუბალაშვილთა გვარის წარმომადგენლებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, რომელიც თბილისში ერთ-ერთი ყველაზე დიდ სავაჭრო ამხანაგობას ხელმძღვანელობდა. ეს ამხანაგობა მან 1837 წელს ჩამოაყალიბა.

1800 წლის შემდგომ საქართველოს არცერთ ქალაქში სამრეწველო საქმე ისე არ დაწყებულა, რომ ზუბალაშვილებს რაიმე მონაწილეობა არ მიეღოთ. 1838 წელს იაკობ ზუბალაშვილმა და მისმა ამხანაგობამ მთავრობის ნებართვით საქართველოში პირველი შაქრის ქარხანა გახსნა. ეს მეტად საჭირო და აუცილებელი საქმე იყო, რადგან რუსეთიდან შაქრის შემოტანა ძალზედ ძნელდებოდა, ძვირად ფასობდა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებდა. სახელად ამ ქარხანას „ქართული შაქარი“ ეწოდა. ქართული შაქარი, მოყვითალო ფერისა იყო და ადვილად იმტვრეოდა.

შაქრის ქარხნის პარალელურად იაკობ ზუბალაშვილმა იმერეთში, ქუთაისთან ახლოს, არყის ქარხანა გახსნა, როგორც ჩანს, მაშინ იმერეთში, ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, ჭაჭისაგან არაყს ჯერ კიდევ არ ხდიდნენ. 1835 წლიდან კი იმერელ გლეხს, რომელიც ჭაჭას უბრალოდ ყრიდა, საშუალება მიეცა იგი ფულზე გაეცვალა.

იაკობ ზუბალაშვილის სახლი ერთ-ერთ სანაქებო სახლად ითვლებოდა მთელს თბილისში; როდესაც 1833 წელს საქართველოში რუსეთის იმპერატორი ჩამოვიდა, მას სადილი სწორედ ამ სახლში გაუმართეს. იმპერატორი ნიკოლოზ I გაოცებული დარჩენილა სასახლის უმთავრე-



პეტრე
ზუბალაშვილი



ლევან ზუბალაშვილი

სი დარბაზის მონყობილობით და სივრცით, რომელიც ათას კაცს იტევდა. 1835 წლის შემდეგ, საქართველოს ეგზარქოსის თხოვნით, ზუბალაშვილებმა ძალზედ იაფად დათმეს სახლი სასულიერო სემინარიისთვის.

საოცარია ზუბალაშვილთა მიერ ათეულობით წლების მანძილზე განეული მეცენატობის მასშტაბები. მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით:

ბათუმში, გორში, ქუთაისსა და თბილისში აგებული ხუთი კათოლიკური ეკლესია; თბილისის უნივერსიტეტის მშენებლობისთვის გაღებული 100000 მანეთი; მუსიკალური სკოლის (დღევანდელი კონსერვატორიის) ასაშენებლად შეწირული 10000 მანეთი; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასახმარებლად გაღებული 20000 მანეთი; სახალხო სახლის (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) მშენებლობისთვის გაღებული 350000 მანეთი. ზუბალაშვილების მზრუნველი ხელი არასოდეს მოკლებია მათ მშობლიურ კუთხეს – მესხეთს. XIX ს-დან მეფის რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად საეკლესიო მსახურებაში ლათინური რიტი აიკრძალა, მის ნაცვლად კი სომხური რიტი იქნა შემოღებული. ამის გამო ქართველ კათოლიკეებს გასომხების საფრთხე დაემუქრათ.

ზუბალაშვილები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული რიტის შემოღებისთვის წარმოებულ ბრძოლაში. ისინი დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ მშობლიური მხარის განმანათლებლებს და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც დაუღალავად იღვწოდნენ ამ მიზნის მისაღწევად. იაკობ ზუბალაშვილმა მთლიანად დააფინანსა წმ. ლაზარეს კუნძულზე არსებული ქართული ხელნაწერი წიგნებისა და თარგმანების გამოცემის საქმე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კათოლიკე მრევლისათვის. ზუბალაშვილების დახმარებით მოახერხა ასევე პეტრე ხარისჭირაშვილმა კონსტანტინოპოლში მინის ფართობის შექმნა, სადაც შემდგომ ქართველ მამათა საე-

ანე და სასულიერო სემინარია განთავსდა. იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილების ფინანსური მხარდაჭერით მოახერხა მიხეილ თამარაშვილმა თავისი უნიკალური წიგნების გამოცემა. მიხეილ თამარაშვილი ღებულობდა სტეფანე ზუბალაშვილის მიერ დანიშნულ ყოველთვიურ სუბსიდიასაც, რაც მას მეცნიერული საქმიანობის საშუალებას აძლევდა.



იაკობ ზუბალაშვილი

ზუბალაშვილების ფინანსური მხარდაჭერა ასულდგმულებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობისაც.

ამ საზოგადოების თაოსნობით XIX ს-ის მეორე ნახევარში სამცხე-ჯავახეთში მრავალი სკოლა გაიხსნა. მათ შორის 1881 წელს სოფ. ხიზაბავრის ერთკლასიანი სასწავლებელიც, რომლის მშენებლობისთვის სტეფანე ზუბალაშვილს 1000 მანეთი შეუწირავს. იმ პერიოდისთვის ეს საკმაოდ სოლიდური შემონიშნულობა გახლდათ.

XIX ს-ის ბოლოს იაკობის ვაჟებმა ბაქოში ბიბი-ეიბათის კუნძულზე ნავთობის საბადოები შეიძინეს. საბადოებმა ზუბალაშვილებს დიდი ქონება შესძინეს, ამის შემდეგ მათ ერთი ათად გაზარდეს თავიანთი საქველმოქმედო საქმიანობა.

თბილისის პირველი სავადმყოფოს ტერიტორიაზე ზუბალაშვილებმა ააგეს პედიატრიული კორპუსი, რომელიც ევროპიდან ჩამოტანილი სამედიცინო ხელსაწყოებით აღჭურვეს.

ზუბალაშვილთა სტიპენდიის წყალობით მეცნიერებისკენ გაიკაფეს გზა ისეთმა ცნობილმა პიროვნებებმა, როგორებიც იყვნენ: ალექსანდრე ჯანელიძე, სარგის კაკაბაძე, ალექსანდრე ფალავა, შალვა ამირეჯიბი, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ლეო ქიაჩელი და სხვები.


თბილისში პირველი უპოვართა თავშესაფარი ძმები ზუბალაშვილების მიერ იყო დაარსებული. სასადილო „სამადლოში“ ყველა გაჭირვებულს შეეძლო უფასოდ დაპურება.

ზუბალაშვილთა ქველმოქმედების ზემოთწარმოდგენილი მცირეოდენი ჩამონათვალიც კი საკმარისია, რომ წარმოდგენა შეგვექმნას მათი საქმიანობის მასშტაბებზე; მათ მიზანს ქართული კულტურისა და ეკონომიკის გადარჩენა-აღორძინება წარმოადგენდა, რაც თავიანთი დაუღალავი შრომით იმ პერიოდისთვის მოახერხეს კიდევც.

თითქმის სამი საუკუნის მანძილზე ამ საგვარეულოს წარმომადგენლები იღვწოდნენ თავიანთი მამულისთვის. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.



სტეფანე ზუბალაშვილი



შოთა ლომსაძე

„ხერთვისის მალლა, ჯავახეთის ზეგანზე, თავფარავნის წყლის და არტანულას (მტკვრის) ხეობებს შორის გაშლილ მართკუთხედზე 1944 წლამდე კიდევ იყო შემორჩენილი ხუთი პატარა ქართული სოფელი.... ხუთივე ამ სოფელში, თუ არ ჩავთვლით მათ გარშემო რვა ნასოფლარს, თავისი სიდიდით და აქტიურობით გამოირჩეოდა სოფელი ჩუნჩხა... იგი დგას ნახევრად კლდოვან-გოხნარ ადგილზე, მწვანე ქარაფებისა და ფრიალო კლდეების თავზე, სადაც ქრის მარადის მაცოცხლებელი ნიაფი და საღამოობით ამოქოლილი დარნებიდან ისმის გოდება ძველი ლეგენდებისა, რომლებიც ნალვლიან ჩრდილებად იკარგებიან უსწორმასწორო სოხარებში“.

ამ სიტყვებით იწყება შოთა ლომსაძის წერილი „ჩემი ბავშვობის ჩუნჩხა“. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ჯავახეთის ეს სოფელი, მისთვის ადვილია წარმოიდგინოს, თუ რა სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი თავისი სოფლისადმი მიძღვნილ ბატონი შოთას ამ პატარა წერილში. შოთა ლომსაძეს გამორჩეული სიყვარულით უყვარდა თავისი მხარე — მესხეთი. იგი ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი იყო, თავისი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების მოსურნე და მოტრფიალე. და მაინც, ის პირველ რიგში, მესხი იყო, მესხეთის მოჭირნახულე, მისი ისტორიის უზადო მცოდნე და მკვლევარი, მისი ბუნებისა და ხალხის მეხოტბე მგოსანი. როგორც მკვლევარი ის მაღალი პროფესიონალიზმით და მეცნიერული სიღრმით იკვლევდა მესხეთის ისტორიას, როგორც პოეტი — ჯავახური პირადპირობით და სიძლიერით უმღეროდა თავის მშობლიურ მხარეს. შოთა ლომსაძის, როგორც შემოქმედის, ბუნება

ზუსტად და ლაკონურად გამოხატა პოეტმა ტარიელ ჭანტურამ: მის „ლექსებში იგრძნობა მეცნიერი და ნაშრომებში იკითხება პოეტი“.

შოთა ლომსაძე 1925 წლის 7 მაისს ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხაში დაიბადა. 1941 წელს ახალქალაქის ქართული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახდა, 1942 წლის მაისში კი ის უკვე ფაშისტურ გერმანიასთან მეზრძოლთა პირველ რიგებშია. ომის მრისხანე წლებმა მის სულიერ ფორმირებასა და წრთობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ომიდან დაბრუნებულმა სწავლა უნივერსიტეტში განაგრძო. ნიჭიერი სტუდენტის გულმოდგინება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. აკად. ნიკო ბერძენიშვილმა შოთა ლომსაძე ასპირანტურაში დატოვა. 1954 წელს ახალგაზრდა მეცნიერმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (თემა: „თურქი აგრესორების კრაზი საქართველოში 1918-1921 წწ“). 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე შოთა ლომსაძე სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია. 1976 წელს აქვე დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია (თემა: „სამცხე-ჯავახეთი XVIII ს-ის შუა ხანებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე“).

შოთა ლომსაძემ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ არქივებში მოძიებული დიდძალი მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შექმნა არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი, რომლებშიც ობიექტურობის უაღრესად მაღალი ხარისხით არის გაცოცხლებული მესხეთის ისტორია. მისი ნაშრომების კითხვისას გზიბლავს წერის მაღალი კულტურა, და უაღრესად რთული ისტორიული მოვლენების არსში წვდომის და ფაქტების განზოგადების უნარი, კრიტიკული აზრო და მეცნიერული კეთილსინდისიერება.

სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული შოთა ლომსაძის ლექციებიც, რომლებსაც იგი საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სასულიერო აკადემიაში კითხულობდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს შოთა ლომსაძის სამუზეუმო საქმიანობა. წლების განმავლობაში მისი უშუალო ხელმძღვანელობით განეული მუშაობის შედეგად მუზეუმში შეიქმნა საქართველოს ახალი ისტორიის ამსახველი საფონდო და სამეცნიერო ბაზა. მოძიებული მასალის

საფუძველზე მისმა განყოფილებამ საქართველოს 1801-1921 წლების ისტორიის ამსახველი სამი დიდი გამოფენა მოაწყო, მომზადდა უნიკალურ მასალათა 5 ტომი, დოკუმენტების კრებულები და სხვა.

შოთა ლომსაძე დიდ ყურადღებას უთმობდა თავისი განყოფილების ახალგაზრდა თანამშრომლების მკვლევარებად ჩამოყალიბების, მათი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების საქმესაც. მისი რჩევა-დარიგებების საფუძველზე განყოფილების თანამშრომლებმა არაერთი მონოგრაფია და სტატია მოამზადეს და გამოაქვეყნეს.

შოთა ლომსაძის მოღვაწეობის უმთავრესი მიმართულება მაინც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაა. ათეულობით წლების მანძილზე თავაულებელი შრომით გამოვლენილი საარქივო დოკუმენტების მეცნიერული ანალიზის გზით ლომსაძემ რელიეფურად წარმოაჩინა შუა საუკუნეების მესხეთის ისტორია. მის ნაშრომებში ნაჩვენებია თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მეთოდურად იმარჯვებდა ისლამი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანში — მესხეთში, როგორ ხდებოდა ძალადობრივი გზით ჯერ მესხეთის არისტოკრატის, შემდეგ გლეხობის გამაჰმადიანება, როგორ იძარცვებოდა და ნადგურდებოდა ეკლესია-მონასტრები, როგორ გაურბოდა ხალხის ნაწილი ძალად გამაჰმადიანებას საქართველოს სხვა ქრისტიანულ მხარეებში.

შოთა ლომსაძემ უტყუარ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეთნიკური ქართველია, რომელსაც ჯერ რწმენა შეაცვლევინეს, შემდეგ შეუცვალეს სახელები და გვარები, შემდეგ ენა და ეროვნება წაართვეს, ბოლოს კი ეროვნული თვითშეგნებაც დაუკარგეს.

სწორედ ამიტომ შოთა ლომსაძე დაულალავად იღწვოდა ისტორიულ სამშობლოში მესხთა დაბრუნებისთვის, ოღონდ, სხვებისგან განსხვავებით, ის ამ პროცესის გააზრებულად, სახელმწიფოებრივი ინტერესების ხედვით წარმართვის მომხრე იყო. იგი მესხთა დაბრუნებას მაშინაც უჭერდა მხარს, როცა ურაპატრიოტიზმით აღტყინებულ ქართველთა უმრავლესობა არა მარტო „თურქების“ საქართველოში არდაშვებას, არამედ მათი მხარდამჭერი ქართველების ქვეყნიდან გაძევებასაც მოითხოვდა.

შოთა ლომსაძეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუღძვის მესხეთის თავანკარა ქართველი პატრიოტების, ქართველ კათოლიკეთა დაუცხრომელი მოღვაწეობის შესწავლაშიც. თავის ნაშრომებში: „გვიანი შუასაუკუნეების ისტორიიდან“, „ახალციხის ქრონიკები“, „მესხები“, „მიხეილ თამარაშვილი“, „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“ და სხვა. შოთა ლომსაძე დანვრილებით იკვლევს ქართველ კათოლიკეთა ურთიერთობას ლათინო-კათოლიკურ და სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებთან, ნათლად გვიჩვენებს მესხების ძალადობრივი გასომხების პროცესს, ხსნის ამ პროცესის მიზეზებს.

როგორც უკვე ითქვა, შოთა ლომსაძე არა მხოლოდ ღრმადგანსწავლული და ერუდირებული მეცნიერი, შესანიშნავი პოეტიც იყო. მისი პოეტური დებიუტი მეორე მსოფლიო ომის წლებში შედგა. სწორედ საფრონტო გაზეთებში იბეჭდებოდა ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსები. შემდგომ კი იყო შოთა ლომსაძის პოეტური კრებულები: „მესხეთის ბუხრები“, „დაკარგული რაფსოდები“, „ჯავახური ქრონიკები“, „უამთა მორევში“, „ჩემი სამართალი“.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ოპტიმიზმი და ქართველი კაცის, მისი შემოქმედებითი ენერჯის უკვდავების რწმენა გამოსჭვივის ამ ლექსებიდან.

შესანიშნავი მეცნიერი და პოეტი, ღირსეული მამულიშვილი შოთა ლომსაძე 2003 წლის 12 დეკემბერს გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა სამუდამო სასუფეველი მას ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში მიუჩინა.



ხალილ
უმაროვ-გოზალიშვილი
(1925-1995 წწ.)

ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი ახალციხის რაიონის სოფელ ვალეში დაიბადა. 1944 წელს, როცა მუსლიმი მესხები თურქებად გამოაცხადეს და შუა აზიაში გადაასახლეს, ხალილი მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა. ომის შემდეგ ხალილმა დიდი გაჭირვებით მოძებნა ოჯახი უზბეკეთში და 1956 წლამდე დამამცირებელი საკომენდანტო რეჟიმის პირობებში ცხოვრობდა. რეაბილიტაციის შემდეგ დეპორტირებულ მესხებს მეთვალყურეობა მოუხსნეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. იმ დღიდან დაწყებული მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ხალილმა სამშობლოში დაბრუნებისთვის ბრძოლას შეაღწია. იგი ამ საქმის აღიარებული მეთაური და წინამძღოლი იყო.

1962 წელს ხალილმა თანამოაზრეებთან ერთად შექმნა „დროებითი კომიტეტი“, რომელიც მიზნად ისახავდა მაჰმადიან მესხთა ერთიანი ქართველი ერიდან გამოცალკევებისა და გამოყოფის მიზეზთა შესწავლა-გამორკვევას, ქართული თვითშეგნების განვითარებასა და მესხთა ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად აქტიური ზომების მიღებას. ამავე პერიოდში ხალილი და კომიტეტის წევრები გაცენენ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფს, ისტორიკოსებს: შ. ლომსაძეს, ვ. ჯაფარიძეს, მუსიკათმცოდნე პ. ხუჭუას, გ. ზედგინიძეს, ა. ცუცქერიძეს, ნუმიზმატ დ. კაპანაძეს და სხვებს, რომლებიც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მესხებს სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

1966 წელს ხალილი აარსებს მესხთა არალეგალურ წრეს და ხელნაწერ გაზეთ „ალორძინება“-ს. წრის მიზანი იყო მესხთა შორის ქართული თვითშეგნების გაღვივება, მესხეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, როლის გაცნობიერება.

1976 წელს ხალილ გოზალიშვილი მჭიდრო კავშირს ამყარებს საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფის წევრებთან — მ. კოსტავასთან, ზ. გამსახურდიასთან, ვ. რცხილაძესთან, ი. კენჭოშვილთან და ბ. ბეგიაშვილთან. ჯგუფის თვითგამოცემებში ფართოდ შუქდება დეპორტირებულ მესხთა პრობლემები.

1989 წელს ზურაბ მამალაძესთან ერთად ხ. გოზალიშვილი თბილისში ქმნის „ქართველი მუსლიმების უფლებების დაცვის ლიგა“-ს. ხალილის, მისი თანამოაზრე მესხების და თბილისელი ინტელიგენციის მცდელობების შედეგად 80-იან წლებში მაჰმადიანი მესხების ორასზე მეტი ოჯახი დაბრუნდა საქართველოში. სამწუხაროდ 1989-91 წლებში ას სამოცდაათი ოჯახი ისევ გააძევეს საქართველოდან. ეს ამბავი ფერღანის ტრაგიკულ მოვლენებს დაემთხვა, რაც შემთხვევითი არ იყო.

80-იანი წლების დასასრულს გოზალიშვილმა თავის მიერ შექმნილ „ქართველი მესხების წრე“-ს სახელი შეუცვალა და საზოგადოება „ხსნა“ უწოდა. „ხსნი“-ს მიზანი მესხთა სამშობლოში უმტკივნეულო, ეტაპობრივი დაბრუნება იყო. 1991 წელს „ხსნა“ ყაბარდოში ოფიციალურად დარეგისტრირდა. 1992 წელს „ხსნა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომაც დაარეგისტრირა.

დაწყებული 60-იან წლებიდან სსრკ-ს დაშლამდე, ხალილ გოზალიშვილი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თვალთვალისა და მეთვალყურეობის ქვეშ იყო. იგი სუკის მხრიდან მუდმივ ეკონომიურ და პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდა. მას ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მიუხედავად ამისა ვერანაირმა სადამსჯელო ზომებმა მას ხელი ვერ ააღებინა სამართლიან ბრძოლაზე.

მაგრამ სუკ-ის თვალთვალსა და ზეწოლაზე გაცილებით ძვირად იყო ხალილისათვის ის გულგრილი, უფრო მეტიც, მტრული დამოკიდებულება, რომელსაც იგი გამუდმებით გრძნობდა სსრკ-სა და საქართველოს სსრ-ს პარტიულ-ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსანთა და ქართული საზოგადოების იმ ნაწილის მხრიდან, რომელიც ეწინააღმ-

დეგებოდა მესხთა დაბრუნებას საქართველოში. ასევე მტკივნეული იყო მისთვის მის ბედქვეშ მყოფი იმ თანამოდმეთა ღალატი, რომლებიც თავიდან თითქოს გვერდში ედგნენ, შემდეგ კი ვეღარ გაუძლეს ზენოლას, მუქარას, სარფიან შეთავაზებებს და გოზალიშვილს დაუპირისპირდნენ.

ხალილს, ამ უშიშარ და შეუპოვარ კაცს, ყველაზე მეტად უცხო მხარეში სიკვდილის ეშინოდა. საუბედუროდ ასეც მოხდა. ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი 1995 წელს ნალჩიკში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. მის საფლავს 5 ვაჟი, 2 ქალიშვილი და მრავალრიცხოვანი შვილიშვილები უვლიან.

2005 წელს „კავკასიურმა სახლმა“, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ხელშეწყობით გამოსცა ხ. უმაროვ-გოზალიშვილის ნაშრომი „მესხთა ტრაგედია“. ნიგნს ხალილი მთელი ცხოვრება წერდა და მასში გადმოცემულია მესხთა ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. გვინდა წერილი ხალილის იმ სიტყვებით დავამთავროთ, რომლებითაც სრულდება „მესხთა ტრაგედია“:

„ჩვენო ძვირფასო, საყვარელო სამშობლოვ! შეისმინე ჩვენი ძახილი, ყურს ნუ უგდებ უგუნურებს. მოგვაპყარ თვალი და ნურც ის შეგაშინებს, რომ ასობით ათასნი ვართ.

ვიცით, დღეს საქართველოს მრავალი პრობლემა აქვს, საქართველოს ახლა ძალიან უჭირს, მაგრამ ვის აქვს უფლება ერთმანეთს დაუპირისპიროს და გათიშოს ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ქრისტიანები?

ჩვენ ხომ მიწის პირიდან სრულიად აღვიგვებით, თუკი დროულად არ დაგვეხმარნენ, ხოლო ჩვენი შეერთებით, გვჯერა, საქართველოს ძლიერება კიდევ უფრო განმტკიცდება.

უარს ნუ იტყვი ჩვენზე დედასამშობლოვ! ნუ გაიხარებს მტერი ჩვენი გათიშულობით!

შეიფარე, საქართველოვ, შენი განამებული შვილი, შენი ტანჯული თანამოდმე, ქართველი მუსლიმი“.



**იასონე
პარსკნელიძე (ხასანოვი)
1929-1999**

15 წლის იყო იასონ ხასანოვი ახალციხის რაიონის სოფელ ტობადან რომ გაასახლეს ოჯახთან ერთად. პატარა წიგნაკში, რომელიც მის ხსოვნას მიეძღვნა, იგი იხსენებს: ჩემს პაპის პაპას ხასანი ერქვა და ამიტომ ხასანოვებად ჩაგვწერეს. მამა ყოველთვის მეუბნებოდა ქართველები ვართ, ჩვენი ნამდვილი გვარი ვარსკნელიძეაო.

1944 წლამდე ტობაში მცხოვრები 44 ოჯახიდან ნახევარი ქრისტიანი — ნახევარი კი მუსლიმი იყო. ქრისტიანები სუდაძეები და ასპანაძეები, ხოლო მუსლიმები — თამარაძეები, ვარსკნელიძეები, დავქარიძეები, გაგნიძეები და ქურდაძეები იყვნენ.

თხუთმეტი წლის ყმანვილს სამუდამოდ აღებეჭდა მესხიერებაში, როგორ გადმოაგდეს ვაგონიდან სამამულო ომში წასული ოთხი ვაჟკაცის მამის, შიმშილისა და სიცივისაგან გარდაცვლილი ფეიზულა გაგნიძის ცხედარი, როგორ მიათრევდნენ გვამს ფეხებით და როგორ ეხლებოდა თავი შპალეებს.

1949 წელს უზბეკეთის სსრ-ს, სამარყანდის ოლქის, სოფელ ყარაყიშლაყის სკოლის დამთავრების შემდეგ სამი წელი ვერ შეძლო უმაღლესში სწავლის გაგრძელება. არც პასპორტი ჰქონდა, არც სამხედრო ბილეთი, ის კი არადა, მესხებს, როგორც სპეცგადასახლებულებს, მეზობელ სოფელშიც არ შეეძლოთ კომენდანტის საშვის გარეშე წასვლა. სამარყანდის უნივერსიტეტში გაიცნო ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი. მასთან ერთად იბრძოდა სამშობლოში დაბრუნებისთვის. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაოჯახდა. სოფლის სკოლაში ჯერ მასწავ-

ლებელი იყო, შემდეგ დირექტორი. ხუთჯერ იყო სოფლისა და რაიონის დეპუტატი.

1989 წელს იასონი საზოგადოება „ვათანის“-ს საბჭოში აირჩიეს, მაგრამ მალევე დატოვა „ვათანის“ თანამოაზრეებთან ერთად. დაუკავშირდა ხალილ უმაროვ-გოზალიშვილს. 1991 წელს ყაბარდოში დარეგისტრირებული ქართული ორიენტაციის არასამთავრობო ორგანიზაცია „ხსნა“-ს საბჭოს წევრი გახდა. 1992 წელს „ხსნა“ საქართველოშიც დარეგისტრირდა.

თავის რამდენიმე წერილსა და ინტერვიუში იასონი იხსენებდა ტობას ტოპონიმებს: ჭანჭახას, კურდღელას, ზეუბანს, აქაურას, ნაფუძარს, ჩიტილელეს, კლდეკარას, სამარილეს და კითხულობდა: „თუ აქაურობის მკვიდრი თურქები ვიყავით, რატომ არ დავარქვით მათ თურქული სახელები?“ და თვითონვე პასუხობდა: „იმიტომ, რომ ქართველები ვართ!“, მერე აგრძელებდა: „გვეუბნებიან ქართველებად მოგაქციესო! არა, კი არ მოგვაქციეს, ქართველები ვართ!“.

სად არ ატარა ბედმა იასონი შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად, ხან უზბეკეთში იყო, ხან ყირგიზეთში, ფერღანის ტრაგედიის შემდეგ აზერბაიჯანში, ყაზახში დაბინავდა. 90-იანი წლების დასაწყისში იასონი მეუღლესთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა, აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა, წინაპრების გვარი, შეიცვალა სახელიც და იასონ ვარსკნელიძე გახდა. იასონი ოცნებობდა შვილები და შვილიშვილებიც ჩამოეყვანა სამშობლოში და როცა დრო მოუწევდა, მესხეთის მიწაში წინაპართა გვერდით დაკრძალულიყო.

ერთი ცილისმწამებლური საგაზეთო წერილით გულნატკენი იასონი დეკემბრის თვეში უეცრად გარდაიცვალა. ვერ მოხერხდა იასონ ვარსკნელიძის უკანასკნელი სურვილის შესრულება, საქმეს ვერც სახელმწიფო მინისტრის ჩარევამ უშველა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ხელმძღვანელობამ უარი თქვა საქართველოს მოქალაქის მესხეთის მიწაში დაკრძალვაზე. იასონ ვარსკნელიძის ნეშტი აზერბაიჯანში, ყაზახში დაკრძალეს.

ამ მხრივ ვითარება დღეს სასიკეთოდ შეიცვალა. საქართველოს მოქალაქე მესხებს სამშობლოში კრძალავენ.



ლატიფშაჰ ბარათაშვილი (1907-1984)

ადიგენის რაიონის სოფელ უდეში 1944 წლამდე კათოლიკე და მუსლიმი ქართველები ცხოვრობდნენ. 1909-14 წლებში უდეში აგებული ქრისტიანული (კათოლიკური) ტაძრის სამშენებლო წარწერა გვამცნობს, რომ მას ერთად აშენებდნენ კათოლიკე და მაჰმადიანნი (ტომით ქართველნი). 1918-19 წლებში ოსმალთა ნაქეზებითა და ხელშეწყობით მუსლიმი და ქრისტიანი ქართველები ერთმანეთს წაეკიდნენ. ლატიფშაჰი მოგონებებში იხსენებს, რომ ქრისტიანთა ნაწილი გაიხიზნა, ნაწილი კი უდეს მუსლიმებმა შეიფარეს, ბარათაშვილების ოჯახში 12 ქრისტიანი იმალებოდა. ასეთ ვითარებაში იზრდებოდა ლატიფშაჰი, რომელმაც პატარაობიდან გამოამყლავნა სწავლის დიდი სურვილი.

1917 წლის დეკემბერში მენშევიკურმა მთავრობამ უდეში ქართული ოთხწლედის გახსნა. ლ. ბარათაშვილი მედრესეშიც სწავლობდა და ქართულ საერო სკოლაშიც. ოთხწლედის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება იმდენად უნდოდა, რომ 1923 წლის დეკემბერში, მშობლებისაგან მალულად საზღვარზე გადაიპარა, თურქეთში, არდაგანში ბიძასთან გადავიდა.

1926 წლამდე ლ. ბარათაშვილი არდაგანში ახალი ტიპის სკოლაში სწავლობდა. 20-იან წლებში სსრკ-სა და თურქეთის საზღვარი ცუდად კონტროლდებოდა. ამიტომ საბჭოთა საქართველოში და თურქეთში მცხოვრები მესხები უახლოესი ნათესავების მოსანახულებლად ხშირად არალეგალურად გადადიოდნენ საზღვარზე.

1926 წელს უდეში გაიხსნა შვიდწლედის და ლატიფშაჰმაც იქ გააგრძელა სწავლა. შემდეგ იყო კომკავშირი და პარტიული კურსები

თბილისში. თბილისში, კურსებზე გაიცნო ლატიფმაჰმა თავისი მომავალი მეუღლე, ქრისტიანი ზინა გიგინეიშვილი. მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად ახალგაზრდებმა მაინც იქორწინეს. შემდეგ ლ. ბარათაშვილმა კომკავშირული საქმიანობა გააგრძელა მშობლიურ კუთხეში, თან ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდა. ქუთაისში გაიცნო მოგვარე, ქ-ნი მარია ბარათაშვილი, რომელმაც თავის მხრივ გააცნო აკად. გ. ჩიტაია. ბატონმა გიორგიმ გასაუბრების შემდეგ დაავალა ლატიფმაჰს, მოეგროვებინა მასალები მაჰმადიანი მესხების ყოფისა და გენეოლოგიის შესახებ. ეს საქმე ლ. ბარათაშვილს მთელი ცხოვრება, გადასახლებაშიც კი, არ შეუწყვეტია.

1941 წელს ლ. ბარათაშვილს, როგორც გამოცდილ მუშაკს, სთავაზობენ სასაზღვრო ნაწილში სამსახურს მზვერავად. მას სისტემატურად უწევდა თურქეთში გადასვლა.

1944 წელს ლ. ბარათაშვილი ნათესავებთან ერთად გადასახლეს. მეუღლე კი, როგორც ქრისტიანი, დატოვეს საქართველოში. ერთთვისანი ჯოჯოხეთური მგზავრობის შემდეგ გადასახლებულები უზბეკეთში ჩაიყვანეს. 1946 წელს ზინამ მეუღლე გადასახლებაში მოინახულა, რის შემდეგაც ცხოვრება მას ნამდვილ ჯოჯოხეთად უქცევს. ზინას სისტემატურად იბარებდნენ დაკითხვებზე შსსკ-ში, რაიკომის ბიუროებზე. მან ვერ გაუძლო მორალურ და ფიზიკურ ტერორს, ფსიქიურად შეიშალა და მალევე გარდაიცვალა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ლ. ბარათაშვილმა გადასახლებაში მეორედ იქორწინა, რომლის შემდეგაც 4 შვილი — ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი შეეძინა.

1956 წლიდან სპეცგადასახლებულთა სტატუსის მოხსნისთანავე მესხები იწყებენ ბრძოლას სამშობლოში დასაბრუნებლად. ისინი ქმნიან ჯგუფს მ. ბაირახტაროვის, მანსურ პოლადოვის, ზაქარია რამიზოვის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ლ. ბარათაშვილი უდგება.

1956 წელს მესხები გზავნიან წერილს ნ. ხრუშჩოვის სახელზე. მოსკოვიდან მოსულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ უფლება აქვთ, იცხოვრონ სსრკ-ს ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში, საქართველოს გარდა.

1957 წლიდან იწყება დაუსრელებელი მიმოსვლა შუა აზიას, მოსკოვსა და თბილისს შორის, რომელსაც მალე ბაქოც დაემატა. იმავე წელს

მესხთა ნაწილს საქართველოს მაგივრად აზერბაიჯანში გადასახლება სთავაზობენ. 1958 წელს მესხთა პირველი ოჯახები აზერბაიჯანის საათლის რაიონში გადასახლდნენ. ახალ კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარედ მ. ბაირახტაროვი აირჩიეს, სახელად ადიგენი უწოდეს. შემდგომში დაარსებულ კოლმეურნეობებსაც მესხებმა მშობლიური სოფლების სახელები დაარქვეს.

1959 წელს ბარათაშვილების ოჯახი ას სხვა ოჯახთან ერთად მინგეჩაურში გადასახლდა. მინგეჩაურშიც აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას ლატიფშაჰი, აგროვებს მასალებს მინგეჩაურის ტოპონიმიკის შესახებ, აარსებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და მისი პირველი დირექტორიც ხდება. 1962 წელს ლატიფშაჰმა ისტორიკოს შოთა ლომსაძის წერილი მიიღო. მას წაეკითხა მუზეუმის „მოამბეში“ დასტამბული ეთნოგრაფიული გამოკვლევა მაჰმადიან მესხთა ყოფის შესახებ და ლატიფშაჰს სთავაზობდა დახმარებას წერილების პუბლიკაციაში.

1962 წელს მაჰმადიანი მესხები თბილისში აარსებენ „დროებით კომიტეტს“, რომლის წევრები იყვნენ ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, ჯავად თურმანიძე, ზაქარია რემიზოვი, ჯუმალ აბაშიძე. თავმჯდომარედ ლ. ბარათაშვილი აირჩიეს. კომიტეტის მიზანი, როგორც საქართველოდან გადასახლებული მაჰმადიანი მესხებისათვის, ისე საქართველოს მოსახლეობისათვის სწორი ინფორმაციის მოწოდება და გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად ქმედითი ზომების მიღება იყო.

დაბრუნებასთან ერთად მესხები ითხოვდნენ მათი შვილების კონკურსგარეშე, ე.წ. ლიმიტებით საქართველოს უმაღლესებში ჩარიცხვას. ისევ დაიწყო წერილებისა და საჩივრების გაგზავნა საქართველოსა და საკავშირო ცკ-ებში, მგზავრობა მოსკოვსა და თბილისში. მოლოდინი მაღალი რანგის ჩინოვნიკების მისაღებებში. მათ დახმარებას ცდილობდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ისტორიკოსები: შ. ლომსაძე, ვ. ჯაფარიძე, მუსიკათმცოდნე პ. ხუჭუა, ნუმიზმატი დ. კაპანაძე მწერალი და პედაგოგი გ. ზედგინიძე, არქიტექტორი ა. ცუცქერიძე და სხვები. თბილისში მათ უცხადებდნენ, რომ მოსკოვი არ აძლევდა მათ სამშობლოში დაბრუნების უფლებას,

მოსკოვში კი საპირისპიროს ისმენდნენ. რამდენიმეჯერ თბილისში ჩამოსული დელეგაციები მილიციამ დაარბია.

ყველაფერი ამაო გამოდგა. 1956 წლიდან 1966 წლამდე, ათწლიანი ბრძოლა, შრომა, იმედები – ეჯახებოდა ყრუ კედელს. ქართული ორიენტაციის მუსლიმ მესხთა ლალადი, რომ ისინიც ქართველები არიან, სურთ სამშობლოში დაბრუნება, მოძმეთა შორის მშვიდობინი შრომა და ცხოვრება, პრობლემის გადაჭრის მონინაალმდეგეთა მხრიდან სრულ გულგრილობას, ცინიზმსა და გავეშებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ლ. ბარათაშვილი ძალზედ მტკივნეულად განიცდიდა მომხდარს. 1966 წელს თბილისში შეკრებილმა კომიტეტის ხელმძღვანელებმა იმსჯელეს შექმნილ ვითარებაზე და კომიტეტი დაშლილად გამოაცხადეს.

1966 წლიდან ლ. ბარათაშვილი ჩამოსცილდა მესხთა პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობას, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე დარჩა საქართველოს და ქართველი ხალხის ნამდვილ პატრიოტად, მესხთა სამშობლოში დაბრუნების გულშემატკივრად – ასე აფასებს მის ღვანლს უმცროსი მეგობარი და თანამებრძოლი ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი.

აზერბაიჯანში მცხოვრები ლ. ბარათაშვილი აგრძელებდა 1941 წელს დაწყებულ ეთნოგრაფიულ კვლევას, რომელიც გადასახლებაშიც არ შეუწყვეტია. მისი მასალები მაჰმადიან მესხთა ყოფის, რიტუალების, ტანსაცმლის, სამკაულების და ა.შ. შესახებ უნიკალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიული მეცნიერებისთვის. სამწუხაროდ, მისი ნაშრომების საქართველოში გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. 1970 წელს აზერბაიჯანში, აზერბაიჯანულ ენაზე დაისტამბა ლ. ბარათაშვილის კრებული.

ისევე, როგორც ხ. უმაროვ-გოზალიშვილი, ი. ვარსკენელიძე და მრავალი სხვა მუსლიმი მესხი, ლ. ბარათაშვილიც უცხო მხარეში აღესრულა და მინგეჩაურში დაასაფლავეს. თავისი საყვარელი სამშობლოს მიწაში დაკრძალვა არც მას ეღირსა.

ВВЕДЕНИЕ

Забвение истории, искоренение из памяти своего прошлого приводит к падению нации душой и телом и полной ее гибели . Прошлое это фундамент настоящего, как настоящее будущего...Народ, не знающий кто он, откуда и куда идет... многим не отличается от скота .. Сын должен знать где и на чем остановился отец, чтобы оттуда начать тянуть ярмо жизни... Сын должен разобратся в чем был прав и хорош его отец, в чем он ошибался... что помогало ему, а что припятствовало, для чего трудился и здравствовал, а для чего и в чем бездействовал.

*ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ
«НАЦИЯ И ИСТОРИЯ», 1888 Г.*

«Месхетия для Грузии то же самое, что Греция для мира»

АЛЕКСАНДР ПРОНЕЛИ

Из 149 миллионов квадратных километров суши, существующей на Земле, Грузия занимает 69 700 километров, то есть 0,046 процентов. Несмотря на такую малость, наша страна отличается большим многообразием климата, природы, ландшафтов и почв. Здесь представлены почти все климатические зоны, начиная с вечных снегов и ледникаов, кончая субтропиками и пустынями. В Грузии нет только тропиков.

Ученые установили, что на территории Грузии человек обитал с незапамятных времен, еще миллион 800 000 лет тому назад. Именно об этом свидетельствуют обнаруженные на территории Дманиси человеческие черепа и фрагменты скелет.

Грузинские археологи в Квемо Картли нашли не одно древнейшее жилище раннего земледелия. Жившие здесь 8-7 тысяч лет назад люди возделывали несколько сортов пшеницы, ячменя, овса, гороха, чечевицы, винограда, дыни, чистотела. Приручены были овца, коза, крупнокопытный скот, свинья и собака.

Грузия издревле состояла из нескольких стран, то есть краев.. Среди них главнейшим была Картли, которая, в свою очередь, делилась на Шида (Внутреннюю), Квемо(Нижнюю) и Зеда(Верхнюю) Картли. Со временем этот термин из этно-географического превратился в политический. Жилище грузин всех краев (мегрелов, сванов, кахов, имеретинцев и т.д.) называлось Сакартвело т.е. страной грузин. Внутренняя Картли охватывала территорию от Лихского хребта до реки Арагви от Кавказского до Триалетского хребта, а в Нижнюю Картли входила территория с Триалетского хребта, включая Лоре-Бамбакий регион, Верхняя Картли или Месхетия начиналась с Ташискарри и охватывала верхнее течение реки Куры и все ущелье реки Чорохи. В нее входили Самцхе, Джавахетия, и находящиеся сегодня в составе Турции Артаани, Кола, то есть верхнее течение Куры, Шавшети, Кларджети, Тао, Тортуми и Спери, то есть Чорохское ущелье.

По исследованию лингвистов, грузинский язык возник несколько тысяч лет тому назад. По мнению ученых, от общего языка - основы, называемого "общекартвельским" или "пракартвельским" сначала отделился сванский, а позже мегрело-занский. Грузинская письменность появилась намного позднее. Согласно грузинскому историку XI века Леонтию Мровели, в начале III века до нашей эры, царем Картли становится Парнаваз, который объединил Восточную и Западную Грузию, провел административные, военные и религиозные реформы. Леонти Мровели создание грузинского алфавита приписывает Парнавазу. Дошедший до нас образец древнейшей грузинской письменности был найден в Палестине при раскопках грузинского монастыря итальянским археологом В. Корбо. находка датируется 30-ыми годами V века. Среди найденных в Грузии надписей самая древняя надпись в Квемо Картли, в храме Болнисского Сиони (493-494гг). Существуют три вида грузинского алфавита. Древнейший из них называется мргловани, асомтаврули, т.е. округлое (или уставное). Именно этим алфавитом исполнены надписи в Палестине и в Болнисском Сионе. Со временем, с целью необходимости быстрого написания и экономии писчего материала, изменилась форма, очертание алфавита и была создана письменность нусхури, то есть церковное письмо. После уже

возникает алфавит мхедрули, т.е. светское письмо, которым в Грузии пользуются по сей день.

